NEW

ტექსტების და კონტექსტების ჟურნალი

№11 (29) ნოემბერი, 2015 წელი
ფასი 2,5 ლარი

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ახალი საუნჯე

1970
2015

## ნომრის ავტორები
გიორგი არაბული & აჰმად რეზა აჰმადი

## პოეზია
ზვიად რატიანი
ბექა ახალაია
გიორგი ჩუთლაშვილი

## პროზა
ეკა ქევანიშვილი

## პირადი ცხოვრებიდან
მაიაკოვსკი მანჰეტენზე

احمد رضا احمدی



## ხელოვანი და პოლიტიკა
„შარლი ებდოს" წერილები

## არტი
დავით ანდრიაძე
ოლეგ ტიმჩენკოზე

INNO print STUDIO




სავიზიტო ბარათები; მოსაწვევები და მისალოც
დიპლომები; სერთიფიკატები; ბროშურები; ფლაერ
ბუკლეტები; კატალოგები; მენიუები; კალენდრ
პოსტერები ბლანკები; კონვერტე
ბლოკნოტები; CD/DVD შეფუ
ნებისმიერი სირთულის ყუთ
ასევე ყუთებზე ბეჭდ
ყველა სირთულის კვეთ
ეტიკეტები და სხვა თვითწება
პროდუქტები; ბილეთ
აფიშები, ბანერები, ვიტრინე
და ავტომობილების გაფორმ
საათების ბრენდირ
ბეჭდვა ოქროს და ვერცხლის ფოლგ
ნატურალურ ტილო
პლასტიკური ბარათებზე ბეჭდ
მაისურებზე, ჩანთებზე, კალმებზე ბეჭ

ქუთათელაძის 8. ტელ.: 597 39 55 87; 2 39 55 87; 2 14 12 14 innostd@gmail.co


PUBLISHING HOUSE საუნჯე გამომცემლობა

საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტრო

ჟურნალი გამოდის საქართველოს
კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროს
მხარდაჭერით

მწერალთა სახლი

ეროვნული ბიბლიოთეკა

**ნომრის ავტორები**

# 1

**გიორგი არაბული**

ეკა ქევანიშვილი – გიორგი არაბულის გზაზე გა(მო)სვლა 3
ომარ თურმანაული – ალდის ლექსზე 9
გიორგი არაბული – ლექსები 10

**აჰმად რეზა აჰმადი**

*მოამზადა გიორგი ლობჟანიძემ*

შესავალი წერილი 17
აჰმად რეზა აჰმადი – ლექსები – 19-26; 29
სორეია დავუდი ჰამულე – აჰმად რეზა აჰმადის პოეზია 27
რასულ იუნანი – უბადლო პოეტი 33
პოეზია და პოეტური ყოფა (ინტერვიუ) 34

# 2

**პოეზია**

37

ზვიად რატიანი 38
ბექა ახალაია 43
გიორგი ჩუთლაშვილი 49

# 3

**პროზა**

ეკა ქევანიშვილი – ჩხუბის ხმა 51

ეროვნული ბიბლიოთეკა

პროექტის ავტორი:
ვაჟა წოწკოლაური

მთავარი რედაქტორი:
შოთა იათაშვილი

რედაქტორი-სტილისტი:
ლელა კოდალაშვილი

დიზაინი და დაკაბადონება:
ნიკა ხვედელიძე

სარედაქციო კოლეგია:
დავით ანდრიაძე
გია ეძგვერაძე
დათო ტურაშვილი
ეკა ქევანიშვილი
ზაზა შათირიშვილი
დავით ჩიხლაძე
გია ხადური

ნომერზე მუშაობდნენ:
ეკა ქევანიშვილი
ომარ თურმანაული
გიორგი არაბული
გიორგი ლობჟანიძე
ზვიად რატიანი
ბექა ახალაია
გიორგი ჩუთლაშვილი
კონსტანტინე კიკნაძე
ბაჩანა ჩაბრაძე
დავით ანდრიაძე

4

**პირადი ცხოვრებიდან**

კონსტანტინე კიკნაძე – მაიაკოვსკი მანჰეტენზე 58

5

**ხელოვანი და პოლიტიკა**

„შარლი ებდოს" წერილები
(ფრანგულიდან თარგმნა ბაჩანა ჩაბრაძემ) 65

6

**არტი**

დავით ანდრიაძე – სილამაზის პროფილაქტიკა ანუ
„ცუდი მხატვრობის" აპოლოგია 76

გამომცემლობა – „საუნჯე"
მის.: ალ. ყაზბეგის 32/34
ტელ.: 2141214, 2395587, 2397188
Skype: saunje-saunje
ელ–ფოსტა: saungeo@gmail.com
Facebook: გამომცემლობა საუნჯე/Saunje publishing http://www.facebook.com/saunjee
www.saungeo.ge

# 1 ნომრის ავტორები

ეროვნული ბიბლიოთეკა

## გიორგი არაბულის გზაზე გა(მო)სვლა

*ეკა ქევანიშვილი*



*ზუსტად შვიდი წლის წინ, ივნისში, ჩემს ელექტრონულ ფოსტაზე ვიღაც გიორგი არაბულის წერილი მოვიდა. პატარა ბიჭი მწერდა შატილიდან, სკოლის მოსწავლე. ჩემი ლექსები წაეკითხა ერთ-ერთ ლიტერატურულ ფორუმზე და შთაბეჭდილებებს მიზიარებდა – გამიხარდა, თან რაღაცნაირი, უცნაური და სასიამოვნო შეგრძნება მქონდა, შორს, მთაში რომ აღმოგაჩენენ, სადაც არც კი ყოფილხარ. თვითონაც წერდა – ნამაკითხა. ისეთი მუხტი გაქვს, აუცილებლად უკეთესად დაწერ-მეთქი, მიმიწერია დიდი ექსპერტივით. ახლა კი მეცინება, მაგრამ მართლა ასე მოხდა. გიორგი არაბულს წერა არ შეუწყვეტია, გაიზარდა, გზაზე გამოვიდა, მთიდან ჩამოვიდა და ამ ზაფხულს, გურიაში, პროექტ „ცოცხალი წიგნების" ფარგლებში, ერთ ჯგუფში მოვხვდით და ლექსებიც ვუკითხეთ გურულებს მონაცვლეობით. ის ძველი წერილებიც გავიხსენეთ. ახლა კი გიორგი არაბულიც იმ მწერლების რიცხვს შეემატა, ვის ამბებსაც, ბოლო წლებია, შეუჩერებლად ვწერ. ესეც ამბავი ურჩებისა, მითებისა, ანდრეზებისა და „ხევსური პატარა პრინცისა".*

**დღეს რომ გკითხონ, რა არის ყველაზე ძვირფასი, რაც კი ცხოვრებაში გაქვს და რასაც ხანდახან არ თუ ვერ უფრთხილდები, რას უპასუხებდი?**

ადამიანები. თანდათან უფრო ვრწმუნდები ამაში – ადამიანები, რომლებიც ჩემ გვერდით არიან. მგონია, რომ მათ გარეშე ვერავინ და ვერაფერი ვიქნებოდი და ვერაფერს გავაკეთებდი. ეს არის ჩემთვის რწმენაც, ძალაც, იმედიც... და ხანდახან, ამ ადამიანებს ვერ ვუფრთხილდები. თითქოს მათ მხარ-მკლავებს ვეყუდები და როდესაც მეცლებიან, დაბლა ვეცემი. როდესაც ჩემი ძმაკაცები გარდაიცვალნენ, ვფიქრობდი – რამდენი რამ დამრჩა სათქმელი-მეთქი. თუნდაც ის, რომ ძალიან მიყვარდნენ. მათმა სიკვდილმა უფრო მეტად დამარწმუნა, რომ ადამიანების მეტი არაფერი გამაჩნია. თუ „რამეს" ვაგროვებ – ადამიანებია და თუ რამეს ვკარგავ – ადამიანები. ოღონდ სიკვდილმა არც დამაბეჩავა და არც დამასუსტა, პირიქით, უფრო მეტად მივხვდი, რას ნიშნავს ცოცხალი ადამიანების ყოფნა შენ გვერდით.

საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკა

**არსებობს ისეთი ადგილი, სადაც შენ ყველაზე მეტად შენ ხარ? ხევსურეთზე აღარ გეკითხები, შენი სამშობლოა და ისედაც გასაგებია იქაურობის მიმართ შენი დამოკიდებულება. უფრო სხვა სივრცეს ვგულისხმობ.**

ბავშვობაში, ხევსურეთში მქონდა ასეთი ამოჩემებული ადგილები. თბილისში ჩამოსვლის შემდეგ იქაურ სახლთან და ადამიანებთან ერთად ეს ადგილებიც დავტოვე. ახლა იმ ადგილებს რომ გავივლი ხოლმე, ძალიან ბევრი ამბავი ცოცხლდება და ეს ადგილები მოგონებებს ინახავენ. სად ვისხედით მე და პაპა და რას მიყვებოდა ის, სად ვმწყემსავდი ძროხებს და რას ვკითხულობდი, სად ვნახე პირველად გარდაცვლილი ადამიანი და ვინ მოვიდა მისი სულის დღეში პირველი და ა.შ. აქ კი, ასეთი ადგილი სარეპეტიციო აუდიტორიის კულისიც იყო, იყო კიკეთის გზის გაღმა ერთი ადგილი, უცნაური ხედით, სადაც თბილისში ჩამოსვლის პირველ წელს ხშირად ავდიოდი ხოლმე. ახლა ეს ადგილი ჩემი სახლია, სადაც ყველაზე „მე" ვარ, ვიდრე სხვაგან.

**შენ ერთხელ თქვი, „ხევსურეთი ჩემი პოეზიის ნათლიააო" – მესმის. იქაურობის მაგიას ძნელია, დაუსხლტე და წერა არ დაიწყო, მაგრამ მაინც მინდა, ეგ მომენტი კარგად გაიხსენო, როცა წერა დაიწყე – რა მოხდა მაშინ? რა დაწერე სულ პირველად?**

ძალიან მიყვარდა ლექსები. ბევრი ლექსი ზეპირად ვიცოდი. რაღაცებს ვწერდი. მერე, ალბათ, გამიჩნდა სურვილი, მეც დამეწერა და იყო მცდელობა. არხოტში, მესაზღვრეებთან ერთად ვცხოვრობდი ორი კვირა და სულ პირველად იქ ვცადე დამეწერა ხეების, ჩანჩქერების, ხევების, ჯიხვების, ქვების მონოლოგები. პირველი ლექსი ჯიხვზე იყო და სახლზე, რომელიც მენატრებოდა. მერე იყო ტყუილლექსები სევდასა და მარტოობაზე.

**მახსოვს ის წერილები, შენგან რომ მოვიდა ერთხელ ჩემს ფოსტაზე – ალბათ სხვა პოეტიც იქნებოდა, ვისაც მაშინ კითხულობდი და გაინტერესებდა – რა ჩანდა მაშინ შენი ფანჯრიდან, იმ სივრცეს ვგულისხმობ, რომელიც შატილიდან გამოჩნდა, რომ უეცრად ინტერნეტის მეშვეობით ვირტუალურ სივრცეში შემოიჭერი?**

ეგ ყველაზე კარგი პერიოდი იყო ჩემს ცხოვრებაში. შატილი. მარტოყოფნა. ზამთარი. ჩემი პირველი ძმაკაცი. სახლზე ფიქრი. წერა. და ინტერნეტი. ვკითხულობდი ყველაფერს, რასაც მივწვდებოდი. სანამ ინ-



ტერნეტი გვექნებოდა, ბიბლიოთეკაში ვიპოვე თანამედროვე ქართული პოეზია (მგონი, აზერბაიჯანულად თარგმნილიც იქვე იყო). მახსოვს და მიყვარს ეს წერილები – მეგობრები შევიძინე და ერთი სული მქონდა, თბილისში როდის ჩამოვიდოდი. მეგონა, ყველაფერი მართლა ისე იყო, როგორც შატილიდან ჩანდა. ფანჯრიდან კი ჩანდა შატილი, ადამიანები, რომლებიც ზამთარში იქ დარჩნენ, თითქოს ყველასგან განწირულები. არავის ახსოვდა და არც არავინ კითხულობდა მათ ამბავს. გზა ექვსი თვე დაკეტილი, არა საავადმყოფო, არა ტელეფონი. ცუდად რომ გახდე, აქ რა უნდა ქნა-მეთქი, ერთხელ ვკითხე და მითხრეს, არ უნდა გახდეო. მხოლოდ ერთმანეთში მისვლა-მოსვლა და პოეზია. ბავშვი, რომელიც სკოლაში ყოველდღე შორი სოფლიდან დადიოდა. ეს მახსოვს. შატილი აუცილებლად ზამთარში უნდა ნახო. სასწაულია. ამ დროს უფრო ნამდვილია იქ ყველაფერი.

**შენს სახლსა და ოჯახზეც გკითხავ, კი არიან შენს ლექსებში, მაგრამ მაინც, რა ხალხია დედაშენი და მამაშენი, რას აკეთებენ, რითი ცხოვრობენ? შენს პოეტობაზე რაღას ამბობენ?**

მამაჩემი მხატვარია, რაც მახსოვს, სულ ხატავს და სახლებს აშენებს ეზოში. თლის ხეებს და რას აღარ აკეთებს, რომ ჩვენ კარგად ვიყოთ. დედაჩემი მათემატიკის პედაგოგია ბარისახოს სკოლაში. ვერ წარმომიდგენია, რომ ზის და ისვენებს. დედაჩემი არის ადამიანი, რომელსაც შეუძლია, მთელი ცხოვრება ფეხზე იდგეს. არ მახსოვს ჩვენი სახლი სტუმრის გარეშე. დედაჩემს ერთდროულად შეუძლია ზრუნავდეს ოჯახზე, მეზობლებზე, ნათესავებზე, შინაურ ცხოველებზე, სხვის ტკივილსა და სიხარულზე... გაგვზარდეს ერთმანეთის ტანსაცმელში და ერთმანეთის სიყვარული გვასწავლეს. შვილებზე იშვიათად ლაპარაკობენ (მითუმეტეს კარგს). როცა ვინმე მათთან გვაქებს, უხერხულობა ემჩნევათ. ჩემს ლექსებზე კი თითქმის არასდროს უთქვამთ – კარგიაო. დღემდე

ასეა. ოღონდ არ იფიქრო რომ პოეზია არ ესმით, პირიქით.

**შენ როდის და სად დაიბადე? და რომ დაიბადე, რაო, რა თქვეს, კიდევ ერთი არაბული რომ მოევლინა იქაურობას?**

დავიბადე იმ წელს, როდესაც საქართველომ ბოლომდე დააღწია თავი საბჭოთა კავშირს. მესამე ბიჭი ვიყავი ოჯახში. და თქვეს ალბათ: „დაერქვას მას გიორგი, გოგია – სულის საბელი." და მისწერეს პაპა-ბებიას, რომ შეეძინათ მერვე შვილიშვილი.

**იმ დროიდან რა გახსოვს ყველაზე მკვეთრად? აი, ახლა, ამ შეკითხვის ბოლოში რომ ჩახვალ და უცებ თვალები დახუჭო, რაც ამოტივტივდება, ეგა თქვი.**

პაპა და ბებია. მათი სახლი. წყლის დოქი, რომელსაც ეწერა „თბილისი„. სამჭედლო. პაპაჩემის „პაბედა„. ჩემი ბიძაშვილი მაკო. მამაჩემის ნახატები. დასაქოქი ვერტმფრენი. ივა. სკოლის გზა. „მსოფლიო ხალხთა ზღაპრები". ზეთში ჩაწებული საფართხელების ჭამა. ჩირდილი.

**ყველაზე მეტად რომელი თამაში გიყვარდა და რატომ?**

პატარა სახლებს ვაშენებდი ეზოში. ძლივს ვეტეოდი შიგნით. ვთამაშობდი ფეხბურთს ცუდად და მაინც სოფლის გუნდის კაპიტანი ვიყავი. დიდად არ მიყვარდა თამაშები.

**და სახლი? თქვენი სახლი როგორი იყო?**

იყო პატარა და თანდათან გაიზარდა. ან პირიქით, დაპატარავდა და ჩვენ გავიზარდეთ. სახლი, რომელსაც უყვარს ადამიანები. თითქმის ყველაფერი ხელითაა გაკეთებული. სკამები და მაგიდებიც კი. კედელზე ნახატები. ექსპონატები. წიგნები. და სტუმრები სულ. გვერდზე სახლში საოჯახო




სასტუმრო გვაქვს. ის ზოგჯერ ბაბილონის გოდოლს ემსგავსება. ვინ აღარაა იქ. ერთდროულად მაგიდას უსხედან გერმანელები და ებრაელები, უკრაინელები და რუსები და საუბრობენ მშვიდად. ასეთი აურა აქვს მგონი ჩემს სახლს.

**აი, გიო არაბული სკოლაში მიდის – როგორი ბიჭი იყავი, რა გიყვარდა და რა არ? რა გამოგარჩევდა სხვებისგან, და თუ იყო ისეთი რამ, რაც მხოლოდ შენ გესმოდა?**

სკოლაში ეგონათ, რომ კარგი მოსწავლე ვიყავი; მასწავლებლებიც ასე თვლიდნენ, მაგრამ გაკვეთილებს უმეტესად კლასში ვსწავლობდი, შესვენებებზე. ძალიან მიყვარდა წიგნებში ქექვა და ბიბლიოთეკა. მიყვარდა სკოლის გზაზე გაყინულ გუბეებზე სიარული და ყინულის მტვრევის ხმა. მიყვარდა ლექსები და ჩემს მერხზე სხვადასხვა ლექსები ეწერა. სულ ჩანაწერებს ვაკეთებდი. მყავდა რამდენიმე ბაჭია, ძალიან მიყვარდა, ვუვლიდი, მერე მომბეზრდა და გავუშვი. სულ ვცდილობდი, არავის მსგავსი არ ვყოფილიყავი. ერთხელ, ვითომ, საყურე გავიკეთე პატარამ და ასე ავედი სკოლაში. ახალი ფეხსაცმელი რომ მეცვა, მეგონა, რომ ყველა ამჩნევდა ამას (ახლაც ასე მგონია ხოლმე, ქუჩაში ახალი ტანსაცმლით ან ფეხსაცმლით რომ გავივლი).

**როგორი საღამოები იყო ხევსურეთში, როგორი ზამთრები?**

ბავშვობა – ლამფის შუქი. რიტუალურად მშვიდი – მამა ხატავდა, დედა ქარგავდა ან საჭმელს აკეთებდა, ან ქსოვდა... ბერდო კითხულობდა, ან რეპროდუქციებს ათვალიერებდა, მამუკაც კითხულობდა და დღიურებს წერდა. მე ყველასთან ვიყავი. ერთი ამბავი მახსოვს. პატარა ვარ, ჩემი ძმები მამამ თბილისში წამოიყვანა, აღარ მახსოვს, რატომ. მე და დედა დავრჩით. ყოველ საღამოს გვიან შევდიოდი სახლში და მხვდებოდა მაგიდაზე დანთებული ლამფა, გამზადებული თეფში და იქვე საჭმელი. ღუმელიც ისევ ენთო. დედაჩემი უკვე იწვა. იმ დღეებშივე დედაც წავიდა თბილისში და დავრჩი მარტო. ათასი პირობით და თხოვნით თუ მითითებით. იმ დღესაც გარეთ ვიყავი. სახლში გვიან შევედი, როგორც ყოველთვის და სულ სხვანაირი სახლი დამხვდა. არც ლამფა. სიბნელე. ჩამქრალი ღუმელი. არც საჭმელი მაგიდაზე. და არც დედა სახლში. აი, მაშინ, ბევრს ვფიქრობდი ამაზე. შეიძლება, დავწერე კიდეც რამე. ბოლო დროს

იქაური საღამოები შეიცვალა ან მე გადავეჩვიე. აღარ აქვს ის განწყობა.

**შატილში მარტო წახვედი. ეგ შენი პირველი მარტო დარჩენა იყო, არა?**

კი, ასე იყო. მეათე კლასი რომ დავამთავრე, ბარისახოში, სკოლის დირექტორი დედაჩემი გახდა. ვფიქრობდი შატილში გადასვლაზე. ვიცოდი, რომ იქ მოწყვეტილი ვიქნებოდი ყველაფერს, თვეობით ვერ გავიგებდი სახლის ამბებს. ვერც დავრეკავდი. მაგრამ მაინც წავედი. დამოუკიდებლად ცხოვრებაც მინდოდა გამომეცადა. ჩემებმა მითხრეს, თუ ასე გირჩევნია, წადიო. და წავედი. იქ გადასულს დამხვდა ძალიან მაგარი ბიჭი – ირაკლი ჭინჭარაული, რომელმაც მითხრა, რომ ვერ გაუძლებდი. მაგრამ გავძელი. ირაკლიმ და ირაკლის დედამ გამაძლებინეს. გელა დაიაურმა და თეონა ქუმსიაშვილმა, რომელთაც იმ წელს იქორწინეს. საოცარი პერიოდი იყო. ვწერდი, ვკითხულობდი, ვხატავდი და ვაგროვებდი ხალხურ ანდრეზებს და ლექსებს. კლასში სამნი ვიყავით, მთელ სკოლაში – რვა. მეექვსე ან მეშვიდე კლასში ერთი მოსწავლე იყო, სოფო, რომელსაც ასეთი მორიგეობის ცხრილი ჰქონდა: ორშაბათს – სოფო, სამშაბათს – სოფი, ოთხშაბათს – სოფიო, ხუთშაბათს – სოფიკო, პარასკევს კი – ყველა. ეს ჩვენი სკოლის და ზამთრის შატილის ფორმულა იყო. იქ ვისწავლე მეთერთმეტე და მეთორმეტე კლასი.

**რას ჰგავს წერა შენთვის, რა რიტუალია ეს, როგორ წერ და რა დროს, რა გარემოში და რა საჭირო ატრიბუტიკით?**

დღემდე ვერ მივხვდი, როგორ ვწერ და რას მივყავარ წერასთან. ვწერ ყველგან: გზაზე, ხმაურში, სახლში, ეზოში, ლაშქრობაზე. ეს ჩემთვის განწყობების დაფიქსირებაა. შენახვა. ადამიანების და განწყობების. დაწერილს იშვიათად ვუბრუნდები და ეს ჩემი ერთ-ერთი მთავარი შეცდომა მგონია. ვწერ, როგორც უკანასკნელ ლექსს და მგონია, რომ ამის მეტს ვერასდროს ველარაფერს დავწერ.

**ხევსურეთს რა ხიბლიცა აქვს, მე თუ მკითხავ, ერთი იმდენი ცდუნებაც მოსდევს, გავლენის ქვეშ მოექცე, ფოლკლორი დიდი დოზით არ შემოგეპაროს ლექსებში, რაც უკვე დაიწერა და მოწონებულია, იმის გამეორების საფრთხეს ვგულისხმობ. ხშირად და ბევრი წერს ასე დღეს – როგორ გგონია, თანამედროვე პოეზიაში ისევ იმ ძველი ხალხური მოტივებით თამაში რამდენად აქტუალურია და საინტერესო?**



ძმებთან ერთად

თუ ეს მკითხველს მოსწონს, რატომაც არა. ოღონდ მე ყველაზე მეტად ამის მეშინია. ძალიან ძნელად შემაქვს ეს ელემენტები ჩემს ლექსებში. ბოლო დროს მთლიანად გადავერთე ეთნოგრაფიასა და ფოლკლორში. ეს არის საოცარი სამყარო. ანდრეზები, მითები, დატირებები, შელოცვები, ქადაგებები და ა.შ. ამოუწურავია. მეც ვეძებ ამ ტექსტებს, ზოგჯერ ვთამამდები და ვიყენებ. ალბათ, ზოგჯერ ამართლებს, მაგრამ მაინც მგონია, რომ – იშვიათად. ზოგჯერ საერთოდ ვიშორებ, მაგრამ ამ ტექსტების მუსიკა თავში მაინც გამჯდარი მაქვს, გავლენის ქვეშ მაქცევს. თუმცა, არც ის შეიძლება, მხოლოდ ამ თემებს იყო ამოფარებული. თუ წერ, ამის გარეშეც უნდა წერდე, რაც, მე მგონია, რომ ჯერ თითქმის ვერ მოვახერხე.

**სკოლა რომ დაამთავრე, უკვე იცოდი, რა უნდა გეკეთებინა? როგორი წარმოგედგინა შენი თავი დიდ ქალაქში – რის კეთება გინდოდა და საით წახვედი?**

ვიცოდი, რომ თეატრში კარგად ვიგრძნობდი თავს. თეატრალურზეც იგივეს ვფიქრობდი, მაგრამ იქ სულ სხვა გარემო დამხვდა და ვგრძნობდი, ძალიან მცვლიდა. ამრია. მაგრამ აღმოვაჩინე ძალიან საინტერესო და საყვარელი ადამიანები. წავედი ყველგან და სად აღარ მოვხვდი, უცნაური ამბები გადამხდა. უცნაური განწყობები, ხალხი, სიტუაციები. ხევსურეთიდან სულ სხვანაირი ჩანდა ყველაფერი.

**თბილისის ქუჩებში არ იკარგებოდი?**

თბილისი ძალიან მიყვარს. ჩემი მეგობრების ქალაქია და ჩემი მეგობრების თბილისი მიყვარს. მახსოვს, სოფლიდან

რომ ნამოვედი, რაღაც წიგნი ვნახე სახლში თბილისზე და იქ გავერკვიე რაღაცებში. ძალიან ბევრს დავდიოდი ფეხით. დღემდე არ ვიცი ბევრი ქუჩა. ქუჩებიც ძნელად ერკვევიან მგონი ერთმანეთში; ორი დადიანის ქუჩა, ორი ნიკოლაძის ქუჩა, ორი ტაბიძის ქუჩა. ნამეტანია მგონი ერთი პატარა ქალაქისთვის და ხევსურეთიდან ჩამოსული პატარა ბიჭისთვის.

**ის იმიჯი, პატარა პრინცის, კარგა ხანს რომ გაგყვა, სანამ თმაგაბურძგნული დადიოდი, მხოლოდ იმიჯი იყო თუ ეკზიუპერის ნამეტნავი სიყვარული?**

ეს არის წიგნი, რომელიც ყველაზე მეტად მიყვარს. პატარა უფლისწულზე ველაპარაკებოდი თითქმის ყველას. მერე რამდენიმემ მითხრა, რომ ვგავდი. ეს ძალიან უბრალოდ მოხდა და შეუმჩნევლადვე გაქრა. დარჩა მხოლოდ წიგნებზე წარწერები „ხევსურ პატარა პრინცს სიყვარულით.." მეგობრების დახატული პრინცები და ა.შ.

**მოყევი ბარემ, პირველად რომ დაგბეჭდეს, რა შეგრძნება იყო – რა გითხრეს, როგორი ნაწერებიაო? და ისედაც, შენთვის რა არის მთავარი იმ ტექსტში, რომელსაც შენ წერ და იმაში, რომელსაც კითხულობ?**

ძალიან ბევრი უცხო ადამიანი აღნიშნავდა, რომ ძალიან ნიჭიერი ვიყავი, შინაურები ამბობდნენ, არ დაუჯეროო. მიხაროდა ძალიან უცნობებისგან შექებები, მაგრამ ახლა ვერ ვხვდები, რატომ მატყუებდნენ? მაგრამ რამდენიმე ჩემი ლექსი მომწონდა. მერე თვალი და ყური მოვკარი სალამოებს, რომლებსაც მართავდნენ პოეტები – მე ძალიან არ მომწონდა მათი ლექსები და ვხვდებოდი, რომ ცუდი ტექსტები იყო. მერე კომპლექსიც გამიჩნდა, მეთქი, მეც ასე ხომ არ ვწერ... და აღარ ვბეჭდავდი. მთავარია, არ მოატყუო მკითხველი და საკუთარი თავი. მთავარი განწყობის დაფიქსირებაა.

**სხვანაირად რომ გკითხო – რა გიყვარს და რა არ გიყვარს ლიტერატურაში?**

მიყვარს ტექსტები, რომლებიც არ იპრანჭებიან, მიყვარს ტექსტები, რომლებიც არ ფიქრობენ მკითხველზე. მიყვარს არეული, თამამი, „დარტყმული" ტექსტები, პერსონაჟებით, რომლებიც იშვიათად საუბრობენ. ძალიან მიყვარს ზღაპრები. ყველა ტექსტი, რომელიც ემოციას ტოვებს და რჩება ადამიანში მოშინაურებული ცხოველივით.

**ის მწერლები და პოეტები ვინ არიან, ვისაც 2015 წლის ნოემბრის მონაცემებით გიორგი არაბული თავიდან არასოდეს მოიშორებდა?**

თამაზ ბაძაღუა, შოთა ჩანტლაძე, მაია სარიშვილი, ჯემალ ქარჩხაძე, ფოლკნერი, ცელანი და ხალხური ზეპირსიტყვიერება.

**როგორ გგონია, წიგნები ოდესმე გაქრება? და თუ ეგ მოხდა, რა იქნება?**

ოდესმე, ალბათ, ყველაფერი გაქრება. წიგნებიც და ფაილებიც. მერე იქნება ისე, როგორც ყველაფერი დაიწყო. ხატვა კლდეზე ხარების, ღმერთების... იქნება მითები და ეს გამქრალი წიგნებიც მითებად გადაეცემა მეანდრეზეების მიერ თაობებს, რომლებიც თანდათან რაღაცებს შეცვლიან. დაჯდება ვინმე ქადაგ-მეანდრეზე და მოჰყვება მითს, მაგალითად, „მითი დონ კიხოტისა", ან თუნდაც „მითი ლურჯი ოთახისა"... ბიბლიაც იქნება მითოლოგიურად შემონახული. მერე წერას ისწავლიან და ისევ დაიწერება პირველი წიგნი, სადაც პირველი იქნება „წიგნების გაქრობის მითი", რასაც არავინ დაიჯერებს.

**შენი და ლია ლიქოკელის ცხოვრება ჯერ-ჯერობით ერთმანეთისას ჰგავს, ხევსურეთი, მითები, თეატრალური, რეჟისურა, დუშეთის თეატრი – რა არის ამ რეჟისურაში ისეთი, რამაც შენც სწორედ მაგ მხარეს წაგიყვანა?**

ის გარემო, სადაც ჩვენ გავიზარდეთ, გაჟღენთილია მითებით, ლეგენდებით, საბადოა. ლია კი საოცრად ახერხებს პოეზიაში ამ ამბების და პერსონაჟების შემოტანას. სხვათაშორის, ამ მსგავსებაზე არ დავფიქრებულვარ. თავისით მოხდა – თეატრალურიც და დუშეთის თეატრიც. ხოლო თეატრი ჩემთვის არის გარემო, სადაც შეგიძლია, მთელი ენერგია დახარჯო და შედეგმა ან გაამართლოს, ან არა. ერთად მოუყარო თავი მუსიკას, პლასტიკას, ლიტერატურას, მხატვრობას და გარისკო. თქვა, რაც გინდა და როგორც გინდა. და რეჟისურა არის პროფესია, რომელ-



გიორგი XII-ს როლში

საც, ჩვეულებრივ, შეუძლია ზურგი გაქციოს, შენ თუ დაივიწყე.

**როგორი სამსახურია დუშეთის თეატრის რეჟისორობა, გამოგდის საქმე?**

დუშეთში მხოლოდ იმიტომ წავედი, რომ ჩემი რაიონი იყო. სადაც ახალგაზრდობა დაშორებულია თეატრს. თეატრი 135 წლისაა. მაგრამ თანდათან დაცარიელდა. ლიამ შეძლო და რამდენიმე ძალიან საინტერესო სპექტაკლი დადგა. ერთ-ერთი იყო გივი მარგველაშვილის „მოწმენი სარკეში". უკვე საინტერესო ნაბიჯია ეს ავტორი დუშეთის თეატრში, მაგრამ ადგილობრივი მაყურებლის ნაწილისთვის გაუგებარი დარჩა. მიუხედავად იმისა, რომ მსახიობებმა და რეჟისორმა დიდი ენერგია ჩადეს. რატომ მოხდა ეს? იმიტომ კი არა, რომ არ იყო კარგი სპექტაკლი, იმიტომ, რომ იქ მაყურებელი თეატრს გადაჩვეულია. წავიდა ლია. მივედი მე. მე ბავშვებით დავიწყე, დუშეთის სკოლებიდან 25 ბავშვი შევაგროვე და 4 თვე ვამუშავე ჩიპოლინოს თავგადასავალზე. ეს არ იყო მხოლოდ რეპეტიციები, ეს იყო ზეიმი ჩემთვისაც და ბავშვებისთვისაც. და ისე გაგრძელდა, რომ საათი და ოც წუთიანი სპექტაკლის განმავლობაში 6-დან და 12 წლამდე 25-მა ბავშვმა არცერთი სცენა არ ჩააგდო. ვიფიქრე, რაიონში თეატრი რომ შემეყვარებინათ, ბავშვებით უნდა დამეწყო და ასეც დავიწყე. ეს ბავშვები ჩემი უსაყვარლესი მეგობრები არიან. უყვართ თეატრი და დღემდე მირეკავენ, „გიო მასწს" მეძახიან და მეკითხებიან, მომავალ სპექტაკლში დავაკავებ თუ არა. საქმე გამოდის და წინ მიდის, ოღონდ ძალიან ნელა და საკმაოდ დიდი ენერგიის ხარჯზე. არ ვიცი, რა იქნება.

**აი, ცოტა ხნის წინ ჩირდილში ფესტივალიც ჩაატარე. რა დაგანახა მაგ ფესტივალმა, რა გამოკვეთე შენთვის და თუ აპირებ გააგრძელო, ერთგვარ ტრადიციად აქციო?**

წელს ჩირდილის ფესტივალის თემა ლიტერატურა იყო (ვფიქრობ, ყოველწლიურ სახეს მიიღებს და უფრო მაშტაბური გახდება, სადაც უცხოელი ავტორებიც ჩაერთვებიან). იქ ერთი კვირა იცხოვრა რამდენიმე ხელოვანმა, ხოლო კვირის განმავლობაში ლიტერატურული საღამოები, პრეზენტაციები გავმართეთ. ვფიქრობ, გაამართლა. სამომავლოდ იქ ვგეგმავთ ხელოვნების და ლიტერატურის სახლის აშენებას, სადაც ყველანაირი პირობა იქნება ცხოვრებისა და მუშაობისთვის.

**როგორი ლიტერატურული პროცესი გინდა იყოს საქართველოში და ამის გადაწყვეტა რომ შენს ხელში რომ იყოს, რას შეცვლიდი?**

ეროვნული ბიბლიოთეკა

პირველ რიგში, საგამომცემლო ამბებს მოვაგვარებდი. საქართველოში შეუძლებელია წიგნების შემოსავლით იცხოვრო. ქართულ ლიტერატურას აკლია თარგმნა და ჩართვა საერთაშორისო ლიტერატურულ პროცესებში.

**ისევ თანამედროვე პოეზიას რომ დავუბრუნდე, შენი აზრით, რა აკლია მას ყველაზე მეტად, ან პირიქით, რითაა სავსე?**

აკლია ექსპერიმენტები, რისკები. მუსიკის მხარე და ცდები. აკლია თარგმნა. ვფიქრობ, საზღვარგარეთ რომ წაიკითხონ ქართული პოეზია, იტყვიან, ამ ხალხს რა ატირებს და სულ რატომ სწუხანო. საქართველოში პოეზია – ტკივილია, პირდაპირაა გაგებული და მიდის ურვა და გლოვა წარსულისა, სიყვარულისა, დაკარგვისა და ა.შ. სავსეა ფსევდოპატრიოტიზმითა და ისეთი თემებით, როგორიც თავისთავად იწვევს თანაგრძნობას; მაგალითად, მიტოვებული ბავშვები, ხაოვნის ლექსები, ეპიდემიები, აბორტები, დაკარგული გმირები და ა.შ. ეს ამბები საინფორმაციოშიც შეგვიძლია ვნახოთ და მოვიძიოთ, თუმცა, ამ თემებზეც, ალბათ, შეიძლება საინტერესო და ნამდვილი ტექსტები შეიქმნას და არსებობს კიდეც. მაგრამ მგონია, რომ დღეს ძალიან კარგი თანამედროვე პოეტები გვყავს და პოეზიის მხრივ ყველაფერი კარგად მიდის.

**ვინ არიან ის ადამიანები, ვიზეც შენ წერ? რა ხალხია, რა უნდათ, საიდან მოსულან და საით მიდიან?**

ჩემი ადამიანები სხვადასხვა გზებზე დგანან და სხვადასხვა მიმართულებებით მიდიან. ზოგის გზა ლოღლიანია, ზოგის მდელოა, მაგრამ ნაწილმა ეს იცის, ნაწილმა – არა. იბრძვიან. გაურბიან საკუთარ თავს, რომ ისევ დაუბრუნდნენ. იმინაურებენ სიკვდილსაც და სიცოცხლესაც.

**დღეს რასაც აკეთებ, ეგ შენი საქმეა? თუ არადა, საით მიგიწევს გული, რისი კეთებისაკენ?**

ვფიქრობ – კი. მაგრამ პერიოდულად სხვადასხვა მიმართულებით მიმიწევს გული და გონი. მითოლოგიამ და ეთნოგრაფიამ ბოლო დროს ისე გამიტაცა, ამაზე საინტერესო რამ თუ არსებობს, ვერ წარმოვიდგენ ხოლმე. ხან კი მუსიკა – თითქოს სხვა არც არაფერი უნდა აკეთო, მთელი ცხოვრება იჯდე და ისმენდე. ბოლო დროს კინოს ინტერესი გამიჩნდა. იმის თქმა მინდა, რომ ცხოვრებაში შეგიძლია ყველაფერი აკეთო და სიამოვნება მიიღო, თუკი რაღაცების შემჩნევა და შეგრძნება გაგაჩნია. პოეზია ჩემთვის საიდუმლოსავითაა, არ ვიცი, როდის ან როდის დამთავრდება. მაგრამ რეჟისურაში ჯერ გეგმები მაქვს – მარაგი, რითიც კარგა ხანს დავკავდები.

**შენი პირველი წიგნი რომ გამოვიდა, როგორი შეგრძნება გქონდა? ახალი წიგნის კონტურები ხომ არ გამოკვეთილა?**

ეს იყო პირველი შიში და პირველი იმედი. ვფიქრობდი, რომ ეს ლექსები სადმე უნდა დაფიქსირებულიყო, შემენახა, რადგან ვგრძნობდი, თანდათან ცოტავდებოდნენ. მაგრამ ვფიქრობ, არცთუ კარგი ნაბიჯი იყო. ახლა ძალიან არ მიყვარს ეს წიგნი. რომ მეკითხებიან, სად შეიძლება შეიძინოს,

ხშირად ვამბობ, რომ აღარსადაა (არადა, მალაზიებში ისევაა შემორჩენილი). პრეზენტაციის დღეს 400 წიგნი გაიყიდა. ეს გამიხარდა მაშინ, მაგრამ ნეტავ შეიძლებოდეს ამ კრებულის და ძალიან ძველი, ინტერნეტით გავრცელებული ლექსების გაქრობა.

ახალ კრებულზე ჯერ არ ვფიქრობ. თუმცა, სამი ეთნოგრაფიული და მითოლოგიური პოემა დავასრულე. ერთი მარტოკაცისა და სოფლის ამბავია, მეორე ხევსური ქადაგის საგა (ურვანი და ანდრუზნი), მესამე კი ხოგაის მინდის ახალი მითი, რომელიც ანდრეზების და გადმოცემების მიხედვით დავწერე. გავიდეს დრო, ჯერ შენიშვნებს მივიღებ, ჩავასწორებ, დავრწმუნდები, რომ ღირს დაბეჭდვა.

**მე დღეს ჩემი გკითხე, შენ რას ჰკითხავდი გიო არაბულს?**

რა უნდა საერთოდ? ან ამ ქალაქში რა უნდა. უფრო ხშირად რატომ არ არის იქ, სადაც ყველაზე მეტად ელოდებიან და სადაც კარგად გრძნობს თავს. რატომ ვერ ისნავლა სხვადასხვა ამბებისგან?



### ალდის ლექსზე

გიორგი არაბულის „ალდის ლექსს" შემთხვევით გადავაწყდი ფეისბუქზე.

რა მინდოდა მეთქვა? უჰ... ბევრი რამ... პირველი: ჩემი, როგორც მკითხველის აღფრთოვანება! და რა აღაფრთოვანებს ჩემნაირ მკითხველს? პირველ რიგში ის, როცა ეს მკითხველ-მოგზაური მოულოდნელ სიმაღლეს, ძალიან მიმზიდველს წააწყდება! თან იქ, სადაც გადატრუსულ ბორცვებს შორის მიდის და არანაირად არ ელოდება ცამდე აწვდილ მთას მთელი თავისი სიდიადით – ძალებიდან (ან იქნებ უფსკრულებიდან) დაწყებული, ტყიანი ფერდობებით გაგრძელებული, ალპური ველებით და შემდეგ "ჭაუხებით" (ჭიუხებით), სავალად საშიში მწვერვალებით დამთავრებული. დამთავრებული? არა. სიმაღლეში, უსასრულობაში, შეუცნობელში გაგრძელებული... როგორც ალდის გზა. მე გიორგი არაბულის ლიტერატურულ კრიტიკულ განხილვას არ დავიწყებ. არ მაქვს არანაირი სურვილი, ვინმეს მოვუყვე, თუ რა მითოლოგიური სიღრმეების, ქართული ხალხური პოეზიის როგორი გააზრება შესძლებია ამ ახალგაზრდა დიდ პოეტს... მე, პირადად, ამ ლექსის წაკითხვის შემდეგ... კაი ხანს გაოგნებული დავრჩი... დღესაც ბედნიერად გაოგნებული ვარ... თუ ვინმეს პოეზია გიყვართ, არ გამოტოვოთ გიორგი არაბულის არცერთი სიტყვა. ეს დიდი პოეტია. და გალაკტიონის ხუმრობისა არ იყოს, არა მხოლოდ საქართველოში... რაო? ვაჭარბებ?! არა... ყველაფერი კიდევაც ვერ ვთქვი...

*ომარ თურმანაული*

*გიორგი არაბული*

* * *

სიკვდილის ვარცლში ფეხჩადგმული
კუბოს ითლი და ლექავ თამბაქოს
ცოლი სარკმლიდან გადმოგყურებს
თავშლის სწორებით
თვითონ ზურგზე გრძნობ ჩამქრალ თვალებს
ტკივილს
სიყვარულს
და განუვს ტვირთად მისი ცხოვრება
ცოლის გადაღლას
დამჭკნარ ღაწვებს
დაბეჩავებას
შენს თავს აბრალებ
სიკვდილშამაენწუხრა დგება დაცლილი სოფლის
წყალწყალა რწმენა შეგრჩენია
როგორც სიბრმავე
და კვდები
კვდები
თან სიკვდილიც არ გაქვს სამყოფი
გადააფურთხებ მწარე თამბაქოს
ცდილობ სული გადააყოლო
მზის გადაწვერას
გადააყოლო გაჭირვება
ცოდვა
სიბრალე
ცოლი კი გზვერავს
შეპარვია მასაც სიბრმავე
და მისი მზერა
გინგრევს ნეკნებს
გინგრევს სოფელს
მინას ხლეჩს და
რაც ცოლი გახდა
გაგიძნელდა სიტყვა „მიყვარხარ„
ამასობაში დაგიბერდა
დაგიბეჩავდა

**ურვა დაბერებისა**

გაიარა ბერდიამ მამულში, დადო ქვა და თქვა: **„აქ დავბერდი"**
გაიარა ჭირ-ლხინში ბერდიამ, დადო ქვა და თქვა: **„აქ დავბერდი"**
ბერდიამ გაიარა სინდის-ნამუსში, დადო ქვა და თქვა: **„აქ დავბერდი"**
ჯვარში გაიარა ბერდიამ, დადო ქვა და თქვა: **„აქ დავბერდი"**
გაიარა ბერდიამ ცოლში, დადო ქვა და თქვა: **„აქ დავბერდი"**
სიცოცხლეში ბერდიამ გაიარა, დადო ქვა და თქვა: **„აქ დავბერდი"**

გაიარა ბერდიამ,
ვეღარ ნახა ქვა დასადები, დაბერდა და თქვა: **„ყველაფერი ვადით არი."**

ეროვნული
ბიბლიოთეკა

**ფსალმუნი**

*„Google"*
*/ლარი პეიჯი, სერგეი ბრინი / 1996.*

ვინც დაიძინებს – გადარჩება.
ვინც თვალს დახუჭავს – გადარჩება.
ვინც ჩუმად იქნება – გადარჩება.

ღმერთო სთხოვე ადამიანს – დაიძინოს.
ღმერთო სთხოვე ადამიანს – დადუმდეს.
ღმერთო სთხოვე ადამიანს – არ მიგატოვოს.

პურის ნამცეცებში გეძებ.

www.google,com
ღმერთი – :ძებნა: :იღბალს მივენდობი:

თქვენი შეკითხვა; – „ღმერთი" –
არ მოერგო არცერთ დოკუმენტს.

რჩევა-დარიგება:
დარწმუნდით სიტყვის მართლწერაში.
სცადეთ სხვა საკვანძო სიტყვები.
სცადეთ ნაკლები საკვანძო სიტყვები.
სცადეთ უფრო ზოგადი საკვანძო სიტყვები.

* * *

ეზო.
თოკზე ქალის და ბავშვის ტანსაცმელი.
მოთიბულ ბალახზე მიწოლილი ცელი.
ასკილის ჩრდილში სძინავს ბავშვს.
ქალი ჩრდილს ყარაულობს და
გაჭრილ თითს თავშლით იხვევს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

## ურვა ქცევისა

იძახა გაგამ
წესნი ქცევისა, ყურადიღებდეთ:

სტუმარს ყოველთვის გაეგებეთ კარში და წასვლისას მიჰყევით კარამდე.
თუ მოშუღლარი შენზე კარგად ხმარობს ხმალ-ხანჯარს – ხელ გაუმართიდ.
შუღლში ძლიერად თუ დაჰკრავ ხმალს – ის იფიქრებს, შევაშინეო.
თუ ქალი გულში ჩაგივარდა და არ უნდიხარ,
შეიზიზღე, თორემ დაგაბერებს,
(წარმოდგინე, როგორ ჰკოცნის შენს მტერს კისერზე.)
თუ პურის ნახორს ფხოჭნის შვილი,
არ მიაჩვიო გაჭირვებას.
თუ ნადირთ უქმში გაერიე,
სანთელი აანთე და დაისვენე.
თუ დასევადული საკუთარი გონი იგრძენი,
გადი სამჭედლოში და ჭედე ხმალი.
ზოგჯერ ასეა, ლაბახადაც არ ვარგა კაცი.

ვინც ცხენზე დაჯდომას მოინდომებს, ჯერ ცხენს ძუა გამოუნასკვოს,
ვინც კაცის მოკვლას მოინდომებს, ჯერ გააჩინოს,
ვინც ფიცის გატეხას მოინდომებს, ჯერ დადოს ფიცი,
ვინც ჯვარის ღალატს მოინდომებს, ჯერ შეჰფიცოს ერთგულება.
ვინც არგნის გათლას მოინდომებს, ჯერ საკუთარ ფიქრს დაეყუდოს.

ერთხელ, ბისოელმა ხთისომ, ბაკურხეველი ფიცხელაური დავითი სახლში მოიწვია, მასპინძელმა ბევრი ასვა, აჭამა, კარგად გაუმასპინძლდა. გიორგით დავითს არაყმა აწყინა და გული აერია. გაწყრა ბისოელი ხთისო და სტუმარს ხანჯარი ყუაზე დაჰკრა: – იმდენად არაფრად ჩამაგდო, რომ ჩემი პატივისცემა ჩემსავე სახლში ამოსთხიაო.

და თქვენ,
გაიგონიდით:
ჭამეთ და სვით იმდენი,
რომ შეგერგოთ,
ზოგჯერ ნერწყვი იმყოფინეთ
გასაძლომად და გასაჯავრებლად.

## ნაწყვეტი პოემიდან „ალდის ლექსი. ალდის სიზმრები“

საიდან მოვიდა სიკვდილი,
რომელ ქარს ჩამოჰყვა სოფლამდე,
ივლისისაა თუ იანვრისა,
რომელი ღელე გადმოიარა,
რომელ წყაროსთან გაჩერდა სულისმოსაქცევად,
რომელ წელთგზაზე არ დაუცდა ფეხი...

აათავა ბილიკი ალდიმ და თქვა:
„სირცხვილი რომ მოგადგება – სიკვდილი ეგ არი,
ბეჩავად ყოფნა და კარში ვერგამოსვლა –
სიკვდილი ეგ არი,

ეროვნული
ბიბლიოთეკა

დიაცთან რომ შერცხვები – სიკვდილი ეგ არი.
შინ ყვირილი რო გაგიადვილდება და გარეთ ხმის გაღების შეგრცხვება – სიკვდილი ეგ არი.
სტუმრად მოსულ მტერს რომ ხელცალია ან მწოლიარე ავადმყოფი დახვდები –
სიკვდილი ეგ არი.
შენს მკვდარ შვილს ზურგში რო ექნება ჭრილობა – სიკვდილი ეგ არი.

(ეგ ორჯერ მკვდარია, გაქცეული რო ჰკვდება.)

მარტო კაცის ყოფა – სიკვდილი ეგ არი.
ცოცხალი რო ხარ – სიკვდილი ეგ არი.

ჩამოჯდა ალდი ქვაზე,
გადააფურთხა თამბაქო და თქვა: –
სიკვდილო, არც რა შენ ყოფილხარ სირცხვილზე მეტი.

......
ნეტავ შეიძლებოდეს ხორცი წაიყარო ტანიდან,
როგორც ტალავარი
და სული ზემოთ დატოვო,
ნეტა შეიძლებოდეს
ჩამოქცეული სახლის ბანი მარტო კაცის ხელით
მთელდებოდეს და იტკეპნებოდეს.
ნეტავ შეიძლებოდეს ამ ბანზე ბალღები დარბოდნენ და
კვამლი ამოდიოდეს.
ნეტავ შეიძლებოდეს,
ისეთი გუბეების დაშრობა,
შიგ ჩანოლა რომ არ გჭირდებოდეს.
ნეტავ შეიძლებოდეს სიკვდილი მოდიოდეს
და სახლში პატიჟებდე,
ნეტავ შეიძლებოდეს,
სიკვდილის სოფელში,
იმათ მკვდართ საფლავებზე ქრისტესისხლები ამოდიოდეს,
ნეტავ შეიძლებოდეს
სიკვდილი წინ გეჯდეს, არაყს ასმევდე და
ბალღის სიცილს ასმენინებდე,
ნეტავ შეიძლებოდეს
სიკვდილს შენ საბანს აფარებდე და
თვითონ მიწას არ გაყრიდეს.

.......
რა ხნისაა სიკვდილი და
რამდენი და-ძმა ჰყავს?
ნეტავ რა ჰქვია დედას სიკვდილისას, თუ
იცის ტალავრის ქსოვა და
ლოცვა შემინებულისა? ნეტავ თუ დაჰლამებია მამას შეშაზე წასულს
და თუ ჰლოდინებია სიკვდილი ცისპირისტეხამდე?!

.......
რა ფერია სიკვდილი?
თბილია თუ ცივი სახლში შემოპატიჟებული?
სად მიდის სიკვდილი?
სად სძინავს სიკვდილს?

ეროვნული
ბიბლიოთეკა

## ურვა მწერალთა

გეძახით მწერალთ,
გეძახით მწერელთ;

ნეტავ რას ხაპავთ ამდენ მელანს,
ან ნამკითხველი რისთვის
მოგდევთ სიტყვების კვალში?!

კაცმა იმდენი უნდა წეროს,
არ გადაასწროს საკუთარ თავს,
არც დაენიოს
და ეს მანძილი ზომოს
გზიდან აკვნის კარბამდე.

ცოტა დაწერეთ,
ბევრს რასამ ყური დააყოლეთ,
დაისწავლეთ ენა ცხოველისა,
რადგან ერთნია მოუბარნი და არას მთქმელნი.
მოუსმინეთ მდინარისა და მყვართა სიმღერას
მერმე გაარჩიეთ კაცთა მიმართ მათი განწყობა.

დააკვირდით ყვავილებს,
გაარჩიეთ ფერები ერთმანეთისაგან,
ყველა ფერს თავისი სახელი დაარქვით,
აურიეთ ერთმანეთში, მერმე ააწყვეთ.
და თქვით რატომაა ყველა(ფერი) გარდაუვალი,
რა ბედენაა თუ სიბნელე ჩაგვყლაპავს ყველას.

დააკვირდით ქვებს,
მოუსმინეთ და გაარჩიეთ ერთმანეთისგან
არა სიმძიმით,
არა ფერით,
არა ზედაპირით,
არამედ იმით, თუ რომელი გამოდგება სახლის საძირკვლად,
რომელი კერპად,
რომელი საფლავისთვის,
რომელი კაცის კვლისთვის და დაიხსომეთ ქვის წამალი ისევე ქვაა.

ეს დაიძახა თარხნათ გაგამ
და წარმოიდგინა ფერადი ქვების ყვავილობა
მდინარის პირას.

* * *

პირველად რომ დავტოვე,
იდგა გოგო აკაფული დგნალივით და
საკუთარ ჩრდილს ეფარებოდა.
მეორედ რომ დავტოვე,
იდგა გოგო ნაძვივით გირჩებდაყრილი.
მესამედ რომ დავტოვე,
იდგა გოგო დანგრეული ტაძარივით
და სიმირგვლივ ქვებისგან ყორეს იშენებდა.
სამივეჯერ იდგა გოგო,
მე კი წამოსვლისას სამივეჯერ დავგორდი
ნარეკლიან ფერდობზე.

## ურვა სიცოცხლისა

გზაზე გასული,
ლოდს გვერდს აუვლი,
კენჭს კი ფეხს გაჰკრავ –
თითქოს გზას გიფარავდეს...
აი, ეგლაა ჩემი სიცოცხლე
მაგასლა ქვია ჩემი სამზეო.

## ურვა სიკვდილისა

იძახა გაგამ ნესნი მკედრის სამარხისა:

მკვდარს სანამ სული ამოუვა,
გაიყვანეთ,
წინვარდაზე დააწვინეთ,
ერთ ხელში სანთელი დააჭერინეთ, მეორეში ხმალი

მამკვდარს ნარევში გაუთენეთ,
ნარევში მყოფნი განიბანეთ დასარხვის მერე
და დაუბრუნდით საკუთარ ჯალაფს.

არ მიესალმოთ,
და ოჯახობა არ გამოკითხოთ მოსულს, მაწეულს,
ჭირის საწყენად მოსულ კაცებს
უთხარით მხოლოდ:
„ავზედ ნუღარ შაიყრებითო“.

მიცვალებულთან შორად დადგნენ:
ჯვარის ხუცესნი,
დასტურ-ხელოსანნი,
ქადაგ-მკითხავნი,
ხოლო მატირალთ დაიტირონ, როგორც მძინარე.

დაასაფლავეთ მესამე დღეს:
სამშაბათს, ხუთშაბათს, შაბათს ან კვირაეს.
მთელმა სოფელმა დაიუქმოს.

ვისაც მოჰყვება იარაღი, უკუღმ აისხან,
ხოლო დიაცნი პურის სამ კვერს გამოაცხობენ.

ქალებმ ნაწვანი მოიჭრან და მკვდარს ჩააყოლონ.

მესაფლავენო,
თუ ამოჩნდა სხვათა სამარხი,
გაპოხეთ ძვლები კარაქით და
უკან ჩაწყეთ.

ჩაასვენეთ და დედულთ შემდეგ
სამ-სამჯერ ბლუჯით მიაყარეთ
აკლდამას მიწა.

დაადეთ ქვა და თქვით შენდობა:

„იალიმც შახოლ იაღშია,
გზაიმც ხსნი გაქვს,
სულიმც იაღი,
ნურც ცუდ ნათქომი,
ნურც ნაქნარი ნუ გალონებს...“

თქვით მხოლოდ ითხი:
შანდობა მკვდრისა,
მგებრთა,
დამჩომთა
და ბოლოს ღთისა.

დაიმალეთ და განირიდეთ სამარეს მკვდრისაა.



* * *

როცა ყველა მდინარე დაშრება,
როცა ჩემს სახლს ობისფერი გადაფარავს
და ლურჯი სიზმარი დასრულდება,
როცა მიწით შევიმოსები,
როცა ჩამყვება ყველა სურვილი მიწაში
და მეც ჩავყვები მწვანე ბილიკს სამარისაკენ –

მეტყვი:
„შენ მოკვდი მთაზე, რომელზეც ადიოდი,
როგორც მოკვდა აარონი,
შენი ძმა, ჰორის მთაზე“,

და მე ვიტყვი:
„როდესაც ვდუმდი – გაცვითა ჩემი ძვლები
ყოველდღიურმა გოდებამ ჩემმა“

ეროვნული ბიბლიოთეკა

## ნაწყვეტები პოემიდან „ხოგაის მინდის ახალი მითი“

მე აქ გავიზარდე,
ქაჯთსოფელში.
ამ ოთახში,
ამ ვარცლში მბანდნენ შვიდი თვე.
მერე გუდანურში გამახვევდნენ,
რომელიც სავსე იყო გირწყილებით და ნაკბენებს
ორი ჭინკა მფხანდა,
ურძნის ჯოხით.
ბავშვობიდანვე შემაჩვიეს ქრისტიანის ხორცის ჭამას.
მეც ვჭამდი, როგორც საჭამადს და
ჩუმ-ჩუმად შუაცეცხლიდან ნაცარს
ვფხოჭნიდი
და პირში ვიტენიდი.

.......

ხმიადს კუთხეს ვატეხდი და
მოხარშული ქრისტიანის ხორცის წვენში ვაწებდი...
– ასე მინდი, ასე. კარგად გაცოხნე დ ისე ჩათქი –
მეუბნებოდა აღმზრდელი დედიკა და
თვითონ მოხარშული ხერხემლიდან
ტვინს სწოვდა.
– მიდი, ჩემო ნაწილიანო,
სხვათაზედ უკეთესო,
წმიდათ ხელიანო..
ღთისრჩეულო.
შენ თუ გაუთბობ და გაუხარებ გულს შენს დედიკას,
შენ თუ დამარხავ,
შენ თუ დაიტირებ..

მკაიზმრა მხედარი,
თეთრ ცხენზე იჯდა და მეუბნებოდა:
– წამოდიო, ბალღი აღარ ხარო. –
თვალი რომ გავახილე, გუდანურიდან გველი გასრიალდა.

უნდა გავიქცე –
ვიქცევი და ვარცლიდან ფეხი ამოვყავი.

– სისხლი მოიწმინდე თვალებიდან მინდი,
– სისხლი მოიწმინდე შუბლიდან მინდი,
– სისხლის პერანგი გაიხადე მინდი.

.......

*თავისმოკვლა* – ერთადერთი გამოსავალია,
თორემ გაცოხნა სიცოცხლემ მინდი,
ფარდაგივით გაიფინა
და დაშნასავით გაიბლაგვა.
ეს აზრი ბაწარივით
ეხვია ყელზე და რაც უფრო იჯერებდა, მით
სულფონად გრძნობდა თავს.



ეროვნული
ბიბლიოთეკა

გვერდზე ოთახში დედიკა გველებს კლავდა და
სპილენძის ქვაბში ხარშავდა.
ბევრჯერ უნახავს მინდის,
როგორ იხარშებოდა ქვაბში მისი ბავშვობა
გველებთან ერთად.

ამ აზრმა იმდენად დაამსუბუქა მინდი,
რომ ფეხზე წამომდგარი დედაბოძს დაეგალა
და იქვე სამფეხა სკამზე ჩამოჯდა.
იჯდა მინდი დანაკვერჩხლებული თვალებით შუაცეცხლთან,
იჯდა და ღმერთზე ფიქრობდა,
როგორც ბავშვობაზე, რომელიც არაქაჯთსოფელში დაკარგა.
ბუტბუტებდა მინდი: –
ღმერთი – ქადისკვერი,
ღმერთი – ყორე,
ღმერთი – წყალი ან წყალობა,
რომელსაც ველზე გაშლილ ქალებს ეძახდნენ მამ-ბიძები.
ისხდნენ ქალები,
ხმიადებს ნამცეცს აახლეჩდნენ და ისე ჭამდნენ თითქოს აკრძალული ჰქონოდათ და
ატრიალებდნენ თვალებს.
კაცების წყალობაზე წამოიშლებოდნენ ხოლმე,
როგორც ფრინველები ზვავის ხმაზე...
მინდის სოფელში ქალებს
ერთდროულად შეეძლოთ გახარებოდათ კაცების შემოძახილი წყალობა,
შეშინებოდათ და ამით
ბედნიერნი ყოფილიყვნენ.
.......
ცხრა ლოგინი გამოუცვალეს მინდის.
ცხრა ფერი იცვალა მინდიმ.
სიკვდილშეყრილი ხროტინით სუნთქავდა და
ამოსუნთქვისას პირიდან ფუტკარი ამოსდიოდა.

თვალებიდან სისხლი სდიოდა მინდის,
ძუძუსთავებიდანაც..
– მაგით გამოკვებე შვილები, შე ნაწილიანო –
ბუტბუტებდა სკივრზე ჩამომჯდარი ქაჯი.
მინდი კი, ქვაკაცას დამსგავსებული,
პირქვე ინვა და გმინავდა.
ილლიებთან კასრისოდენი ხორცმეტები ეკიდა და
გამალებით იქავებდა.
– ურსა მომიტანეთ – თქვა ერთხელ მინდიმ.
არცერთი ქაჯი არ გაიჩუჩა და ისხდნენ გრძელ სკამზე დატყვრეცილები.
– ჩემი ურსა – დაიღრიალა მინდიმ და
მისი პირიდან ყვავი ამოფრინდა,
ჯერ ჭერს ეცა,
მერე მოწყვეტილი ქაზდარს დაენარცხა,
ბოლოს კი სარკმელი იპოვა და ტყვიასავით დაეშვა
საფლავებისკენ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# احمد رضا احمدی



# აჰმად რეზა აჰმადი

აჰმად რეზა აჰმადის (დაბ. 14 აპრილი, 1940) ირანში ზოგჯერ „უკანასკნელი ცოცხალი კლასიკოსის" ზედწოდებითაც მოიხსენიებენ. ამით არსებითად ხაზს უსვამენ მის სიდიდესა და ამ პოეტის ადგილის მნიშვნელობას თანამედროვე სპარსულ ლიტერატურულ პროცესებში, თორემ თვითონ აჰმად რეზა აჰმადი არამხოლოდ კლასიკურ პოეტურ მემკვიდრეობასთან, არამედ მეოცე საუკუნის დასაწყისში, უდიდესი ნოვატორი პოეტის, ნიმა იუშიჯის მიერ შემოტანილ და შემდეგ ფართოდ დამკვიდრებულ ე. წ. „ახალ ლექსთანაც" კი მუდამ ინარჩუნებდა კრიტიკულ დისტანციას.

სწორედ ნიმასეული რეფორმის ფარგლებში აჰმადიმ მოახერხა თანამედროვე სპარსული ლექსის განახლების პროცესი, როგორც ფორმის, ისე შინაარსის თვალსაზრისით, ახალ სიმაღლეზე აეყვანა. მან ერთ-ერთმა პირველმა იგრძნო, რომ კლასიკური საზომების რღვევა და ამ ნანგრევებზე ახალი საზომებისა თუ ფორმების შემოტანა საკმარისი არ იყო და თანამედროვე ეპოქას სპარსული პოეზიის ინტონაციური განახლება სჭირდებოდა.

ინტონაცია, რომელიც მჭიდროდ არის დაკავშირებული პოეტური სინტაქსის მოდულაციებთან, ისეთ მყარ შემოქმედებით მარკერს წარმოდგენს, რომლის არსებითი რეფორმაც იწვევს სწორედ პოეზიის გამომსახველო-

საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკა

ბითი საშუალებების ძირეულ სიახლეებს. ტრადიციული, პათეტიკური პოეტური დისკურსიდან ინტონაციის ჩვეულებრივ სამეტყველო ტონალობაში გადაქაჩვა მთლიანად ცვლის ხედვის კუთხეს და თვითონ პოეზიას თვითგამოხატვისა და ფიქსაციის ახალ-ახალ შესაძლებლობებს გადაუხსნის.

პრინციპულად სწორედ ამის მეშვეობით მოახერხა აჰმად რეზა აჰმადიმ, რომ პოეზია კი არ დაუახლოვებია ცხოვრებასთან, იგი თვითონ ცხოვრებად, ყოველდღიურ ყოფიერებად ექცია. ამ კონდიციაში, ავტორისათვის ყველაფერი, რასაც ეხება და ფიზიკური თუ მეტაფიზიკური შეგრძნებების დონეზე აღიქვამს, პოეტური დისკურსის განუყოფელი ნაწილი ხდება. აქ აღარ არსებობს ცხოვრების დაყოფა „პოეტურ" და „არაპოეტურ" გამოვლინებებად, სიტყვების დახარისხება „პოეტურ" და „არაპოეტურ" სიტყვებად. ეს უკვე ერთიანი ემოციური ველია, რომელიც მაგნიტიეით თავის წიაღში იტაცებს ყველაფერს, სათავისო დისტანციაზე მიუახლოვდება.

ამიტომაც აჰმად რეზა აჰმადისათვის ლექსის წერა მუზის ან ნებისმიერი მეტაფიზიკური ძალის ზებუნებრივი მადლი კი არ არის, ჩვეულებრივი მდგომარეობაა, სამყაროსთან ურთიერთობის ერთადერთი სწორი, მისთვის მოსახერხებელი და ადეკვატური საშუალება. აქედან გამომდინარე, აღარ გვიკვირს პოეტის ის საოცარი პროდუქტიულობაც, რასაც სხვა მოკალმეს გრაფომანის ჩვეულებრივ ჟინად ჩავუთვლიდით.

ამ რამდენიმე წლის წინათ ირანში საუკეთესოდ გამოცემული აჰმად რეზა აჰმადის სრული კრებული, რომელიც სამ ვეებერთელა ტომს მოიცავს, თავზარდამცემ შთაბეჭდილებას უკვე მანამდე ახდენს, სანამ შეეხები. კითხვისას კი იმასაც აღმოაჩენ, რომ პოეტი მორევივით მიგითრევს საკუთარ წარმოსახვათა, აზრთა და განწყობათა ფოიერვერკულ ნაკადში და ნელ-ნელა შენ თვითონაც გაქცევს თავისი პოეზიის ორგანულ ნაწილად, თითქოს ამ ყველაფერს გარედან კი არ უყურებდე და აფასებდე, შიგნიდან გადიოდე ყველა იმ გზას, რაც ამ ლექსებამდე პოეტმა გაიარა. ამ მხრივ, აჰმად რეზა აჰმადი ძალიან ჰგავს ქადაგსა თუ მჩხიბავს, რომელიც სიტყვების აზრამდელ, ემოციურ საწყისებთან გვაბრუნებს და მისი ეს საოცარი ერთიანი მხატვრული პერფორმანსი წარმატებული თერაპიის ფუნქციას ასრულებს ყველა იმ ფობიის წინააღმდეგ, რასაც თანამედროვე ცივილიზაცია და საერთოდ, ცხოვრებისეული გამოცდილებები დღევანდელ ადამიანს უყალიბებს.

ამ თვალსაზრისით, აჰმად რეზა აჰმადის პოეზიას ვერ მივაკუთვნებთ პოეზიის ტრადიციული დაყოფის შედეგად მიღებულ ვერცერთ პირობით დეფინიციას: ეს არც „აზრის პოეზიაა" და არც – „ემოციის". აჰმად რეზა აჰმადი ცდილობს იმ წერტილში დაგვაბრუნოს, სანამ აზრი და ემოცია ატომივით გაიხლიჩებოდა ერთმანეთისაგან. ამ ათვლის წერტილიდან შესანიშნავად ჩანს, რომ ყველა გამოცდილება ერთნაირად ფასეულია და არ არსებობს თავისთავად საშიში ან სახიფათო გამოცდილებები, რადგან, შესაძლოა, პიროვნულ განვითარებას ყველაზე უფრო სწორედ იმ გამოცდილებამ შეუწყოს ხელი, რაც ამა თუ იმ მომენტში ყველაზე დესტრუქციული გვეჩვენება.

ყოველ შემთხვევაში, ასე ხდება ენის ისეთი დეკონსტრუქციის შემთხვევაში, რასაც აჰმად რეზა აჰმადი გვთავაზობს. ის ამტკიცებს, რომ როგორც კი მოვარღვევთ სინტაქსის ტრადიციულად დომინანტურ და გაბატონებულ მიმართებებს, ერთის ადგილას მყისვე მილიონი შესაძლებლობა გამოჩნდება და ეს შესაძლებლობები თავისთავად მოიყოლებენ ახალ-ახალ ემოციას, რაც ინტონაციის ემბრიონულ მდგომარეობაში ნეიტრალურად გამოიყურება. ეს ემოციები არც კარგია, არც ცუდი, არც დადებითია, არც უარყოფითი. ისინი ავტონომიურად არსებობენ და სწორედ ისეთ მნიშვნელობას იძენენ, რასაც ამა თუ იმ ეტაპზე თვითონვე მივანიჭებთ.

ქართველი მკითხველი აჰმად რეზა აჰმადის პოეზიას პირველად ამ ათიოდე წლის წინათ გაეცნო ჩემი თარგმანებით, მერე ეს ლექსები, ახალ ნამუშევრებთან ერთად, წელს, „კავკასიური სახლის" მიერ გამოცემულ „თანამედროვე სპარსულ პოეზიაშიც" შევიდა და თითქოს, ვალი უკვე მოხდილი მქონდა ამ პოეტის წინაშე, მაგრამ ამ ვეებერთელა ტომის გამოქვეყნების შემდეგ ჩემი ურთიერთობა აჰმადისთან ვერაფრით დავამთავრე.

მთავარი შინაგანი ბიძგი, რამაც ისევ და ისევ მიმაბრუნა მის შემოქმედებასთან, არის ის, რომ ქართულ პოეზიას ნამდვილად აკლია მისი მსგავსი გამოცდილება და თარგმანით ვცდილობ ამ გამოცდილების ადაპტაციასა და შემოტანას მშობლიურ ნიადაგზე.

თუმცა, რადგანაც, როგორც უკვე აღვნიშნე, აჰმად რეზა აჰმადის ძიებები გადაჯაჭვულია სპარსული ენის სინტაქსთან და სინტაქსურ ინტონაციებთან, ამ პოეზიის თარგმნა იოლი არ არის და ბევრი ნიუანსი თავისთავად იკარგება სხვა ენაზე ანალოგიური გამოცდილების (ან სრული ან ნაწილობრივი) არარსებობის პირობებში.

ვფიქრობ, დღევანდელი „ახალი საუნჯის" ნომერი, სადაც თავი მოიყარა აჰამდ რეზა აჰმადის ლექსების აქამდე გამოუქვეყნებელმა თარგმანებმა, მისმა ინტერვიუმ და წერილებმა მის შემოქმედებაზე, ქართველ მკითხველს გარკვეულ წარმოდგენას შეუქმნის ამ მართლაც გენიალური პოეტის შემოქმედებაზე.

*გიორგი ლობჟანიძე*

*აჰმად რეზა აჰმადი*

## სიკვდილი

არც სამკაულები ასხია,
არც ბრწყინვალეა
სიკვდილი,
არა,
სიკვდილი
სწორედ
ასეთი უბრალოა...
ვერ დაიჯერებთ:
არც სამკაულები ასხია,
არც ბრწყინვალეა,
კარზე არ აკაკუნებს,
ფანჯრიდან შემოდის
ყვავილება,
ჩიტება,
ოცნებებს
ფანჯრიდან სამახსოვროდ გარეთ,
ქუჩაში დგამს.
ახალი პატარძლები მას ქუჩაში ხედავენ,
მაგრამ ვერა ცნობენ,
ტანზე არც თეთრი ტანსაცმელი მოსავს,
ტანზე არც შავი ტანსაცმელი მოსავს.
შიშველიც არ არის.

მაგრამ
მაშინ, როცა სიკვდილი ჩვენს სახლში შემოვიდა,
ნაშუადღევის ოთხი საათი იყო,
ჩემი მეუღლე შინ არ იყო,
ჩემი ქალიშვილი შინ არ იყო...
ამჯერად მორთულ-მოკაზმული მოსულიყო
წითელი ვარდების ცეცხლოვანი ტოტებით,
თითქოს იცოდა,
რომ მე ცხელი პური მიყვარს,
თითქოს იცოდა,
რომ მე ნარგიზები მიყვარს,
თან ორი ცხელი პური წამოეღო,
ნარგიზების ორი თაიგული მოეტანა...
ნარგიზების სეზონი არ იყო...
ცხელი ჩაი შევთავაზე,
მადა არა ჰქონდა...
ფარდები გადავწიე,
შინ არც მეზობლები იყვნენ...
ლიფტი ჩვენს სართულზე იდგა...
ლიფტით ამოსულიყო...
მდუმარე დაისი იდგა...
რადიო ეკონომიკურ ამბებს გადმოსცემდა,
ბრინჯი გაიაფდაო.

ცოლს გავძახე,
ცოლი შინ არ იყო.
სარკეში ჩავიხედე,
ჩემს თავს ვგავდი.
მაშ, მეგონა, რომ
ჩვენს სახლში სიკვდილი მოვიდა.
პურის კალათას გადავხედე.
პური ჯერ კიდევ გვქონდა.
მაშ, ჯერ არც ნასვლის დრო არ დამდგარა.
შუადღიდან მორჩენილი პურის ნატეხი
სიკვდილს ვუთავაზე.
დუმილში შევცურე.
სუდარისა და კუბოს ფასები არ ვიცოდი.
მარიამსაკმეველას სურნელებით ვიყავი მოცული,
მათ, ვინც იმ კვირას რაიონიდან იყვნენ ჩამოსული
და ვინც სიკვდილს დავინყებოდა,
ჩემთვის, ჩემი ცოლისა და გოგონასთვის
მარიამსაკმეველას ყვავილები მოეტანათ.
მეგონა, სიკვდილი
მკერდზე მარიამსაკმეველას ყვავილებს იბნევდა,
რომელ მკერდზე?
მკერდი ჩემი წარმოსახვა იყო.
სიკვდილს გასაღები და კიბე შევთავაზე,
რომ სახლიდან გასულიყო.
სიკვდილს თაფლი მივაწოდე,
ვფიქრობდი,
თაფლი უყვარს-მეთქი.
სიკვდილს სანთური მივაწოდე,
მეგონა,
სანთურის ხმა სიამოვნებს-მეთქი.
არ ვიცი,
იქნებ, ჩასაბერი საკრავების ხმა სიამოვნებდა...
მეც დაბნეული
სიკვდილიც დაბნეული...
ნეტავ საავადმყოფოში ვყოფილიყავით,
რომ სიკვდილს
იოლად შეძლებოდა
გემოები გაერჩია...
ალბომები მოვუტანე,
რომ გადაეფურცლა
და თავი შეექცია...
ღვინის ბოთლები მოვუტანე,
თეთრი ქაღალდები
და ფერადი ფანქრები,
რომ თავი შეექცია,
დაეხატა...
ლექსიკონები მოვუტანე,
რომ თავი შეექცია,
ათასობით კროსვორდი მოვუტანე,
გუნებაზე არ იყო...

ეროვნული
ბიბლიოთეკა

მხოლოდ ჩემს უპურო მაგიდას მიშტერებოდა:
პური სურდა...
მე ამ სევდიან დაისში
მისთვის პური საიდან მომეტანა?
ჩემი კანარის ჩიტის გალია აიღო,
ოჯახურ სამარილეს დასწვდა,
ალბომები,
ფერადი ფანქრები,
კროსვორდები,
გასალები,
კიბე
და სანთური – ყველაფერი
ცეცხლში შეუძახა.
და სახლიდან გავიდა...
ქუჩას გადავხედე...
რიყრაჟი წამოსულიყო
ქალები და კაცები სამსახურში მიდიოდნენ...
მეეზოვეები ქუჩაში გამოფენილიყვნენ,
სიკვდილს ჩემთვის უფლება მოეცა
დილიდან
დაღამებამდე
მქონდა დრო,
რომ ფანჯრიდან
თვალებგამტერებულს მემზირა ქუჩისათვის.
თვითმფრინავები დავინახე,
ზეცაში რომ იყვნენ.
მეზობლის სახლში
ზამბახები აყვავებულიყვნენ.
მეზობელი თავის საზს მართავდა
შებინდებისათვის...
მეზობლის ბავშვი ნაყინს ითხოვდა...
მეზობლის გოგოები ქმრებთან ერთად
სამოგზაუროდ წასულიყვნენ..
მე ქუჩაში გამოვედი...
უჯრები გამოვალე,
ღამის ხემსისათვის,
მწვანილი დავჭერი.
აფთიაქში ასპირინის აბები ვიყიდე,
და რადიოსათვის ბატარეა...
მეზობლის გოგოს გათხოვება მივულოცე,
ბოთლები წყლით ავავსე
და მაცივარში შევდგი.
რადიოს ძველი ბატარეები ახლებით შევცვალე...
რადიო ჩავრთე:
რადიო ბამის მიწისძვრის ამბავს გადმოსცემდა...

## ამ შუაღამისას

*მოჰრეს*[1]

ამ შუაღამისას
დგას და
ჭურჭელს რეცხავს
შუადღის ხემსისათვის...
მე ერთ კურცხალს მთავაზობს...
შავად შემოსილა,
მკვდარ და შენელებულ ფანქრებს მიმზადებს,
რათა ვწერო...
მთელი ეს ნლები
ამ სახლშია ჩარჩენილი, რომლის კედლებიდანაც
დარდი და ნატვრა
ნესტიან გაჯთან ერთად ძირს მოცვივა...
იმ საღამოს, მე რომ საავადმყოფოში წამიყვანეს,
ის სუფრასთან დარჩა,
რათა იმ სუფრას
ეკურთხებინა
ჩვენ ორის ტალახში ჩარჩენილი დღენი...
შუღამისას
მომაკითხა პალატაში...
მე მეძინა...
მზე ჩვენი ტანსაცმლის კარადაში
ჩაემარხა,
რომ ჩვენს გოგონას არ გაჰლვიძებოდა...

[1] პოეტის მეუღლე



ეროვნული ბიბლიოთეკა

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ყვითელ მზეს ჩვენი ძველი და გაცრეცილი ტანსაცმლის სუნი აუვიდა,
დილით უნდოდა, საავადმყოფოში ჩემი პალატა გაენათებინა,
რა საოცრად გრძელი ღამე იყო იმ საავადმყოფოში!
ყურძნის მტევანთა და იასამნის დამჭკნარი ყვავილების გვირაბები უნდა გამევლო,
სანამ ერთ ჭიქა წყალთან მივიდოდი.
დილით დაბნეული მზე ფანჯრიდან ჩემს ოთახში შემოვიდა.
მე ხელახლა ძილს ვიყავ მიცემული.
ერთხელ მითხარი:
„რა აუმღვრევლად გეძინა!"
მზე საავადმყოფოს პალატაში უნდა გაწვიმებულიყო.
მე თეთრი ზეწრების შემოტევაში
თეთრზე თეთრი ვხდებოდი.
ზაფხულის ხილს ვეძახდი,
გაზაფხული იყო.
ჩემ გვერდით, მორგში, ორი ცხედარი წაასვენეს.
დილის მზე ჩემზე იყო მოვარდნილი,
შენ საავადმყოფოს დერეფანში იდექი,
მე ჩემს ბავშვობას ვეჩურჩულებოდი რაიონში.
ჩვენი გოგონა სკოლაში იყო,
ჯერ არ იცოდა,
სიკვდილს
ჩვენს სახლში როგორ დაეცა თავისი კარავი.
რატომ.
მართლა,
ჩვენ იმ ომის წლების, ბომბების, წითელი სირენისა და თეთრი სირენის,
მარტოობის, წარმოსახვის, იებისა და შროშანთა აფეთქების მომვლელები ვიყავით.
მე თეთრი და წითელი სირენის შუალედში
შენ გეძახდი, რომ გამეგო, ცოცხალი იყავი და ჩვენს გოგონას აქამდე რად ეძინა...
მე შენ ჭურვების წვიმიან დღეებში,
მე შენ ღირსეული სიღარიბის დღეებში
მე შენ დამცირებაში დამარხვის დღე-ღამეებში...
როცა საათობით ველოდი ახალგაზრდა და ბრწყინვალე წარმოსახვის ჩამოშვებას,
მიწისქვეშა დერეფნებში ვიდექი
შუადღის სიახლოვეს.
უეცრად
ზეციდან
ბევრი და მიხრწნილი ყვავები
ძირს ცვიოდნენ,
მზერით ჯოჯოხეთის ფსკერზე მისტუმრებდნენ
და ჯოჯოხეთის ფსკერიდან შინ მშიერ-მწყურვალი ვბრუნდებოდი.
ჩვენმა გოგონამ „ჯოჯოხეთისა" და „ფსკერის" მნიშვნელობა არ იცოდა.
მაგრამ მე და შენ ვიცოდით ამ სიტყვების მნიშვნელობა.
სუფრა გაშლილი გქონდა,
რომ სირენის ხმაზე
კიბის ქვეშ ჩავცვივდით.
დამცირების ერთ-ერთ დღეს
შენ დაგიძახე.
წყნარად და სევდიანად გეუბნებოდი:
ამ გადამწვარი ხეებისა და წიხლით გადათელილი იების მაგივრად,
კიბეებსა და დერეფნებში,

ეროვნული
ბიბლიოთეკა

მე და შენ რატომ არ უნდა ვიყოთ ბალში?
მითხარი: რა ბალი! კმარა! მორჩი!
ფანჯარას გავაღებ,
სანთურზე დამკვრელი საავადმყოფოს ეზოში მე და შენ გველოდება.
ეს მარტოობა ერთ დღესაც პურის თავთავად იქცევა.
ეს მარტოობა ერთ დღესაც სითბოდ გარდაისახება.
მე საავადმყოფოში შენ გეკითხები:
ჩვენს ცხედრებს სასაფლაოზე ვინ მიიტანს.
მითხარი:
მე თუ შენ,
არ ვიცი.
ის ცხენების თეთრი რემა
კაცების ის თეთრი კულულები,
ქალების ის თეთრი სამოსელი
ამ სასაფლაოზე იკარგება.
ჩვენ აქედანვე უნდა ვიფიქროთ
პურზე, სითბოსა და იმედზე
ჩვენი სახლისათვის.
მე გითხარი:
მე ვარდის ბუჩქის გვერდით, უბრალოდ ვარსებობდი.
ფინჯანი ჩაის გვერდით,
ცხელი პურის ერთი ლაქისა
და იმ გოგონების გვერდით, რომლებიც ყურძნის მტევნის ნატვრამ
სარეცელიდან ქუჩაში გაიყვანა.
რა გამხდარი ვარ
და რა სევდიანები ვართ ჩვენ.
სიკვდილს რა იოლად უნდა, იაფად გვიყიდოს
და ძვირად გაგვყიდოს...

სასაფლაოს მიწა ცივი იყო.
ჩვენ უკვე
ცოცხლად დარჩენას არ ვცილობდით.

დღე იყო
შეღამება იყო
კვირის ბოლო იყო
პარასკევი იყო.
საავადმყოფოდან უკვე შორს ვიყავით.
საავადმყოფოში წოლისას პალატაში დარჩენილი იები
გამხმარიყვნენ
და უკვე იაც აღარ იყო ნუგეში.

შენ ჩვენი გოგონა დააძინე.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

## ბავშვები

ბავშვები წითელი ვაშლების კალათების გვერდით
ცხენებს ნამს აძლევდნენ
და ამბობდნენ: აფსუს, სიყვარული,
აფსუს, სიყვარული!

ცხენები დაოთხილები
გაურბოდნენ თავიანთ ჩრდილებს.
მატარებელი იდგა.

ცხენები, კაცები, ბავშვები ჰორიზონტში
ჩაიკარგნენ.
მატარებელი დაიძრა.

სადგურის გვერდით წითელი ვაშლის
კალათები დარჩენილიყო.
რკინიგზის სადგურის წარწერებზე
ბერიკაცები ლითონის კალმებით ანერდნენ
ცემენტის კედლებზე:

აფსუს სიყვარული,
აფსუს სიყვარული....

## ლექსიკონი ქარში

ლექსიკონი ქარში იფურცლება.
ჩქარდება თევზების ალსასრული.

ხარები და გუთნები,
ამყაროს ეს თვალები და ლამპრები
ან ქარში იწვიან.

თეთრი მტრედი სახლის ბანიდან
ირთქლდება,
შორდება
ზეცას – ნესტიანს,
თეთრს,
რათა ჩემს სახლში განვიმდეს.

თეთრი კურდღელი
მირბის თოვლის სითეთრეში
თოვლის სითეთრეშივე იკარგება.

## ჩემი ჭრილობა

ჩემი ჭრილობა
მცირე იყო
და ჩაკარგული...
ერთადერთი წვეთი
სისხლი გამოუვიდა
და ის წვეთიც
გადმოაგდო
სადღაც ქუჩაში.
გაზეთი ვიყიდე.
ჩემი სახელიც იყო.
ვამბობდი,
ძმა მომიკვდა-მეთქი.
გაზეთში ვამბობდი.

## დასასრული

*დოქტორ იუსეფ ჯაფრუდის*

დასასრული არა აქვს ამ სახლს,
რომელშიც მე შემოდგომა
წამოვინყე.
შეხედე,
ჩემი სახლი
სეზონში
როგორ დნება.
შეგიძლია,
სახლი
ქარისგან,
დაბადებისაგან,
ვარსკვლავისაგან,
მშობლიური ენისაგან
გაათავისუფლო.
იცი,
რომ დღის კიდით კიდემდე
ღამეა.

შენ ნახე,
რომ მათ შინ მიმიყვანეს.
ბავშვები მემორჩილებოდნენ
წვიმაში, წვიმაში, წვიმაში
სიყვარული იყო, სიყვარული და კიდევ სიყვარული.

მე მარადიულ სახლში ვიყავი
მე ქუჩაში უცხო ვიყავი
შენ სახლს ხედავდი
მე მივინყებდი
მე სახლის მკვიდრი ვიყავ,
შენ ღამეს აშენებდი.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

## ერთი თუნგი წყალი

ერთი თუნგი წყალი
და ერთი წითელი თევზი
გვქონდა სახლში.

მთელი კვირა გზაზე მივდიოდით.
მთელი კვირა ქუჩაში დავდიოდით.
არავინ თუნგ წყალს,
არავინ წითელ თევზს
არ ჩაშტერებია.

კვირის ბოლოს
თევზის თუნგიდან
ყაყაჩოს ერთი ღერო გაიზარდა.

გამვლელები ჩვენს გულს გვერდს სწრაფად რომ უქცევდნენ,
ყაყაჩოს მიაშტერდნენ.
გაფრინდნენ ყაყაჩოს შავი ლაქები,
დამფრთხალი თევზი წყლის თუნგიდან
მიწაზე ამოხტა,
თუნგი გატყდა.
გამვლელები, რომლებიც ჩვენს გულს გვერდს მშვიდად უქცევდნენ,
სიცხეში ჩვენს ოფლში გაწუწულ გულს,
მიწაზე დავარდნილ თევზს,
ასფალტზე მილეწილ
წყლის თუნგს
მიაშტერდნენ.
ასე დარჩნენ.
ჩვენც დავრჩით.
და
მოგვისაღამოვდა.

## არ ვიცი

არ ვიცი, მაშინ,
როცა დამიძახეს,
რა ხელობა მქონდა,
მაგრამ ვიცოდი,
შეკითხვა რომ დაესვათ, უთუოდ მოვკვდებოდი...

მე ენის ბორძიკით ვამბობ,
ქალები მიყვარდა:
ქალი, რომელსაც სევდის ფერი ედო,
ქალი, რომელიც ლიფტს ვერ იტანდა,
ქალი, რომელიც შეკითხვას არ სვამდა და პასუხს იძლეოდა.
ქალი, რომელიც თერთმეტ საათამდე დარჩენილ 20 წუთში მოკვდა,
ქალი, რომელსაც უცვეთელას ყვავილები
ბეჩავად მიაჩნდა
თავისი სამოსისთვის...

ეროვნული
ბიბლიოთეკა

## კალათები

მხრებზე
პიტნისა და ველური პიტნის კალათები მადგას
ბავშვები ქარში
ბროწეულის ყვავილთა სიწითლეს დაეძებენ.
თვალები გაეახილო,
რომ შინ გზა არ დაეკარგო!
პიტნისა და ველური პიტნის კალათები მიჭირავს ხელში,
დაღლილი და გულშემოყრილი
კალათებს ძირს ვდგამ,
სიბნელის სიშიშვლეა.
ვიცი,
დასრულდება.
სიშიშვლე სინათლეა.
ვიცი, დასრულდება.
დასრულდა სიბნელე,
დასრულდა სინათლე.
პიტნისა და ველური პიტნის კალათებსაც ვკარგავ.
საკუთარი ასაკი მიმავიწყდა.
ბავშვებს ბროწეულის ყვავილთა სიწითლე მიავიწყდათ.
მე და ბავშვები
პიტნისა და ველური პიტნის სურნელს
ათას ფარსახზე[1] ვცნობთ.

## აი, ჩემი თვალი

აი, ჩემი თვალი,
აი, ჩემი ყური,
მაშ, როგორღა ხდება,
რომ ჩემ ფეხქვეშ
სამყარო იკარგება?
თან ყურძნის მტევანი მაქვს,
თან ნისლის კალათა მაქვს,
ბაღი ვიპოვე,
გასაღები დამეკარგა.
ათასი გინება ვისმინე ჩემს გზაზე,
ხელებს სითბო მილებს,
ზაფხულის სხვანაირი დღეა.
ყურძნის მტევნები სამყაროში იკარგებიან,
ნისლის კალათი, თან რომ მქონდა,
მზედ იქცევა,
მე მზეში ვჭაბუკდები,
მაგრამ სიბერის სახელს
არ ვივიწყებ.

[1]ფარსახი, ფარსანგი – მანძილის საზომი ერთეული, დაახლოებით 650 მ.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

## ლექსის დასაწერად

ლექსის დასაწერად – ერთი შეკვრა ფერადი ფანქრები,
ერთი დასტა თეთრი ქაღალდი, ერთი ნარგიზების თაიგული ზამთარში,
გაზაფხულზე იების ერთი კონა და ზამთარში – ორი ღერი ენძელა,
ათასობით ყვითელი და მეწამული ფოთოლი შემოდგომით და ერთი ქუჩა,
დასასრული რომ არ გააჩნია, ერთი კალათა ფურისულებითა და ზმანებით გაჟღენთილი,
ერთი ცხოვრება წადილი
შენი დანახვისა, ერთი სარკე, რომელშიც შეიძლება
პურის ყანების ორ სეზონზე – გაზაფხულზე და შემოდგომაზე დანახვა. ერთი კალათა
ბავშვების ღიმილისა, რომლებიც აკვნებს გაექცნენ და
ახლა თეთრ და ატლასისფერ ზეწრებზე დაფრინავენ.
ერთი კოცნა ნაღვლიანი, სიკვდილს რომ უარყოფს,
ერთი მარადიული მომლოდინე მატარებლისა, რომელიც ვარდის ბუჩქებს შორის ჩაიკარგა
და აღარ დაბრუნებულა, პასუხი
ერთი წერილისა, მეგობრების სიკვდილის შემდეგ საფოსტო ყუთში რომ ჩარჩენილა,
ერთი ბადრი მთვარე სადილის თეფშში, ყველას რომ ანაყრებს –
საჭიროა...

## შემოდგომა ფანჯრის მიღმა

სანამ ყველა ჩვენგანი შემოდგომაზე,
ქრიზანთემებში არ ჩავძირულვართ,
ნიჩბებს უფრო სწაფად მოუსვი.
დარდი მოდის და მიდის,
მაგრამ
შემოდგომა ფანჯრის მიღმა
მყარადა დგას,
ნიჩბებს უფრო სწრაფად მოუსვი,
სანამ სიცოცხლე არ დამთავრებულა,
შინ დავბრუნდეთ, ცივა.
დერეფნის სინათლე ანთებული დატოვე.
ვიღაცები გვიან დაბრუნდნენ და ჩაუქრიათ.
ნეტავ ქურდები ყოფილიყვნენ,
ახლა, როცა ღამდება,
შენ მახსენდები.
ნეტავ, გამოუმშვიდობებლად წასულიყავ,
მე მთელი ცხოვრება მახსოვდა
შენი გამომშვიდობება.
შემოდგომა ფანჯარათა მიღმა მყარადა დგას,
მე მითვალთვალებს,
თუ ეს ქვეყანა ჯერაც რატომ არ დამიტოვებია.
მე, რომელსაც გადაცრეცილი გული მაქვს
და მე, რომელმაც ამ გადაცრეცილი გულით
შენ ნელ-ნელა უნდა დაგივიწყო.

*სპარსულიდან თარგმნა*
*გიორგი ლობჟანიძემ*

ეროვნული ბიბლიოთეკა

# აჰმად რეზა აჰმადის პოეზია

*სორეია დავუდი ჰამულე*

*„მხოლოდ იმას შეუძლია სიყვარულზე ისაუბროს,*
*ვისაც თუნდ ერთხელ მაინც განუმარტავს ცისარტყელა“.*
*აჰმად რეზა აჰმადი*

ლიტერატურაში გაუკვალავი გზები გაკვალულ გზებს აღემატება. ზოგჯერ ლიტერატურული ოპუსები საშუალებაა საზოგადოებაში მიმდინარე იმ სააზროვნო და ინტელექტუალური პროცესების გასააზრებლად, რომლებიც გავლილი თუ გაუვლელი გამოცდილებების საფუძველზე ყალიბდება. პოეზია პოეტის არსია და თავისი ბუნებით ახსნა-განმარტებას არ ექვემდებარება, რადგან ხშირად საკუთარ შემოქმედზე უფრო ჯიუტად და თავგანწირვით განაგრძობს ცხოვრებას.

ვიდრე აჰმად რეზა აჰმადის პოეზიის თავისებურებებზე საუბარს დავიწყებდე, საჭიროდ ჩავთვალე, თანამედროვე პოეზიის ზოგადი, მოკლე მიმოხილვა, რადგან მიმაჩნია, რომ თუკი პოეტურ მიმართულებებს უფრო მეთოდურად გავაანალიზებთ, ძალიან ბევრი ლიტერატურული გაუგებრობაც მარტივად აიხსნება.

ირანის თანამედროვე ლიტერატურის დასაწყისი ქვეყანაში კონსტიტუციური მონარქიის დამყარებას ემთხვევა[1] და ლიტერატურული მიმართულებების მომძლავრებაც სწორედ ამავე ეპოქიდან იწყება.

ავანგარდისტული მცდელობანი პოეზიის ინტელექტუალურ საფუძველზე ახალი ენობრივი ხერხებისა და სკანდალური ფორმალური არსებითი ელემენტების გაჩენით დასრულდა. აღნიშნული პერიოდის თეორიულ საფუძვლებს, შეტყობინებების გადაცემის გარდა, წარმოადგენდა მხატვრული სატირა და ზოგადი მსჯელობა, როგორც პოეზიის სტილისტიკის თანამედროვე მეთოდოლოგია.

ნიმა იუშიჯის[2] პოეტური რეფორმა გახდა არსებითი გარდაქმნისა და ლიტერატურის ფორმალური და შინაარსობრივი განახლების მთავარი საფუძველი. ნიმას ეპოქის „ახალი ლექსის“[3] სტრუქტურის ის ხილული თუ უხილავი მხარეები – თავისი სრულიად განსხვავებული სინტაქსური წყობით, რაც თავის დროზე ძალზე გაბედული იყო და რასაც თან ახლდა რეფორმატორული სპეციფიკური ელემენტები და მოტივები. ნიმას შემოქმედებიდან მომდინარე შემდგომმა რყევებმა მოამზადა აღქმის წინასწარი ნიადაგი გონებრივი მიმართულებებით პოეზიის ჰუმანისტურ ჭრილში გააზრებისათვის. ნიმას შემდგომმა მოძრაობებმა და სტრუქტურულმა ცვლილებებმა შედეგად თანამედროვე სტილისტიკის სხვადასხვა ელემენტთა შერწყმა და გათიშვაც მოიტანა. ნიმასეული ლექსის წარმატების მიზეზებს კი საზოგადოების ინტელექტუალური მზადყოფნა და იდეისა და მისი რეალიზაციის ნოვატორული მეთოდები წარმოადგენდა. იმდროინდელმა საზოგადოებრივმა ვითარებამ შეცვალა ნიმას აღქმა, რომელმაც ფორმის განახლება გადაწყვიტა და ამისათვის საუკეთესოდ გამოიყენა იმ პერიოდის ენობრივი შესაძლებლობები. სწორედ ამ პერიოდში არსებობდა პოეტების ერთი ჯგუფი, რომლებიც წერას ტრადიციულად განაგრძობდნენ და ნიმას გზაზე ერთობლივი ძალისხმევით ელობებოდნენ.

პოეზიის სხვადასხვა ხმა ნიმას რეფორმის შემდგომ იყო ის ახალი ფანჯარა, რომელიც განახლებათა ახალი ტალღის მთავარი ბიძგის მიმცემი და პიროვნული სულიერი გამოცდილებების ნიადაგზე სიახლეების მომტანი აღმოჩნდა. ნოვატორი პოეტების მთელი წყება, რომლებიც ახალი ხედვითა და ახალ-ახალი სტილისტური ხერხებით გამოირჩნენ. მაგალითად, ზოგი, როგორც სოჰრაბ სეფეჰრი[4], სწორედ იმ პერიოდის პოეზიის ლურჯ კამარაზე ამობრწყინდა. ანდა აჰმად შამლუ[5] (თეთრი ლექსი), ახალი ტალღის პოეზია[6] (აჰმად რეზა აჰმადი), მოცულობითი ლექსი[7] (იადოლლაჰ რუიაი)[8], „სხვა პოეზია“ (ჰუშანგ ჩალანგი, ბიჟან ელაჰი, ფირუზე ნაჯი)[9] და სხვები იმ პერიოდის ლიტერატურის რჩეულებად ითვლებიან.

აჰმად რეზა აჰმადი (1319, ქერმანი) „ახალი ტალღის პოეზიის“ დამაარსებელი და იმ მიმართულების მთავარი პროტაგონისტია, რომელსაც სპეციფიკურად „პროზული ლექსის“ სახელით აღნიშნავენ და რომლის ჩანასახიც კარგად გამოჩნდა ჰუშანგ ირანის შემოქმედებაში. თავიდან ამ ტიპის პოეზიას ყურადღება არავინ მიაქცია, რადგან საზოგადოდ მიღებული აზრის თანახმად, პროზისა და პოეზიის ენა ერთმანეთისაგან განსხვავებული უნდა ყოფილიყო. ამის გამო მოხდა, რომ ამ ტიპის პოეზიამ ვერ გაძლო და ბევრი დააზინა. პოეზიამ, რომელიც გარეგნულად პროზაული ოპუსია, მაგრამ ტექსტური ელემენტების დონეზე ნამდვილ პოეზიამდე მაღლდება.

„ახალი ტალღის პოეზიის" თანადროული ლიტერატურული ანალიზი ეფუძნებოდა გარკვეულ შეხედულებებს, რომლებიც გაელენის პრიმატს აღიარებდნენ და არა – განვითარებისას. სინამდვილეში კი აზრისა და მისი ინსტრუმენტების დიალექტიკური ზემოქმედება ძურჭულია, რომლის შიგთავსსაც პოლემიკის გამომწვევი ნარატივები წარმოადგენს და სამწუხაროდ, თავის დროზე არცერთი მხრიდან ამ ჭეშმარიტების დაცვა არ მომხდარა. თუმცა, ეს გზა აუცილებლად უნდა გამოგვევლო, რადგან ლიტერატურას სჭირდებოდა აღნიშნული ფორმა და ტექნიკა იმისათვის, რომ დროთა განმავლობაში საყოველთაო ყურადღება მიექცია. მთლიანობაში, ზოგიერთი პოეტი არჩეულია ხოლმე რაღაცა საქმისათვის და ერთი-ერთი ამ პოეტთაგანია აჰმად რეზა აჰმადი, რომელმაც ტრადიციისა და თანამედროვეობის შეხლა-შემოხლაში არჩევანი თანამედროვეობის სასარგებლოდ გააკეთა, რა თქმა უნდა, როგორც ტექსტის სამყაროში იძულებით გადასახლებულმა. ასეთი ტიპის პოეზიის არსებობის აუცილებლობის შეგრძნებამ და წერის ასე გაგრძელების მოთხოვნილებამ კი იგი თავის ინდივიდუალურ სტილისტიკამდე მიიყვანა.

აჰმად რეზა აჰმადის პოეტური ბიოგრაფია მეტად მრავალფეროვანია. მისი უმთავრესი სტილისტური მახასიათებელი კი არის ენობრივი თავისუფლება, რომელიც აზრობრივი შესაძლებლობებით იკვებება. იგი შინაარსიდან გამომდინარე და ყოვლისმომცველი ხედვის მოშველიებით აღწერს რუტინულ ყოველდღიურობას.

ენობრივი თვალსაზრისით აჰმად რეზა აჰმადის პოეზიას ცვლილებები თითქმის არ განუცდია და ამ მხრივ იგი ყოველთვის მდინარის დინებას მიჰყვებოდა, მაგრამ ესთეტიკური კრიტერიუმები არის ის ასპექტები, რომლებიც საჭიროებს სერიოზულ დაფიქრებას. კრებულიდან „მე ვტიროდი ცხენის სითეთრეზე" (1979) კრებულ „სიბერის რვეულების" (2009) ჩათვლით აჰმად რეზა აჰმადის ესთეტიკა ნერილობით ნარატივს ეფუძნება. სწორედ აქ ჩნდება შეკითხვა: ამ საფუძველზე პოეტს პოეზიის მხრიდან უნდა შევხედოთ თუ პოეზიას პოეტის კუთხიდან? თუ პოეტსაც და პოეზიასაც ნაგულისხმევი აუდიტორიის თვალით უნდა დავაკვირდეთ? (არ ვიცოდი, რომ ჭეშმარიტების ყვავილი მზეა, ხე კი არა... მოდი, მზეში დავსხდეთ, რომ ყვავილად გავიშალოთ...)

„ესკიზი" აჰმად რეზა აჰმადის პირველი კრებულია, რომლის გამოცემიდან ნახევარი საუკუნე გადის. წიგნი, რომელიც 40-იან წლებში (იგულისხმება ამ საუკუნის 70-იანი წლების დასაწყისი. გ. ლ.) თავისებურად და გასაოცრად მოდერნისტულად ითვლებოდა. „ესკიზის" მთავარი ღერძი იყო პროტესტი და ერთგვარი „ენის გამოყოფა" იმდროინდელი პოეტური გემოვნებისათვის. სწორედ ამ პერიოდიდან დაიწყო და დღემდე გრძელდება აჰმად რეზა აჰმადის ესთეტიკა. დახვეწილ ფორმაში გაცხადებულმა ამ ცხოვრებისეულმა გამოცდილებებმა, რომელიც გადაჯაჭვულია ღრმა სულიერ კრიტერიუმებთან, შექმნა ნიადაგი „ახალი ტალღის" პოეზიისათვის.

ამას მოჰყვა კრებული „მინის გაზეთი", რომლის ენაც პოეტის საცხოვრებელი გარემოს მეტყველების გავლენას განიცდიდა. ამასთანავე, აჰმად რეზა აჰმადი აქ საგანგებოდ ცდილობს რომანტიკულობისა და სენტიმენტალურობისაგან დისტანცირებას. ხოლო სემიოტიკურ ნიშანთა დონეზე, მისი პოეზია იმ მდინარესავით მიედინება, რომელსაც არანაირი ჯებირი არ აკავებს.

აჰმად რეზა აჰმადიმ პირველად შემოიტანა სპარსულ პოეზიაში პოეტური მონოლოგი, როგორც ერთგვარი მხატვრული ფსიქოანალიზი. ამასთანავე, იგი რჩება ობიექტივიზმის ადეპტად სუბიექტურ აღქმათა პრიზმაში.

### შენიშვნები

1. იგულისხმება მეოცე საუკუნის დასაწყისი, როცა ირანში დამყარდა კონსტიტუციური მონარქია.

2. ნიმა იუშიჯი (1897-1959) – მეოცე საუკუნის უდიდესი რეფორმატორი სპარსელი პოეტი, რომელმაც უარი თქვა ტრადიციული ლექსწყობის, ე. წ. „არუზის სისტემის" გამოყენებაზე და სპარსულ პოეზიაში მანამდე უცხო და უცნობი სალექსო ფორმები დაამკვიდრა. არსებითად, ნიმა იუშიჯის მიერ გაჭრილი კალაპოტით წავიდა მთელი შემდგომდროინდელი სპარსული პოეზია. თარგმნილია ქართულადაც.

3. „ახალი ლექსი" („შე'რე ნოუ") – ეს ტერმინი პირველად ნიმა იუშიჯმა გამოიყენა თავის თეორიულ ნაშრომებში და მერე, მომდევნო პერიოდის კრიტიკაში, იქცა ნიმასაგან განვითარებული შემდგომდროინდელი სპარსული პოეზიის აღმნიშვნელად.

4. სოჰრაბ სეფეჰრი (1928-1980) – გამოჩენილი სპარსელი პოეტი, დღევანდელი ირანის ერთ-ერთი ყველაზე პოპულარული ლიტერატორი. თარგმნილია ქართულად.

5. აჰმად შამლუ (1925-2000) – გამოჩენილი ირანელი პოეტი, პროზაიკოსი, ესეისტი, რომელიც არაერთხელ იყო წარდგენილი ნობელის პრემიაზე. თარგმნილია ქართულადაც.

6. „ახალი ტალღის პოეზია" („შე'რე მოუჯე ნოუ") – ამ ტერმინით აღნიშნავენ მეოცე საუკუნის 60-იანი წლებისა ბოლოსა და 70-იანი წლების დასაწყისში გაჩენილ მიმდინარეობას სპარსულ პოეზიაში, რომელმაც ნიმა იუშიჯისაგან განსხვავებული ესთეტიკა მოიტანა. ამ ახალი ტალღის პოეტებს მიაკუთვნებენ აჰმად რეზა აჰმადისაც.

7. იადოლლაჰ რუიაი (დაიბ. 1932) – თანამედროვე სპარსელი პოეტი.

8. „მოცულობითი პოეზია" ან „სივრცული პოეზია" (შე'რე ჰაჯმ) ამ ტერმინით აღნიშნავდნენ სამოციან-სამოცდაათიან წლებში გავრცელებულ სპეციფიკურ მიმდინარეობას სპარსულ პოეზიაში, რომლის ყველაზე თვალსაჩინო წარმომადგენლად იადოლლაჰ რუიაის მიიჩნევენ.

9. 70-იან წლებში მოსული პოეტების ახალი თაობა, რომლებიც საკუთარ პოეზიას „სხვა პოეზიის" („შე'რ-ე დიგარ") სახელით აღნიშნავდნენ.

*სპარსულიდან თარგმნა გიორგი ლობჟანიძემ*

# ზღვამდე ათასი საფეხურია დარჩენილი

ეროვნული
ბიბლიოთეკა

*აჰმად რეზა აჰმადი*

**1. *კარი რომ გაიღოს***

კარი რომ გაიღოს, გაურკვეველი ტოტები ნაყოფს წოისხამენ, იმ მტვერიანი შარაგზიდან, ახლა რომ ვადგავართ, ხუთ გზას თუ გავივლით, კოშკსაც დავინახავთ.

**2. *რიჟრაჟის ქარები***

რიჟრაჟის ქარებმა, ზღვიდან რომ ამოვიდნენ, კარი გამოაღეს. კოშკში შევედით.

**3. *ტოტები***

კოშკი ტოტებს დაეფარა. ზოგჯერ ზღვის ნისლში ჩაკარგულ სახურავსა და ზეცაში ჩარჩენილ ტოტებსაცა ვხედავთ. კიბეებს, შუადღისას, ზღვის ოხშივარში რომ იკარგებიან, ზოგჯერ ძველი იერსახე აქვთ, რომელთაც ადვილად ვერ გადაივლი. პატარა აივანზე რომ გავდივართ, თვალებს გავახელთ შემოსასვლელი კარისკენ, ახლა რომ ღიაა. აივანზე ვიდექით ქარში. წვიმა მინებზე მხოლოდ ორ-სამ წუთს რჩება. წვიმამ მინები რომ გადარეცხა, მინების მიღმიდან სახლში ვიყურებით.

**4. *ამ მცირე ხანში***

დღის ამ მცირე ხანშია, როცა ტოტები და კოშკის გვერდით ორი ხე სახურავიდან ცაში მიდიან. ღრუბელი ფანჯრიდან ზღვისაკენ მიდის. თუ გვსურს, ამ მოკლე დღეებში ზეცა დავინახოთ, დაღამებამდე ცნობისწადილით აივნის ქვის ტახტზე უსიტყვოდ, მდუმარედ უნდა ვისხდეთ. დილის ნისლში ფანჯრებიდან მხოლოდ ბუჩქებს ვხედავთ. დილით ფანჯრებიდან გარეთ ვიყურებით და მხოლოდ იმას ვამბობთ: როგორი თავსხმაა! მთელი ღამის გაყოლებაზე დილამდე წვიმის ხმა გვესმოდა სახურავზე.

**5. *მინაზე მუდამ***

მინაზე მუდამ წალკოტში დავდიოდით. მინის ლაწვი ტოტთა სიმჭიდროვეში ჩაკარგულა. ტოტებზე იისფერი ლაქებია. მორთულ-მოკაზმული დილა ნალკოტს ნისლში კარგავს. სვეტების მიღმიდან კვირტიეით გაშლილი ღრუბელი დავინახეთ, ბაღის გარეთ ზღვისკენ რომ მიდიოდა.

შუადღემდე ვთქვით: დღეს ტოტები მინიდან მდუღარებენ. აივნის ძველი სვეტებიდან წლების ხეთა ფესვებში ჩაძირვის ხმა მოგვესმა. მინებს ორთქლი ასდიოდათ. ვითმენდით, ბოლი წვიმად იქცევა და მინებს გარეცხავსო. გვინდოდა, მინათა მიღმა დილას სრულად ხეთა ტოტებში შევწეოდით. მაშ, ზეცა სად არის? ზეცა, შემოდგომის ქარებში ჩაკარგული, როცა შემოდგომა ჯერ კიდევ გზაშია.

**6. *წლები***

წლებია, მას შემდეგ, რაც გვსურდა, ბუჩქებს შორის ჩაგვევლო და კოშკის რძისფერ კედელთან მიგველწია, ფანჯრები კი ვიხილეთ. ბანის სახურავზე ამოქოლილი საკვამურები იდგნენ. საკვამურები კვამლით გალეულიყვნენ და კოშკშიც უკვე ცეცხლი აღარ აენთოთ. ბანის კუთხიდან ცას პატარად ვხედავდით. თითქოსდა ვარსკვლავიც კი არ ყოფილა. ზეცის კუთხეში ფოთლების აცმა ეკიდა და ზამთრისაგან მოხრილი ხე განთიადამდე გრძელდებოდა. ამ დროს ფანჯრებს მივაშტერდით, დაგმანული ფანჯრები რძისფერ კედლად ქცეულიყვნენ. მაშ, განთიადის ჟამია, როცა ფანჯარა იღება და ვიღაცას დილის ნისლში ჩვენთვის ცეცხლი და საუზმე ამოაქვს. ვთბებით. ტოტები ჩვენს თვალებს ფარავენ. საუზმეს შუა გზაზე თავს ვანებებთ, აივანზე გამოვდივართ. ცინცხალ და ახალგაზრდა აივანს დილის ნისლში წუხანდელი ხეების სუნი ასდის.

**7. *ჩემს პატარა დღეში***

ჩემს პატარა დღეში ამ ერთმა ხემ მთელი ჩემი დღე გადამიფარა. დღეში ჩაკარგული სხვა კედლებიც გამოჩნდნენ. ნისლს კედელზე ხაზები გაევლო. ჩვენი თვალებიდან ნისლი ქვემოთ, მინაზე ცვიოდა. ჩვენ ნისლმა გადაგვეფარა. კედელში ერთი კარი იყო და შიგ შესვლა გვინდოდა. ნისლს დავუმძიმებინეთ და შიგნით შესვლას ვეღარ ვახერხებდით. ზოგჯერ კედელზე ხშირი ნისლი ქარის ზაფრანისფერ ლაქებს, ხისგან გაუცხოებულს,

ძალას აცლიდა. ბუჩქები კოშკის მიწიდან ხისკენ კისრისტეხვით მიემურებოდნენ. ქარი ჩამორჩენილიყო და ბუჩქები კისრისტეხით ხის ტოტებს ფარავდნენ.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

### *8. ათასი საფეხური*

ნალკოტის კოშკამდე ათასი საფეხურიც აღარ იყო დარჩენილი, მაგრამ ჩვენ არ შეგვეძლო, რომ საფეხურები დაგვეთვალა. ნისლს საფეხურთა ჩამტვრეული ორმოები ამოევსო. ჩვენ გვინდოდა უზღვაო და უნაპირო დღეებში დაქცეული რძისფერი კედელი მზუხარეზით შეგვეკეთებინა. ბუჩქებმა ფანჯრები დავიწყებისაკენ წაიყვანეს. პირველ დღეებში, კოშკში რომ ჩამოვედით, არ ვიცოდით, ღამე როგორ იწყებოდა. ღამე ზღვის ფრინველების ფრთების ფართქალით დაიწყო. ღამე სახურავის ზედაპირს სასიამოვნო სუნი აუვიდა. სვეტები და კოშკის წინ მდგარი ორი ხე უეცრად ღამეში ჩაიძირნენ. დაბნეულებს ლამპარი გვსურდა კოშკში, ღამე მეორადი და განმეორებითი იყო.

### *9. ლამპარი მოიტანეს*

ლამპარი მოიტანეს, ლამპრის შემოსაზღვრულ სინათლეში, ქარებმა, რომლებსაც ოთახში კედლებიდან შემოეღწიათ, ლამპრის ნესტიანი შუქი კედლებზე მიაფრქვიეს. ზღვა კედელზე მილვრილიყო და ჩირაღდანი ზღვის ნყლის სიღრმეში ენთო. მაგრამ ჩვენ არ ვიცოდით, რომ ლამპარი დილამდე ვერ გასტანდა. ლამპრის სახმილი თავდებოდა.

### *10. სხვა ლამპარი მოიტანეს*

სხვა ლამპარი მოიტანეს. კედელზე ლამპრის ჩრდილი ცახცახებდა. ზღვამ ლამპარი ჩააქრო.

### *11. ნისლმა დილით*

ნისლმა დილით გულის ხეთქებით გაავსო ოთახი. ლარნაკი დავინახე. ლარნაკი ნისლში ჩაკარგულიყო. ნაყოფიანი ტოტები ნისლიდან გარეთ გამომვერილიყვნენ. ჯერ კიდევ შეგვეძლო, ნისლში შერეული ნაყოფები გაგვერჩია. სად ჩვენ ვიყავით და სად ლარნაკი იყო. გვინდოდა, დარჩენილი ნაყოფები ნისლიდან მოგვეკრიფა. წუხანდელ წვიმას ოთახის კედლებზე პატარა მარგალიტი დაეკიდებინა. ჩვენ წუხელ წვიმის ხმა არ გაგვიგონია. ნისლმა თანდათან წაშალა ლარნაკი. ნისლის სიღრმეში ჯერ კიდევ მოჩანდა ორი-სამი ნაყოფი.

### *12. ლარნაკი*

ლარნაკი, რომელსაც ჟანგმიწის ფერი ჰქონდა, ოთახში იდგა. ჩვენ კი არ ვიცოდით. წვიმის აღელვებულ ხმას სურდა, ჩვენი დაუსრულებელი ზმანება, რომელიც ლარნაკთან მთავრდებოდა, დაემსხვრია, ჩვენ გვეშინოდა, რომ ლარნაკი გატყდებოდა. ლარნაკის ორ მტევანს წყლის ფერი ედო. ლარნაკი ორ-სამჯერ დაიკარგა ჩვენსავე ზმანებაში. ვიდრე ირიჟრაჟებდა და მზე ამოიწვერებოდა, აღელვებული ლარნაკი ზღვისაკენ გაემართა. მდუმარე და წყალში დუღილის ღირსი ჟანგმიწის ფერი, ასევე ორი ცისფერი მტევანი ზღვიდან გარეთ გამოჩრილიყვნენ. ფოთლებმა დილის მზე გადაფარეს და ჩვენ ლარნაკი დავინახეთ, ნელა-ნელა და ზოგჯერ დაუსრულებელი ქროლვით ზღვის სიღრმისკენ ნავიდა.

### *13. მერე კავშირის გარეშე*

მერე დღესთან კავშირის გარეშე, ნალკოტის იატაკზე ჩამოვსხედით, მერე ლარნაკის ხსოვნაც ჩამოგვშორდა. ხეებს ვითვლიდით: ერთი, ორი, სამი, ოთხი, ხუთი, ექვსი... ზარმაცი ხეების ფოთლები მინაზე ცვიოდა. კოშკის კედელიც ფოთოლთა სიზარმაცეში, მომდევნო რამდენიმე ნამში ჩვენს დაკარგულ დღეში ჩაიკარგა.

### *14. ზღვიდან ხმა არ ისმის*

ზღვიდან ხმა არ ისმის... ათასობით წყლის ფრინველი, რომლებიც ჩვენს ნოტიო და მღელვარე სიზმრებზე სიმღერასა და ღრუბელს გვაფარებდნენ, მარილის სუნში ჩაიკარგნენ. დღეს ნალკოტის ფსკერზე ტბორი დავინახე. ხეები ნათელი ტოტებით, ქარის თანილებით მიდიოდნენ. წყლის ჩიტები ალიონზე გაიფურჩქნენ. ჩვენ დღის განმავლობაში მხოლოდ მათი ფრთების ხმა გვესმოდა. სახეები გვქონდა ცივი და მოღუშული.

### *15. როცა ჩვენ*

როცა ჩვენ ნალკოტში ვიყავით და კოშკიდან ხეებს ვხედავდით, არ გვეგონა, რომ ფოთლებით აღსავსე

ხეები ჩვენს სიცოცხლეში ნაყოფს გამოიღებდნენ. მზე ყოველდღე რეცხავდა ხეებს და ჩვენ ნაყოფი გვეკარგებოდა. გვინდოდა, ტოტებისთვის ქვა გვესროლა, რომ ხილი მიწაზე ჩამოცვენილიყო, მაგრამ ქვა არასწორად რომ გასროლილიყო, შენობის სანათი სამუდამოდ ჩაქრებოდა. ხოლო ბაღში დარჩენა ნათელი დღისთაც კი შემაძრწუნებელი იყო.

### *16. პერანგი გავხსენით*

პერანგი გავხსენით. პერანგი შენობის გარეთ დავფერთხეთ. პერანგი ტოტებზე ჩამოვკიდეთ. ყავისფერი ვარსკვლავი – ხის კანითა და სხეულით – ველის სივრცეში, ნათელი დღისით, ხეთა სიმრავლეში ჩაიკარგა. ჩვენ დავინახეთ, ველზე ჩარჩენილი ყავისფერი ვარსკვლავი, მწარე სურნელებით, მდუმარე ფაციფუცით ღრუბლისკენ მირბოდა. ჩვენი დღის ეს საათი, მწუხარე, ველის კიდის ხეებს ეჯახებოდა და ნაპერწკლებს ყრიდა.

კისრისტეხით მივირბინეთ დამცავ ვარსკვლავთან. ჩვენ, წლების განმავლობაში უდამცავოდ, ქარში რომ ვიყავით ჩამქრალნი, დამცავს შევეფარეთ. წითელი ფრინველები, რომლებიც დაისს გაურბოდნენ, დამცავი ვარსკვლავის ნათელ ჩრდილში მდუმარედ გვიმზერდნენ და ჩვენ რაიმე კიბის მოლოდინში დღის სინათლეზე ვიდექით მინდორთა სივრცეში. ცას ვხედავდით, ჩვენ რომ გვერდს გვიქცევდა, და ცხენის ფლოქვის ხმა მოგვესმოდა შორიდან, ნისლში, ხეთა კორომს მიღმა. ცულთა ხმა ნათელი იყო და ხეებს ჩრდილს აფენდა.

### *17. მაშინ, როცა ჩვენ*

მაშინ, როცა ჩვენ ტბორთან მივაღწიეთ, ხისთვის უკვე ნაჯახი დაერტყათ. გვერდითა ბუჩქებს ხის დალეწილი ტანი დაეფარათ. წყლის ხმა მოისმოდა. არც ცხენთა ფლოქვის ხმა და არც სხვათა ხმები, ვინც წუხელ რიჟრაჟამდე ჩუმად ლოცულობდა. ცისფერი ზეცის ერთი ნაჭერი მოეგლიჯათ. ჩვენ ხელები ღრუბლის ნაგლეჯისაკენ გავიწოდეთ. ხელები დაიკარგნენ.

### *18. დილით ჩვენ*

დილით დაგვიძახეს. ხმის კვალდაკვალ გავიქეცით. ფრინველმა ჩაგვიფრინა. ხმა ფრინველის ჩავლაში ჩაიკარგა. სამოსი ხელახლა ტანზე იდგა. ბუჩქებს ჩავუარეთ. მიწაზე დავრჩით. მთელი დღე ერთ სიტყვას დავეძებდით, რომელიც ბუჩქების ზედაპირის მოიისფრო სიშიშვლეებს განმარტავდა.

ცის ნაგლეჯი იმალებოდა ხეთა უკან. დავეხმარეთ, რომ ცისფერი ზეცა მიწაზე გაგვეშალა. მდუმარენი ვიყავით. ან დუმილის სითეთრე ვიცოდით.

### *19. ხე ხეს*

ხე ხეს ჩაბურდვოდა და ჩვენ ვჭოჭმანობდით. გვინდოდა, დუქარდით მოგვეჭრა ცის ნაფლეთი, რომელიც ხეებს მთისაგან გამოჰყოფდა. მიწა დედიშობილა იყო. ხეები გზას დედიშობილა მიწას აცილებდნენ. მთა ალმასის ნამსხვრევებად იმლებოდა და წყლის წვეთებთან ერთად, ხეებს რომ მოსწვეთავდა, ველზე, ძირს იყრებოდა. გვინდოდა, მიწაზე დავბრუნებულიყავით.

### *20. ნაფლეთმა ხეებზე*

ნაფლეთმა ხეებზე ზღვას მიაგნო. თვალებით ფანჯარა დაინახა. რაღაც სამწუხარო მოვლენის მოლოდინში ღამემდე იჯდა. ეს ყველაფერი ჩვენი ოთხშაბათი იყო. არც კი გვიეჭვია, რომ ოთხშაბათი იდგა. ხეები ამ მოქუფრულ, სევდიან ოთხშაბათს ზღვისკენ გზას კეტავდნენ. გასაღები არ გვქონდა, რომ ზღვის დილა გამოგვეღო. ცა საჩუქარი არ ყოფილა, მაგრამ ჩვენ ვიცოდით, რომ ტიტველი, უღრუბლო ცა ზღვაშია დამალული.

### *21. სწორედ დილით*

სწორედ დილით, როცა ცეცხლის სიმხურვალის მოლოდინი იყო, ნალკოტის კიდის ერთი ბაღჩა აციმციმდა. ზაფხულიდან მორთული ხეები დილის ნისლში კვდებოდნენ.

ბაღჩის არღავანისფერი ყვავილები ჭკნებოდნენ. დილის კიდით კიდემდე მეწამული ყვავილების ზრიალში გავილვიძეთ.

დილის სივრცე ბაღჩაზე წკრიალებდა. დილა, რომელიც ცარიელი იყო ნისლისა და აბრეშუმის შადრევნებისაგან. გაგვეღიმა. ბაღჩამდე ჯერ ისევ შორი გზა იყო, ჩვენ კი დილითვე უეცარი გაღვიძებით ვიყავით დაღლილები.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

### *22. სილუეტები წყალში*

წყალში სილუეტები დავინახეთ. წვიმის ორი-სამი წვეთი ტბორთან მოვიდა. წყალში სილუეტები აიბურდა. წყალში სილუეტები დავინახეთ, მოხუცები ვიყავით.

### *23. ამ პარასკევ საღამოს*

ამ პარასკევ საღამოს ბუჩქების გვერდით წავიდეთ. ვფიცავ, დილით, როცა ბაღში ვარდები გაიშალნენ, ჩვენ გვეძინა.

წავიდეთ იმ ბუჩქის გვერდით, რომელიც აღარ არის. იმ ბუჩქის ადგილას მინიდან გარეთ გამოქცეულან ყვითელი ბალახები. უშეღავათო და ძნელი დღეა. პარასკევი საღამოა. ცა დამსხვრეულია ხეთა თავშესაფარში და არცერთ ტკივილს სალბუნი არა აქვს. ნამიანი მინა მუდამ ამ ორი ბუჩქის გვერდითაა. ამ პარასკევ საღამოს შინ უნდა წავიდეთ.

### *24. იმისი შიში მქონდა*

იმისი შიში მქონდა, რომ ცა, რომლის ნახვასაც წლობით ველოდით, ნაცრად იქცეოდა. ცას ვხედავდით, მაგრამ იმის შიშში ვიყავით, რომ ნაცრად იქცეოდა. მიწა ღია და გადაშლილი იყო და ხეებს, ჩვენგან მოშორებით, განათებულ კუთხეში, მწვანე სახე ჰქონდათ. ხეთა მორები ზღვისაგან გვაშორებდნენ. უსიტყვო და მდუმარე, ზღვისგან გაუცხოებული ზეცა დავინახეთ. მაგრამ იმის გარეშე, რომ ცეცხლი ყოფილიყო, ზეცას ნაცრისფერი ედო. მიგვაჩნდა, რომ გვერდით ზღვა აღარ გვქონდა. ხეებიც მომსპარიყვნენ. როცა გვინდოდა, რომ ყური სიმღერისთვის დაგვეგდო (სიმღერისათვის, ამწვანებულ ხეთა უკან რომ ხმიანებდა), ზღვა ჩაიქცა და დუმილი მზის ჩასვლამდე გაგრძელდა.

### *25. ჩვენ ჯერ კიდევ ზღვას*

ჩვენ ჯერ კიდევ ზღვას ზღვად მივიჩნევდით... ბუჩქები ჯერ კიდევ ნამიანი იყო, მაგრამ ჩვენ ადამიანის ხმას დავეძებდით ბუჩქებს, ზღვასა და დედამიწას შორის. კოშკში წლები მოვიდნენ და წავიდნენ, ჩვენ კი არავისი ხმა არ გაგვიგია. სიტყვები ნელ-ნელა ინგრეოდნენ, იკარგებოდნენ და ენა დავიწყებას ეძლეოდა. ერთი ბუჩქის გვერდით ჩამოვსხედით, რომელიც გაძეძგილიყო სიკვდილითა და მეწამული არლავანისფერი ყვავილებით. ზღვა არ დაგვინახავს. დღეს დილიდან, ბუჩქის გვერდით, ადამიანის ვედრების ხმა მოგვესმოდა. ბუჩქთან რომ მივედით, ვედრება დასრულდა. იმ ბუჩქებისაკენ წავედით, ზღვის კედლის გვერდით რომ დარჩნენ. ვედრება ისევ გავიგონეთ. გავჩუმდით, შევდექით, ზღვაც დამშვიდდა. ფეხებიდან ფეხსაცმელი წავიძრეთ, ვედრება დასრულდა. ჩვენი ნაფეხურებიდან ვედრება დგებოდა. ვედრების ხმის კვალდაკვალ მინდორში გამოვედით. კოშკს რომ მივაღწიეთ, ვედრება დასრულდა. კარი რომ გავაღეთ და კოშკში რომ შევედით, ვედრება კვლავ დაიწყო. კოშკთან რომ მივაღწიეთ, უკვე ვიცოდით, რომ ვედრების ხმა მხოლოდ შიშველი მინიდან ამოდის. კოშკის ოთახებში ვედრებას დავეძებდით. ვედრების ხმა იმ ოთახიდან შემოგვესმა, სადაც მხოლოდ ერთი მაგიდა და ერთი შავი სკამი იდგა.

### *26. ოთახამდე რომ მივედით*

ოთახამდე რომ მივედით, მაგიდაზე ერთი ჭიქა იდგა და ერთიც საშაქრე. კაცი კედელს მიშტერებოდა. ხელები ერთმანეთს გადაჭდობილიყვნენ და ხელებიდან სიცივის სუნი მოდიოდა. კაცს ტანზე მხოლოდ ერთი თეთრი პერანგი ემოსა. მაგიდა შავი და სკამიც შავი იყო. გვინდოდა, კაცისათვის დაგვეძახა. დავუძახეთ. ერთმანეთის ხმები არ გვესმოდა, სიტყვებს ყურში მხოლოდ ვედრების ხმა ჰქონდა. კაცი მარტო კედელს უყურებდა. ჩვენ პირდაპირ, მინათა მიღმა, ბაღი გაშლილიყო. ზღვას ვხედავდით. ზღვის ხმაური ოთახში კაცის ვედრების ხმას ჰგავდა.

### *27. ოთახიდან რომ გარეთ გამოვედით*

ოთახიდან რომ გარეთ გამოვედით, სკამი და შავი მაგიდა დაგვავიწყდა. ოთახიდან რომ გარეთ გამოვედით, დილის ხუთ საათზე, ზღვა ცისფერი იყო, ხეები ცისფრები იყვნენ, ცა გადაჭექილი იყო მიმზიდველი და თბილი ნაცრისფერით. კარი, რომელიც ზღვისაკენ ილებოდა, ცისფერი და ჩარაზული იყო. ხეებს ცის სიმაღლემდე ცისფერში სიმაღლე და ფოთლები ფერივით დაეკარგათ. არა, ქარი უკვე აღარ იყო, კიდით კიდემდე ერთადერთი ცისფერი გაშლილიყო, რომელიც კაცის ოთახის კედლებს ჩამოჰგავდა.

***28. ქარი მოვიდა***

ქარი მოვიდა, გავიქეცით, ზღვისკენ მივდიოდით. მძიმე ფოთლები, მძლავრი, ხეებიდან ცვიოდნენ. ფოთოლთელვა იყო და ზღვაც. დაისამდე ვერ მოვახერხეთ, კარი, რომელიც ზღვისაკენ იღებოდა, გამოგველო. ბაგეძარილიანი ზღვა კარს რეცხავდა. ზღვის წყალმა კარი ორ-სამჯერ ზღვაში მიმოკარგა. მოსაღამოვდა. ზღვა დაწყნარდა და ჩვენ ვერ შევძელით, კარი, რომელიც ზღვისაკენ იღებოდა, გამოგველო.

***29. ზღვამდე ათასი საფეხურია დარჩენილი***

ზღვამდე ათასი საფეხურია დარჩენილი,<br>
რაც მე ჩემს ცხოვრებაზე ასე ვამბობ...

*სპარსულიდან თარგმნა*<br>
*გიორგი ლობჟანიძემ*



# უბადლო პოეტი

*რასულ იუნანი*

აჰმად რეზა აჰმადი ირანის ერთ-ერთი ყველაზე პოპულარული პოეტია და უმდიდრესი შემოქმედებითი ბიოგრაფია აქვს. მისი ლექსები და მოთხრობები პორტისკენ, ღრუბლისა და ხილვებისკენ გამოღებული ფანჯარაა. მის ნაწერებში დღეები უმეტესწილად ღრუბლიანი და ნისლიანია. მკითხველი, აქ ნებსით თუ უნებლიეთ, საკუთარ თავს, ნისლში, ჭრაქით ხელში აღმოაჩენს ხოლმე და წინ მიიწევს, რათა სიზმრებამდე მიაღწიოს. მისი სიზმრები ერთდროულად ნაღველის მომგვრელიც არის და საყვარელიც. აჰმად რეზა აჰმადი თავის ლექსებში საზომს არ იყენებს და ეს უსაზომობა მისი ლექსების საზომია. ორიგინალური ხატები და ენის შესაბამისი ათვისება მის ლექსებს საინტერესო საკითხავად აქცევს. ის დაჯილდოებულია ისეთი პოეტური ძალით, რომ რა აიუკეტსაც მოინდომებს, შეუძლია ლექსებად გარდათქვას. მის შესახებ შეიძლება წიგნები დაიწეროს, მაგრამ რადგან შეზღუდული ვიყავი და სათქმელი მოკლედ უნდა მეთქვა, ამჯერად მხოლოდ ამას დავჯერდები. ვლოცულობ, რომ მუდამ ენთოს მისი პოეზიის ჩირაღდანი.

*სპარსულიდან თარგმნა*<br>
*გიორგი ლობჟანიძემ*

# პოეზია და პოეტური ყოფა
## (ინტერვიუ აჰმად რეზა აჰმადისთან)

ეროვნული ბიბლიოთეკა

**– რას გვეტყვით „ახალი ტალღის პოეზიის“ თაობაზე?**

ბევრ პოეტს ჰგონია, რომ „ახალი ტალღის პოეზიას“ რითმა და რიტმი არ გააჩნია. მაგრამ, ჩემი აზრით, „ახალი ტალღის პოეზია“ მსოფლაღქმის თავისებური სახეა, რომელიც წინა თაობათა პოეტების ხედვისგან განსხვავდება. მეჰდი ახავანსალესი[1] ფიქრობდა, რომ ნიმა მარტო იმისათვის მოვიდა, რათა რიტმი და რითმა დაერღვია, სინამდვილეში კი ნიმამ ჩვენ სხვაგვარი ხედვა გვასწავლა და სწორედ ამ სხვაგვარ ხედვაშია ახალი ტალღის პოეზიის სპეციფიკაც. არსებითად, ახალი ტალღის პოეზიას მოჰყვა შედეგად კავშირის სრული გაწყვეტა კლასიკურ პოეზიასთანაც და ნიმასეულ ლექსთანაც. „ახალი ტალღის პოეტს“ აღარ აღელვებს პოლიტიკური და სოციალური პრობლემები და საკუთარ ლექსებში უმეტესად პირად საკითხებზე საუბრობს.

**– რა არის ახალი პოეზიის შემადგენლები? მიუხედავად იმისა, რომ ამ ტიპის პოეზიის გაჩენიდან უკვე სამ ათეულ წელზე მეტი ხანი გადის, აუდიტორიისათვის ჯერჯერობით მისი შემადგენლები არ განმარტებულა...**

– ახალი ტალღის პოეზიის შემადგენლები თვალსაჩინოდ არის ფიქსირებული წიგნში, რომელიც დოქტორმა ესმაილ ნური ალამ[2] დაწერა, ასევე ამ შემადგენლებს ყურადღება მიაქცია რეზა ბორაჰნიმ[3] თავის სტატიებში. ხოლო არათვალნათლივ ეს შემადგენლები შეგვიძლია დავინახოთ ყველა იმ პოეტის ლექსებში, წერა ჩემ შემდეგ რომ დაიწყეს და, ნებსით თუ ინებლიეთ, ამ ნაკადის გავლენა განიცადეს. საგულისხმოა ისიც, რომ ჩვენ, ირანელები, ზარმაცი ხალხი ვართ და ახლა, 8 საუკუნის შემდეგაც კი ვერ შევძელით ჰაფეზის პოეზიის სწორი ანალიზი ჩაგვეტარებინა, განგვეხილა მისი ლექსების თავისებურებანი და აღმოგვეჩინა ჩამაფიქრებელი და საგულისხმო მომენტები.

**– საინტერესოა რას ფიქრობთ ისმაილ ნური ალას პოზიციაზე „პოეზიის ახალ ტალღასთან“ მიმართებით და ასევე, მის აზრზე, რომ თქვენი პოეზია მოკლებულია სიმწყობრეს და აბდაუბდაში გადადის...**

– პირველად ესმაილ ნური ალამ აზრი, რომ აჰმად რეზა აჰმადის ლექსებს ქარგა არ გააჩნიაო, სიროუს თაჰბაზის[4] სახლში გამოთქვა და სიროუს თაჰბაზმაც ხუმრობით დაუკრა კვერი, დიახ, აჰმად რეზა აჰმადის ლექსებს არათუ ქარგა არა აქვს, პოეტი რაღაც, „კარგა ვერ არისო“. ეს დიალოგი დაიბეჭდა მოჰამად თაყი-ფურის რედაქტორობით გამომავალ ლიტერატურულ გაზეთ „ბაზარში“,[5] მაგრამ თქვენი კითხვის პასუხი არის ის, რომ თუკი ამ ლექსებს ქარგა და სიმწყობრე აკლდა, განა შეეძლო, ამდენხანს გაეძლო და გავლენა მომდევნო ორ-სამ თაობაზე მოეხდინა?

**– „ახალ ტალღას“ მისგან წამოსული მრუდე მოძრაობებიც ახლდა თუ არა?**

– რა თქმა უნდა, როგორც ყველა ძირითად მოძრაობას, რომლის გვერდითაც პატარ-პატარა, ძირითადიდან გადახვეული მოძრაობებიც გვხვდება. ხოლო თუ პირდაპირ და მკაფიოდ გვინდა ვთქვათ: ამ გადახვევათა თვალსაჩინო მაგალითი ფარვიზ ესლამიფურმა[6] წარმოქმნა, რომელიც უცნაურ და საკვირველ რამეებს ამბობდა. მაგრამ ასეთი ტიპის ადამიანთა შორის იადოლაჰ რუიაიმ იმ ცოდნისა და ხედვის წყალობით, რაც გააჩნდა, მოახერხა თავისი პოეტური მიმართულებისათვის პერმანენტულობა მიენიჭებინა. ჩემი აზრით, ვინმემ ერთი წიგნიც რომ დაწეროს და ერთი ფილმი გადაიღოს, მისი ამბავი, თავისთავად გარკვეულია და ესლამიფურსაც ასე მოუვიდა.

**– ენაზე ორიენტირებული, კონკრეტული და „ანკარა პოეზიის“[7] მიმართულებებმა რა გავლენა იქონია „ახალ ტალღაზე“?**

– მე სულაც არ ვფიქრობ, რომ, როგორც პოეტმა, საკუთარი ახალი სკოლა ჩამოვაყალიბე. არასოდეს მქონია და არც ახლა მაქვს სკოლის შემქმნელის ამბიცია და მისწრაფება. რაღაც ნაწერი ან პოეზიაა, ანდა, არ შეგვიძლია, იგი სპეციფიკურ ყალიბში მოვათავსოთ. მაგალითად, მეოცე საუკუნის დასაწყისში მუსიკაში საოცარი და უცნაური რამეები მოხდა. მაგალითად, სცენაზე იდგნენ ადამიანები, რომლებიც ელექტროუთოს ხმას გამოსცემდნენ. მაგრამ მათგან შონბერგი დარჩა, ხოლო იმათი სახელები, ვინც მხოლოდ ჰბაძავდა და გაკვალულ გზას მიჰყვებოდა, დღეს აღარავის ახსოვს. ამ მიმართულებებსაც, რომლებიც თქვენ ახსენეთ, შესაძლოა, მხოლოდ ერთი ნამდვილი პატრონი ჰყავს.

**– ლექსის წერისას რამდენად ფიქრობთ აუდიტორიაზე?**

– ლექსის წერისას აუდიტორიაზე სრულებითაც არ ვფიქრობ. მაგრამ როცა ბავშვებისთვის ვწერ, ნაწერს რამდენჯერმე ვათეთრებ, ვამოწმებ და ვცდილობ, ჩემი მოთხრობებით ბავშვებს გონება დარდით, სევდითა და გაწამაწიით აღსავსე ყოფით არ დავუნაგვიანო.

**– რა ადგილი უჭირავს ნაღველს თქვენს ლექსებში და ირანელი პოეტის მზერა მეტწილად განშორებისა და გამოთხოვებისაკენ რად არის მიმართული?**

– ახალგაზრდობაში, როცა ლექსებს ვწერდი, იყო ხალხი, ვინც მსაყვედურობდა, შენს პოეზიაში სევდა და ნაღველი რატომ არ არისო? სულ ახლახან აღმოვაჩინე, რომ სიტყვა „გული“, რომელიც ხშირად გამოიყენება სპარსულ ნაწერებში, ჩემს ბოლოდროინდელ ლექსებშიც ხშირად გვხვდება თვალში. ეს ჩემი სიბერით, სნეულებითა და სევდით არის შეპირობებული. ცოტა ხნის წინათ გაზეთში ერთი სტატია გამოქვეყნდა, სადაც ფურან ფაროხზადი[8] კითხულობდა, გუშინდელი „კარგად გაზმანული“ ახალგაზრდის ლექსები დღეს ამდენი გლოვით და მწუხარებით რატომ არის სავსეო? სიჭაბუკეში ის პრობლემები, რაც დღეს მაქვს, ან რაც უკვე უკან მოვიტოვე, სულაც არ მქონია. ოჯახის წევრები და მეგობრებიც ცოცხლები მყავდა. ახლა კი, იმ თაობიდან, რომელსაც ვეკუთვნი, ერთადერთი დავრჩი... თუ სინამდვილეს ცოტა უფრო მივუახლოვდებით, დავინახავთ, რომ ჩემი ასაკის პოეტისათვის დარდზე და ნაღველზე დაფიქრება ჩვეულებრივი რამეა. მე კიდევ ჩემს ლექსებში არასოდეს მითქვამს ტყუილი.

**– ბავშვებისთვის წერა რატომ გადაწყვიტეთ?**

– იმ დროს, როცა დაარსდა ბავშვთა აზროვნების განვითარების ცენტრი, ყველა პოეტსა და მწერალს შესთავაზეს, რამე დაეწერათ ბავშვებისათვის. მეც მივყავი ამ საქმეს ხელი და პირველი წიგნი, რომელიც ბავშვებისათვის დავწერე, იყო „სიტყვა მაქვს, სათქმელი, რომელსაც მხოლოდ ბავშვები ირწმუნებენ“ და წიგნი სწორედ ხსენებული ცენტრის მიერ გამოიცა. ამის მერე კიდევ რამდენიმე საბავშვო წიგნი გამოვეცი და ამ ბოლოსაც ორი მოთხრობა მაქვს, ისევ ბავშვთა აზროვნების განვითარების ცენტრმა რომ უნდა დასტამბოს. ერთხანს ბავშვებისთვის წერა ჩემთვის მხოლოდ მატერიალური თვალსაზრისით იყო მნიშვნელოვანი, მაგრამ მას შემდეგ, რაც მე თვითონ მეყოლა შვილი, ბავშვებისთვის წერასაც უფრო სერიოზულად მივუდექი. ეს ყველაფერი იქით იყოს და, ძალიან მიხარია, რომ რომანის დაწერა მაინც არასდროს მიფიქრია.

**– თქვენი შემოქმედების არცერთ ეტაპზე რატომ არ გადაგიხდიათ ხარკი ე. წ. „პოლიტიკურ-იდეოლოგიური“ პოეზიისათვის?**

– დასაწყისიდანვე დარწმუნებული ვიყავი, რომ საჭიროა არსებობდეს გამმიჯნავი დისტანცია, პოეზიას, პოეზიაში წამოჭრილ პრობლემებსა და იმ საკითხებს შორის, რაც ჟურნალისტურ სტატიებში დაისმის. ჩემთვის ამ უკანასკნელთა რიგს განეკუთვნება პოლიტიკური და იდეოლოგიური საკითხებიც. თუ მაინცადამაინც აუცილებელია, რომელიმე სოციალურ ან პოლიტიკურ პრობლემაზე პროტესტი გამოვთქვა, უმჯობესია, ავდგე, საგაზეთო სტატია დავწერო და იქ რამდენი ლოზუნგიც უნდა იყოსო, მაინც არა უშავს. მაგრამ იმავე თემაზე ლექსი რომ დავწერო, აუცილებლად სასაცილო რამე გამომივა. რასაკვირველია, ხელოვანი არაპირდაპირ ყოველთვის ექცევა საზოგადოებრივი საკითხებისა და იმის ზეგავლენაში, რაც მის გარშემო ხდება. ეს საკითხები უსათუოდ მიიტაცებს მის გონებას, თავის კვალს დატოვებს იმის ნააზრევზე და სადმე აუცლებლად იჩენს თავს ლექსში, მხატვრულ ტილოსა თუ მუსიკალურ ნაწარმოებში მისი ზეგავლენა ასეთი სახით კი გაცილებით ღრმა და უკეთესი იქნება, ვიდრე ამ საკითხების წინასწარი ჩანაფიქრით შემოტანა ხელოვნებაში. უნდა აღინიშნოს, რომ კრებულში „მე მხოლოდ ცხენის სითეთრე დავიტირე“, რომელიც 1350 წელს (1979 წ. – გ.ლ) გამოიცა, თვალში საცემი იყო ცალკეული პოლიტიკურ-საზოგადოებრივი მოტივები, მაგრამ ეს მოტივებიც სამიჯნურო ხასიათისა იყო და რომელიმე კონკრეტული იდეოლოგიური დოქტრინის გავლენას არ განიცდიდა. თანამედროვე მსოფლიოს ერთი დიდი პოეტი დარწმუნებულია, რომ სასიყვარულო და პოლიტიკური ლექსების წერა დღეს ერთ-ერთი ყველაზე ძნელი საქმიანობაა. ჩემი აზრით, თუ ვინმეს უნდა, პოლიტიკურ საკითხებზე ისაუბროს, ან ლოზუნგები ისროლოს, უმჯობესია, ადგეს და თავისი მოსაზრებები სტატიაში ჩამოაყალიბოს. შამლუმაც კი, რომელიც ირანული პოეზიის ერთ-ერთ გამოკვეთილ სახედ ითვლება, ვერ შეძლო რიგიანი პოლიტიკური ლექსები დაეწერა.. თუ დავაკვირდებით, ჩეხოვმა, ნოველაში „სევდა“, მოახერხა მეეტლის ნაღველი ძალიან კარგად გადმოეცა და ეს მკითხველისათვის გაჩარხული ალმასივით მიეწოდებინა, მაგრამ სამწუხაროდ, ბევრი პოეტი რომელიმე საკითხს იმდენად აპრიალებს, რომ ალმასის ნაცვლად ნახშირად ექცევა და გვერდს უინტერესოდ ჩაუვლიან.

**– რას ფიქრობთ ირანში ლიტერატურული კრიტიკის მდგომარეობაზე?**

– ლიტერატურული თეორიები ირანში იმპორტირებულია და ჩვენი ლიტერატურის ისტორიასთან ან სამწერლობო ტრადიციასთან არავითარი კავშირი არა აქვს. ვითარება იმას ჰგავს, რომ მოვინდომოთ და „ასრარ ათ-თოუჰიდზე“[9] განვავრცოთ ფროიდის შეხედულებები. სამწუხაროდ, როცა დასავლეთში კვდება რომელიმე ლიტერატურული თეორია, ის მხოლოდ მაშინ პოულობს გზას ირანისკენ. ამიტომაც, მე, როგორც პოეტი, დროს ტყუილად არ ვკარგავ და ამ იმპორტირებული თეორიებისაკენ, ჩემს კულტურასთან არავითარი შესაბამისობა რომ არ გააჩნიათ, არც კი ვიხედები. ბოლო ოცი წლის განმავლობაში პოეზიაში მოვახერხე რაღაც ახალ გამოცდილებათა დაგროვება, რომელთაგან მხოლოდ ზოგიერთზე მარტო იადოლაჰ რუიაიმ მიუთითა თავის ერთ სტატიაში. ასევე, ზეპირად გამოთქვა საინტერესო მოსაზრებები ამაზე შამს ლანგარუდიმ, მაგრამ ეს მოსაზრებები არსად დაუბეჭდავს.

**– თქვენი აზრით, რა თვისებები უნდა ჰქონდეს კრიტიკოსს?**

– ლიტერატურულმა კრიტიკოსმა ყოველთვის სიმართლეს უნდა ამბობდეს და არ უნდა იყოს ათქვეფილი სამწერლო

„კუტოკებში". აიდინ აღდაშლუ[10] კრიტიკოსის ნამდვილი ნიმუშია. ყველგან, სადაც კი გზაში გავიჭედე, აიდინ აღდაშლუმ წინ მიბიძგა. აღდაშლუმ ჩემი ლექსები პირველად „ფარამარზ ხობეირის" ფსევდონიმით გამოქვეყნებულ სტატიაში გააკრიტიკა. რა თქმა უნდა, შამს ლანგარუდი[11] და მაიშათ ალაიც[12] დღევანდელობის საუკეთესო კრიტიკოსები არიან, რომლებიც ნაწარმოების კრიტიკაზე ფიქრობენ და არა – ავტორის მიმართ შურისძიებაზე.

**– კრიტიკის დანიშნულება რაღაა?**

– კრიტიკის არანაირი რწმენა არა მაქვს. როცა ხელოვნების ნაწარმოები იქმნება, თითქოს ვულკანია, რომელიც ამოიფრქვა, მერე ძირს დაეშვა, გაქვავდა და დასრულდა. წავიდა. მეც, როცა ლექსს დავწერ, მერე ყველაფერი დამთავრებულია. საქმე, რასაც რომელიმე კრიტიკოსი იქმს, დაგვიანებული აქტიურობაა და არ შეუძლია, ხელოვნების უკვე დასრულებულ ნაწარმოებზე რაიმე ზეგავლენა იქონიოს. ხელოვნების ნაწარმოების შექმნა ბავშვის დაბადებასავით არის, როცა დაიბადება, შეუძლებელია, თვალების ფერი მერე შევუცვალოთ. კრიტიკოსთა მეტი წილის ფუნქცია კი ის არის, რომ შემოქმედს გზაკვალი აურიოს და მისი არაცნობიერი ცნობიერად გარდაქმნას.

**– რას ფიქრობთ იმ აუდიტორიის კრიზისზე, რომელსაც ასე ელოლიავებიან პოეტები?**

– აუდიტორიის კრიზისი, მეტწილად იმ პოეტებს ეხება, ვინც ლექსის წერის მაგივრად, კეკლუცობით არის გატაცებული. ნამდვილ პოეტს მუდამ ჰყავს თავისი აუდიტორია. რა თქმა უნდა, ხალხის ჩვეულების შეცვლა ყოველთვის ძალიან ძნელია. პროვინციებში პოეტებად დღემდე მხოლოდ ჰაფეზი და საადი მიაჩნიათ და ნიმაზე, შამლუზე თუ მეჰდი ახავანსალესზე არაფერი იციან. რაღაცა პერიოდში ისინი პრესამ გააბუქა. ვფიქრობ, ეს ნაკლი უფრო ჩვენი პოეტების ნაკლია, ვიდრე აუდიტორიისა. კარგ წიგნს ყოველთვის შეუძლია გზა გაიკვალოს ხალხის გულისაკენ.

**– თუ გავითვალისწინებთ, რომ თქვენ ლექსებს 40-იანი და 50-იანი წლებიდან წერთ, (იგულისხმება მეოცე საუკუნის 60-70-იანი წლები), იმ პერიოდში კი ძალზე მოდური იყო ე. წ. „ინტელიგენტური ჟესტები", თქვენ რატომ არასოდეს გიცდიათ, თქვენთვის რამე განსაკუთრებული ჟესტი აგერჩიათ?**

– ეს „ინტელიგენტური ჟესტებიც" თანამედროვე ლიტერატურის ერთ-ერთი თანმხლები მოვლენა იყო. იმ ათწლეულების შემოქმედები ფიქრობდნენ, რომ ამ ჟესტებით იმაზე უფრო დიდ შემოქმედებად წარმოჩინდებოდნენ, ვიდრე იყვნენ. მაგალითად, მანუჩერ ნეისთანის[13] ფოტოალბომს თუ გადავხედავთ, მას ვერცერთგან ვერ ვნახავთ უსიგარეტოდ. და სიგარეტი მისი მსგავსი პოეტებისათვის გარკვეულ ჟესტად ითვლებოდა. იყვნენ სხვა პოეტები, რომელთაც ჰქონდათ სხვა ახირებანი, რაც იმდროინდელი ინტელიგენციის წრეში მიუღებელი იყო, მათ კი სწორედ ამ ახირებული ჟესტებით სურდათ საზოგადოებისათვის თავი პოეტებად და ნოვატორებად მიესაღებინათ. მაგრამ ორ-სამ ათწლეულსაც არ გაუვლია და ეს ხალხი უკვე აღარავის ახსოვს. ის, ვინც ხელოვანი არ არის, ჟესტითა და ახირებით თავს შემოქმედად ვერ გაასაღებს. ჟესტები საქმეს ვერ უშველის. მე თავიდანვე საკუთარ თავსა და ოჯახს პატივისცემით მოვეკიდე, უბრალო ყოფა ვარჩიე და არასოდეს არცერთი ლიტერატურული დაჯგუფების და ბანდის წევრი არ გავმხდარვარ. დღევანდელ პოეტებსაც აქვთ თავიანთი ჟესტები, მე კი არც ადრე მინდოდა და არც ახლა მსურს, ასეთ ამბებში გავერიო.

**– როგორ ფიქრობთ, ლიტერატურაში ოსტატისა და შეგირდის ცნებას შეიძლება ჰქონდეს რამე აზრი?**

ხილული ფორმით, რა თქმა უნდა, არც არავითარი, რადგან ლიტერატურა არის ხელოვნება, რომელიც სიმარტოვეში იქმნება და პოეტმაც და მწერალმაც წიგნები სიმარტოვეში უნდა იკითხონ, თითოეული წიგნი კი თავისთავად ოსტატის ფუნქციას შეასრულებს, მაგრამ ისე ხილულად, როგორც ეს მისტიკაში გვაქვს, ლიტერატურაში ოსტატ-შეგირდობანას არავითარი აზრი არ გააჩნია.

**– ჩვენს დროში რატომ გახდნენ პოეტები თვითიზოლირებულნი? ამ მხრივ გამონაკლისი არც თქვენ ბრძანდებით...**

ისტორიას თუ გადავხედავთ, პოეტები ყოველთვის თვითიზოლირებულნი იყვნენ, თუმცა, ზოგი მათგანი ხანდახან გზას მიიკვლევდა დიდებულთა სასახლეებშიც, მაგრამ მმართველის სიკვდილთან ერთად ისინიც ძალაუნებურად განაპირებულნი ხდებოდნენ. მაგრამ პოეტის იზოლაცია დღევანდელობაში უფრო გამკვეთრებულია, რადგან ირანში პოეზიას არავითარი მფარველი არა ჰყავს. არც უნდა ველოდეთ, რომ პოეტის სახელი, როგორც ჯერ არს, ისე იხმიანებს და ცხადია, არც მე ვარ გამონაკლისი ამ თვალსაზრისით. მე უკვე დრო ძალიან ცოტა მაქვს და იმის ნაცვლად, რომ დილიდან საღამომდე დრო უქმად ვფლანგო და ამ შეხვედრიდან იმ პრეზენტაციაზე ვირბინო, ვამჯობინებ, დავჯდე და წიგნი წავიკითხო, ვწერო და დაუმთავრებელი საქმეები ბოლომდე მივიყვანო. ასევე იქცევიან ჩემი თაობის ადამიანები და მეგობრები.

**და ბოლო შეკითხვა: რას ურჩევდით ახალგაზრდებს?**

– გიყვარდეთ ხელოვნება, მას სერიოზულად მიუდექით და იცოდეთ, რომ ნარკოტიკები და ბოჰემური ლაშისთევანი პოეტად ვერ გაქცევენ. არსებობს მაგალითი, რომ სადეყ ჰედაიათს 4 საფეხური ჰქონდა, ამ ოთხიდან ნარკოტიკები მხოლოდ ერთი იყო და ბევრმა სწორედ ეს ერთი საფეხური დაინახა. მე უამრავი გვირაბი და ლაბირინთი გამოვიარე, სანამ აქამდე მოვედი და მივხვდი, რომ ნარკოდამოკიდებულება პოეტობისაკენ გზის გამკვალავი არ არის...

*გაზეთი „ჰამშაჰრი", 1384.*

შენიშვნები

1. მეჰდი ახავან-სალესი (1928-1990) – გამოჩენილი ირანელი პოეტი, სპარსული პოეზიის ერთ-ერთი რეფორმატორი. მისი ლექსები თარგმნილია ქართულადაც.
2. ესმაილ ნური ალა – თანამედროვე ირანელი კრიტიკოსი და ლიტერატურათმცოდნე.
3. რეზა ბარაჰენი – თანამედროვე ირანელი კრიტიკოსი
4. სირუს თაჰბაზი – ცნობილი ირანელი ჟურნალისტი და ლიტერატურის კრიტიკოსი.
5. ლიტერატურული გაზეთი „ბაზარი" გამოდიოდა თეირანში 80-იანი წლების დასაწყისში.
6. ფარვიზ ესლამფური – 70-იანი წლების ირანელი პოეტი, რომელზეც შემოქმედებითი გზის დასაწყისში დიდ იმედებს ამყარებდნენ, მაგრამ რამდენიმე წარმატებული პუბლიკაციის შემდგომ ლექსების წერას თავი მიანება.
7. კონკრეტული პოეზია, აბჯარა პოეზია – 70-იან წლებში ირანელი პოეტების ესა თუ ის ჯგუფი ქმნიდა სამუშაო ტერმინებს და ასე განსაზღვრავდა საკუთარ ნამოღვაწარს.
8. ფურან ფაროხზადი – ცნობილი ირანელი ლიტერატორი, მეოცე საუკუნის დიდი სპარსელი პოეტის ფოროღ ფაროხზადის და.
9. „ასრარ ათ-თოუჰიდ" („ღმერთთან გამთლიანების საიდუმლოებანი") -XI საუკუნის დიდი ირანელი კლასიკოსი სუფი პოეტის აბუ საიდ აბუ ლ- ხეირის თეორიული სუფისტური თხზულება.
10. ბიჟან ალდაშლუ (დაიბადა. 1940 წლის 30 ოქტომბერს) – ცნობილი ირანელი პოეტი და ლიტერატურის კრიტიკოსი.
11. შამს ლანგარუდი (დაიბადა 1950 წლის 17 ნოემბერს) – ცნობილი ირანელი პოეტი და ლიტერატურის მცოდნე, „თანამედროვე სპარსული ლიტერატურის ისტორიის" ძალზე პროფესიული და აკადემიური სახელმძღვანელოს ავტორი.
12. მაიშათ ალაი – თანამედროვე კრიტიკოსი.
13. მანუჩეჰრ ნეისთანი (1901-1981) – მეოცე საუკუნის 60-იანი წლების ირანული პოეზიის პოპულარული ავტორი.

*სპარსულიდან თარგმნა გიორგი ლობჟანიძემ*



ეროვნული ბიბლიოთეკა

# 2 პოეზია

*ზვიად რატიანი*

## კიბე, რომელსაც დავაკვდები

1
დროები, როცა არ გინდივარ, რადგან ცუდად ხარ –
როგორც ნაკლული საფეხურები სადარბაზოს პირქუშ კიბეზე,
რომელზეც ავდივარ; და ბოლო არ უჩანს.

2
თუმცა არ ჩანდა ეს შენობა ასე მაღალი,
როცა გარედან ავყურებდი, როცა შესვლა მეკრძალებოდა.
გარედან წლობით ავყურებდი. გარს ვუვლიდი. მისი კედლები,
ყველა აგური მის კედლებში, ყველა ჩრდილი აგურებს შორის
წლიდან წლამდე მუქდებოდა, მტკიცდებოდა, მჭიდროვდებოდა
და მიღვივებდა (თავს მახვევდა) რწმენას (ილუზიას)
სიმშვიდის და დაცულობის; და მისი კარი,
ერთადერთი სადარბაზოს თაღოვანი, ვეება კარი
ზეზეულად ჩამოთვლემილ ცხოველს ჰგავდა, მითიურ ცხოველს –
რამდენიმე მტაცებელი ნადირის და მტაცებელი ფრინველის ნაზავს,
რომელიც ისე დიდხანს თვლემდა, რომ თანდათან გამიქრა შიში
და დავიჯერე, რომ მიმიშვებს, გამატარებს. ხოლო ფანჯრები –
ყველა ფანჯარა მოწმენდილ ცას ირეკლავდა
ზამთარ-ზაფხულ, დარში, ავდარში.

3
მაშინ სართულებს არ ვითვლიდი,
მაგრამ არ ჩანდა ეს შენობა ასე მაღალი,
ვიდრე გარედან ავყურებდი, ვიდრე შესვლა მეკრძალებოდა.
ვიდრე მაინც შევბედავდი, ავუყვებოდი
კიბეს, რომელსაც ბოლო არ უჩანს

და დროები, როცა ცუდად ხარ,
როცა ჩემთან არ შეგიძლია,
როგორც ნაკლული საფეხურები,
ზოგჯერ ერთმანეთს სახიფათოდ მიეწყობიან –

რაც უფრო მაღლა, მით უფრო ხშირად;

ეროვნული
ბიბლიოთეკა

მით უფრო მეტი, ერთმანეთის მიყოლებით, რაც უფრო მაღლა;

რაც უფრო მცირდება
შანსი გადარჩენის,
თუ ფეხი ჩამიცდა.

4
ჩამორჩენილი, ჩავარდნილი საფეხურები –

სამ-ოთხ ასეთს, ალბათ მეტსაც, გავწვდები და გადავაბიჯებ,
ნაგრამ დროები, როცა კარგი აღარ გახსოვს – ისე ცუდად ხარ,
ზოგჯერ ერთმანეთს დაუნდობლად მიეწყობიან
და მე მივცოცავ, მოაჯირზე გაკიდული, სართულიდან სართულამდე –
და სართულებს ბოლო არ უჩანს.

რაც უფრო მაღლა, მით უფრო ბნელა.
ნაკლული საფეხურებიდან დაძრული სიბნელე
შთანთქავს ისედაც სუსტ სინათლეს, შემოღწეულს
სადარბაზოს დამტვერილი ფანჯრებიდან, რომლებიც ალბათ
გარედან ისევ მოწმენდილ ცას ირეკლავენ
ზამთარ-ზაფხულ, დღისით, ღამით,
დარში, ავდარში.

5
კატასტროფის წინათგრძნობა
წლობით იდგამდა ფესვებს ჩემს გულში.

კატასტროფის წინათგრძნობა
წლების მანძილზე იღრმავებდა ფესვებს ჩემს გულში

და თანდათან იქცა ჩვევად,
რომელიც ბევრად მძიმეა და დაუძლეველი,
ვიდრე ნანგრევები, რომელშიც მოვყევი.

კატასტროფა უკვე მოხდა,
მე კი, ინერციით, ჯერ კიდევ წინათვგრძნობ.

6
კატასტროფა უკვე მოხდა.
მე ვაბიჯებ სამ-ოთხ საფეხურს.

კატასტროფა უკვე მოხდა.
მე ვახტები ხუთ-ექვს საფეხურს.

კატასტროფა უკვე მოხდა,
მე კი მივცოცავ, მოაჯირზე გაკიდული (ხელისგულები მიტყავდება,
ფეხისწვერებს ძლივს ვაკავებ რიკულებს შორის)
და წინათვგრძნობ: შეიძლება მოხდეს უარესი.

შეიძლებოდა (შეიძლება) მომხდარიყო (მოხდეს) უარესი:

ეროვნული
ბიბლიოთეკა

საფეხურები სწორედ მაშინ ჩაწილილიყვნენ,
როცა ფეხს ვადგამდი.

ან უარესი:
ჩავვარდე და არსად დავეცე,
უსასრულოდ გაგრძელდეს ვარდნა.

ან უარესი:
აღარ დარჩეს აღარცერთი საფეხური,
აღარ იყოს მოაჯირი, სართულები, კედლები, ფანჯრები,
მე კი ასვლას განვაგრძობდე –
მე კი ასვლას განვაგრძობდე –
მე კი ასვლას განვაგრძობდე –

ან უარესი.

## რწმენა. იმედი. სიყვარული

*The book never discuss the causes of love.*
*It claims confusion is a necessary good.*
*It never explains. It only reveals.*

*მარკ სტრენდი, The Story of our Lives.*

**1** *პირველი სტრიქონები*

მე ვწერდი ლექსს, რომელშიც გამოჩნდებოდი შენ.
გამოჩნდებოდი პირველსავე სტრიქონებში.
ასეთი იყო ჩანაფიქრი.
პირველივე სტრიქონები არ ილეოდნენ.
პირველსავე სტრიქონებს მოსდევდა
კიდევ უფრო პირველივე სტრიქონები,
რომლებშიც, ვგრძნობდი, გამოჩნდებოდი შენ.
ასეთი იყო ჩანაფიქრიც.
მაგრამ არ ჩანდი.
ცა მერამდენედ მოვღრუბლე და გადავწმინდე,
ხეები და სტრიქონები მერამდენედ გადავაჯგუფე,
მერამდენე ზამთრის ღამე ჩავანაცვლე ზაფხულის დილით
და პირიქით, შენ კი არ ჩანდი.
ყოველი მომდევნო პირველი სტრიქონი
ინყებოდა იმედით და გადამდები აღტაცებით,
რომ სწორედ მასში გაიხსნება ჩანაფიქრი
და გამოჩნდები. მომდევნო სტრიქონებს
ისლა დარჩებათ, აირეკლონ მომწვანო სხივი,
რომელიც, ჩანაფიქრის თანახმად, შემოგყვა
პირველივე სტრიქონებში.
მაგრამ არ ჩანდი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ცა ერთხელაც მოვღრუბლე და აღარ გადავწმინდე.
ხეები და შენობები დავაბრუნე ზამთრის ღამეში.
ზამთრის ღამე გაიწელა. მომდევნო სტრიქონებს
(ნაცვლად იმისა, აერეკლათ მომწვანო სხივი, ეზეიმათ შენი სილამაზე)
წილად ერგოთ უმადური, შავი სამუშაო –
აღეწუსხათ დაღლილი და სიბერისკენ გადახრილი კაცის განცდები,
ვისაც რცხვენია თავისი დაგვიანებული, ყმაწვილური სიყვარულის
და კიდევ უფრო – მასზე წერის. ვინც დაკარგა ყველაფერი,
რისი დაკარგვაც შეიძლება (წაიკითხე: არ შეიძლება)
და კარგავს იმასაც, რის გამოც დაკარგა.
ვისი ყოფაც (უსახლობა, უფულობა, ქაღარა, ღიპი,
შერყეული ჯანმრთელობა, მავნე ჩვევები)
უკვე მართლა დაემსგავსა მომდევნო სტრიქონებს
ლექსის, რომელიც პირველსავე სტრიქონებში ასცდა ჩანაფიქრს.
ვინც პერსონაჟად ალბათ კიდევ ივარგებდა (წაიკითხე: ლირიკულ გმირად),
მაგრამ ავტორად – სადიზმია. ვინც თავისთავს ვერც კი დასცინის,
რადგან იმდენი დააშავა ცხოვრებაში, უკვე იცის, ყველა სასჯელი
მრუდე სარკეა და ხაფანგი: ის ყოველთვის ბევრად მძიმეა,
ან ბევრად მსუბუქი, ვიდრე იმსახურებ.
ამ შემთხვევაში, სამწუხაროდ, ბევრად მსუბუქი –
რაც გაცილებით მტანჯველია. მე გავედი ზამთრის ღამეში,
რომ გამომეხმო წყვდიადიდან დამშეული ძაღლების გუნდი
და იქნებ ელდას გაეფანტა დარჩენილი სტრიქონები,
რომლებიც ხრავდნენ ბოლო იმედს ისევე ხარბად,
როგორც ჩემს ხორცს დაძიძგნიდნენ მოთარეშე ღამის ძაღლები.
მაგრამ ძაღლები არსად ჩანდნენ. შორი ყეფაც არ მსმენია, ისე გათენდა.
მე ჩამოვჯექი ბორდიურზე და მალევე შემეშინდა ჩამოძინების.
როცა ადგომა დავაპირე, თავბრუ დამეხვა
და თვალები ამიჭრელდა – აიშალა ბრჭყვიალა მტვერი
და როცა ოდნავ გათანაბრდა, მის ბზინვაში გავარჩიე მომწვანო სხივიც,
რომელიც ისე ლიცლიცებდა, თითქოს არც კი გამქრალიყო –
ისეთივე მსუბუქი და მხიარული, როგორც მაშინ, როგორც წლების წინ –
როცა პირველად შემოაღე ხალხმრავალი ოთახის კარი
და გვიან მივხვდი, რაც ჩამესმა ან როგორც მაშინ,
როცა ცხოვრობდი ათასობით მოფუსფუსე სამყაროს იქით,
ჩრდილოეთის რომელიღაც მყუდრო ქალაქში
და კარგ დღეებში, თბილ დღეებში, მიდიოდი ჯადოსნურ ტბასთან,
მიგქონდა წიგნი, მგონი პურიც – იხვებისათვის
და მე მათრობდა ეს სურათი: მწვანე წყალი, ლიანები, ზანტი ლივლივი
და შენი ჩუმი, უწონადი ანარეკლი... ან როგორც მაშინ,
როცა თვეობით ჩავყურებდი ნაჩუქარ ბლოკნოტს
(ბოლო გვერდზე მინაწერით: „რომ შეავსებ, დამიბრუნე“)
და ვჩურჩულებდი, „დაგიბრუნებ“, როგორც იმ ღამით,
როცა მძინარეს რამდენჯერმე აგეტირა, ბოლოს ჩამშვიდდი,
მე კი ვიჯექი იატაკზე, შენს ცუდ სიზმარს თვალს ვარიდებდი
და ზუსტად ვიცოდი, რასაც ვდარაჯობდი.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

## 3 ბოლო სტრიქონები

უბედურებამ აღიარა ჩემი სახელი.
ალბათ ნამებით გამოტეხეს.
ვერ ვიჯერებ, რომ ნებით გამცა.

ჩვენ გვესმოდა ერთმანეთის:
მე მასზე ვწერდი, ის გვერდს მივლიდა.
მაგრამ მაინც ათქმევინეს ჩემი სახელი
და გამოსძალეს სამხილები:
თუ ვის რწმენას ვაქციე ზურგი,
ვის ცხოვრებას დავადგი თვალი.

როცა მეგონა, რომ ამოვთქვი
ყველა ყველაზე მწარე სიტყვა
სასოწარკვეთის, სირცხვილის, გლოვის –
სწორედ მაშინ შეახსენეს თავისი ვალი
და აიძულეს, დავესაჯე.

უბედურება მოვიდა ჩემთან.
მე ვიწყებდი ბოლო სტრიქონებს.
უბედურება მოვიდა ჩემთან
დათრგუნული, აღელვებული.
მე ვთქვი, რომ მესმის ყველაფერი,
და ვთქვი: დაიწყე.

მან შემიცურა გულში სიტყვა,
თურმე ყველაზე უმწარესი,
რომელზეც არც კი მიფიქრია,
რომლის სიმწარე არც მიეჭვია,
და გაიქცა, გამეცალა –
ვიდრე გული იფეთქებდა
და ამოხეთქდა ყელში
„გამიხსენე!"



ავტორის ნახატი

## ხის ჭრა

ანას

ხელისგულები მეც გამისკდა, ხოლო გული კი
არაფერს ჰყვება, ტყუილის გარდა,
მიასვენებენ მკვდარ ალვის ხეს ხელის ურიკით,
მოასვენებენ გულგრილობას დილის მგზავრები,
სუნთქვა, ქუჩაში ჩანოლილი ნისლის ამრევი,
ფანჯრის მიღმიდან შეარხევს ფარდას.
ყველა ოცნება ფუჭი იყო, რაც კი აქამდე
სიტყვებითა და სიტყვებზე მქონდა,
მზეში გათენდეს და მთვარეში აღარ დაღამდეს,
ჩემი ჩრდილის ქვეშ ბილიკები თავს მოიყრიან,
და ის ცრემლებიც, შენთან ერთად მეც რომ მიღვრია,
იმ ოცნებისთვის, გზებზე რომ მოკვდა.
ჩვენ კი გვეგონა დღე არ იყო უფრო ნათელი,
არც წყაროს წყალი – უფრო კამკამა.
შენც გაძელი და მეც გავძელი, მაინც გავძელით,
და შემოდგომას ვაყურადებთ, ავდრის ქოროთი,
იმ დასაწყისის დასაწყისსაც, ბოლო მოლოდინს,
და სახეალიო ფიქრებს ამჟამად.
ზღვები ცრემლებში, წარსულია და ის მტკვარს მიაქვს,
და მოდის ქუჩა ცხრასართულებად,
მასაც ატყვია ის წუხილი, ჩვენ რომ გვატყვია.
კვამლი მიჰყვებათ ჩამწკრივებულ რკინის კოლოფებს,
აშრიალებენ ტროტუარებს და მათ ბოლო ფერს,
ამ სიმარტივის გასართულებლად.
ხელისგულები მეც გამისკდა, ხოლო გული კი
რას გაიხსენებს წვიმებს, ნამქერებს,
ყრია ნახერხი, ხის მორები მიაქვთ ურიკით,
ტირის ქალაქი და გვიყვება ზღაპრებს, ნაირგვარ
სიზმრებს და ამბებს. ქუჩის ბოლოს დილა გაირღვა
და ზედ შუადღე გადავაკერეთ.

## სოროები

დღისგან რაც დარჩა – მაფხიზლარა ბავშვის ძახილი,
და ჭუჭყიანი თითების პური,
ანაბეჭდების ლაბირინთი, ცაზე, დაღლილი,
ბებიაჩემის თვალებივით, მინავლული მზე,
მშრალი, ხავსიან წარსულში ცურვით.
ლექსი პირველი, აღმართული ყველა სურვილზე,
ჭიათგვალაზეც,
ლექსი მეორე, აზიდული ყველა სურვილზე.
ჩვენ მივძვრებოდით მიწაში და ვთხრიდით სოროებს,
თივას ვაფენდით, მიწა ამბობდა
რასაც ვამბობდით, მე ვხვდებოდი, დავაბოლოვე
მისი სიჩუმე, მისი სიტყვა და მას მივბაძე –

ღელედ მივცოცდი თხმელის დაბლობთან.
ლექსი მესამე, უჩვეულო ყველა სიზმარზე,
ჭერჭეთობაზეც,
ლექსი მეოთხე, საოცარი ყველა სიზმარზე.
ხემყრალას კანზე უფრო მწკლარტე ქარმა დაბეროს,
მე გავაცოცხლებ დამჭკნარ ყვავილებს,
ავხედავ ჩემი სახლის სხვენში ფუძის ანგელოზს,
და ჩემს ცხოვრებას საბოლოოდ გადავაფასებ,
და ჩემს გასალევს მშვიდად გავილევ.
ლექსი მეხუთე, ნისლიანი ყველა სწრაფვაზე,
ეგრისის ქედზეც,
ლექსი მეექვსე, ბინდიანი ყველა სწრაფვაზე.
მე ჩამოვწყდები თოვლის ბელტად ჩალის ანწალას,
ჩავუცვივდები მამას კისერში,
მე ვიქნებოდი შავი ღვინო, შენ რომ დაცალე,
მე ვიქნებოდი იმ დღის მთვარე, ანდა იმ დღის მზე,
შენ რომ მიგეშვი, ოღონდ მიგეშვი.
ლექსი მეშვიდე, დასაწყისი ყველა სიკვდილზე,
ამაღლებაზეც,
ლექსი მეშვიდე, დასასრული ყველა სიკვდილზე.

**გადამლამეგელი**

*ბ-ს ხსოვნას*

ჩემი ეზოთი დაწყებული, ქუჩით, ქალაქით
დამთავრებული,
ჩემი ეზოთი დაწყებული, მთელი ქალაქით –
ყველა მისურვებს, მეელოს მშვიდობით,
ეს გზა, ყველასი, ჩემიცაა, ჩემი ცალფეხა
ბილიკით, მტვრით და ორმოებით (მათში ამდენ ხანს
ჩაგუბებული მღვრიე ცრემლით), მეტი არაფრით,
მე მას ვადგები მხრე და მიმნდობი.
იყოს შუქი და უჩრდილობა ჩემი მეგზური,
ამ გზის ბოლომდე,
უჩრდილობა და სუსტი შუქი ჩემი მეგზური,
მხოლოდ ნუილი სიჩუმის მწერის,
ჩინამომქრალი დედაჩემის სველი თვალიდან
მამა დამხედავს, უნახავი, რომ გამარიდა
თავის შვილობას, მე ვიდგები ისე შეძრული...
ვიტირებ, რასაც აქამდე ვმღერი.
ცოლმა რა იცის, მე რა ვიცი, საგზალს ვალაგებ,
სულის აბგაში,
შვილმა რა იცის, მე რა ვიცი, საგზალს ვალაგებ,
და ყველას მინდა, ვთხოვო შენდობა,
და ჩემი ძველი სურვილების ალბომს გადავშლი:
შელამება და ჩასული მზე მინდა კადაში,
წვიმით და ქარით ვესტუმრები სულ სხვა ქალაქებს,
რომლებსაც ღმერთის ხელი ეტყობათ.
ვერ დავამშვენე ჩემი ეზო ვერცხლის წყლების ხმით,
არ მქონდა სახლი,

ეროვნული ბიბლიოთეკა

ვერ ავაშენე ჩემი სახლი ოქროს მთების ქვით,
სისულელეა ამაზე ღელვაც,
და მიჰყვებიან წაუკითხავ აბზაცებს ხვალის,
სიტყვები, ფილტვში ჩამყაყებულ სისხლივით მყრალი.
ჩემი დღეების უბადრუკი ნარჩენები კი
ღამის ფანჯრებში კრთებიან ელვად.
ყველაფერს ვნანობ და არაფერს მე არ მიტირი,
ვიხსენებ მხოლოდ,
არაფერს ვნანობ და ყველაფერს მაინც მივტირი,
აორთქლებული მდინარეც ვნახე.
დილით, კორპუსის შესასვლელში შიშით შემძვრალი
ღამის კალთიდან აფრინდება ბოლო მერცხალი,
მთიდან მზის ნაცვლად რომ ამოვა ჩემი სიკვდილი
და მეეზოვეს გაუთბობს სახეს.

## ცხენის თავის ნისლეული

*„უთხრა მას მთავარმა ღვთაებამ, ხვეთ: ჩემს ღღეს,*
*უქმე ბჟამხას მომარჯვებული ნემსივით გაცივდე და გაქვავდე,*
*და ქვისგან იშვას შენი მუცლის ნაყოფი."*

ძლეული სისხლის სიყვარული დამივლის ცივად,
უძლეველობა ხორცისა მძულდა,
და ყველა ქარი, ჩავლილი ყურთან,
ისე სწრაფია, რომ სამყაროს კიდემდე მივა,
და ჩემს ნამცეცებს მოფანტავს ზღვებზე.
ვძვრები ფიცრების ნასვრეტებში, ვეკვრი ხომალდებს,
მე ამოვუვსე თვალები თევზებს,
ვაკეთებ იმას, რაც მომმადლე, რაც შენ მომმადლე,
ვცდილობ გაძლებას, არსებობას წლების მიღმიდან
და შენად ყოფნის სატანჯველს ვეძებ.
ვიხილე ქმარი, ჩემს ლოდინში ტუჩებს ილრღნიდა,
და დედამთილიც,
ნემსის ყუნწში რომ, ძაფის ნაცვლად, თვალებს მიყრიდა.
ეხლება ჩემი სუნთქვის ტალღა ნაპირებს, რიფებს,
ჩემზე თბილია ამ წყლების სითბო,
მე ახლა მხოლოდ ამ ფიქრზე ვფიქრობ,
და შუბლზე თითის ნაოჭიან ბალიშებს ვიფენ,
პირველი აზრის სიმყარეს ვსინჯავ.
ქვის ცაზე, ხავსის ღრუბლებიდან, მზე დგომით გაცვდა –
ჩემი სამყაროს მბჟუტავი მიჯნა,
მე ჩავდივარ და ამოვდივარ ჩემი მზის ნაცვლად,
მუდმივი ღამე მუდმივ დღეში ჩამიტანს ვიდრე,
ნესტიან დუმილს ვასრულებ დინჯად.
დაგარქმევ დედას, საყვარელო, დამარქმევ თირთეს,
სუნთქვაზე მალე,
ყველაფერს ვხედავ, საყვარელო, დაგარქმევ თირთეს.
ქმრის პერანგივით გარღვეული ფოთოლი ფოთოლს
ჩემს ცივ კალთაში ცახცახით ეკვრის,
არ იწურება სიყვარული, თუმცა კი მოთოვს,
აჭიხვინდება შავი ცხენის კისერი ნისლში,

ეროვნული
ბიბლიოთეკა

აწრიალდება გამტყდარი ნეკნი.
ნისლიდან ვიშვი, გამეტების ნისლიდან ვიშვი,
სუნთქვაზე მალე,
ჩემიდან სხვისში, მინის ხელში, ჩემიდან იშვი.

## ორიონის თანავარსკვლავედი

*„დაქალდა თირთე, ქვისგან ნაშობი ბავშვი,*
*გაუმსხვილდა კენჭის ძუძუსთავები და შეუყვარდა შოშე, ირმებზე მონადირე."*

ის მიყურებდა, როგორც თევზი, წყლის სიცივიდან ამოყვანილი,
როგორც კალმახი, თბილ ქვიშაზე, წყლის სიცივიდან,
ადრე მისული უთვალავ ძილად,
თეთრი კენჭების სამსჭვალებით კლდეები ვჩხაპნე,
ჭადრის ტოტებზე დაკიდებულ ჩრჩილიან აკვნებს
ეაპკურე მისი სისხლიდან დილა.
ჩემი ისრების გვირაბებში ვუშვებ ბელურებს,
და შორეული ქიკჭიკი ისმის,
თვალხილულიდან უხილავებს როცა შეეყურებ,
მე ვდგავარ ისე, თითქოს შენთან რაღაცა დამრჩა,
და კოჭებიდან მოცურავს ნისლი.
შუაღამით კი, შენს ვარსკვლავებს მივუშვერ ხანჯალს,
კლდის პირზე მდგარი,
შუაღამით კი, მთვარეს ვუშვერ ორლესულ ხანჯალს.
სად მიაქვთ ჩემი უძრაობა, მეხთა ტეხვები,
ვიწრო სარკმლიდან – კატის ღიმილი,
სახლში ჩასმული სახლის კედლებს ვაწერ სტრიქონებს,
ოფლის ფასად და სისხლის ფასად რომ მოვიგონე,
დიდი წვალებით და სიმძიმილით.
ვულევი ყველას და ყველაფერს, მათ ვერ ველევი,
მათ კალაპოტში უცხო დინებებს,
და მეხვევიან პოემები – ჩემი გველები,
როგორც ნატვრის თვალს, დავიწყებულს, ისევ მომწუსხველს,
და მზეს სახეში შესხისინებენ.
ვუსურვებ გაზრდას მშენებარე უშნო კორპუსებს,
და იზრდებიან,
ვუსურვებ გაზრდას მშენებარე უცხო კორპუსებს.
მუხუდოს მარცვალს მე დაგიყრი სახლის კარამდე,
აკენკონ შენი ისრების ფრთებმა,
ხშირად დღეებიც შიმშილობენ, არაფერს ჭამენ,
მათი მუცლიდან ამოფრენილ წუთებს და წამებს,
დედის მოფშვნილი ფრჩხილებით ვკვებავ...
მაფშალი მღერის გამწყემსილი ზღვების სატკივარს,
მაგრამ იმისი არავის სჯერა,
მაშინ მაფშალის დაღვრემილი სახის ნაკვთი ვარ.
გაწყდება წვიმა და როდესაც გამოიდარებს,
მაფშალი ტკილის ნარჩენებში ეძებს ნიჟარებს,
ძაფზე აასხამს, და კაცები როცა ხარს კლავენ,
ასცქერის იგი, აუნთებს ჯერაც.
ჩემი კერტების კენჭებიდან გაყრილ ვარსკვლავებს,
ცის სიღრმეებში,
ძუძუსთავების კაჟებიდან გაყრილ ვარსკვლავებს.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

## გედის მკლავი

*„ქვისგან ნაშობ თირთეს და ირმებზე მონადირე შოშეს
ეყოლათ გოგონა და დაარქვეს მას ლილ.“*

კლდეებს – ისრები, რაც სითბოსთვის დამიშენია,
გამწირავ ხელებს სიცოცხლით ვივსებ,
კედელზე – მინის კისკისი და სველი ღარები,
რომელთა მხრიდან უსაშველოდ შეიყვარები,
და გეტყვი: სული აიყოლე, მკლავი შენია,
და ჩემი მკერდიც,
მე გეტყვი: სული აიყოლე, მკლავი შენია,
ცისკრის ღიმილი ტივტივებს ძილზე.
თითები მხოლოდ ახალშობილ სიკვდილს უვლიდა,
და მხოლოდ მისთვის ვიყავი სარგო,
შენ მოიტანე მომავალი ახალ მლვიმეში,
თან მოიყოლე ცეცხლის ორთქლი, ღამის წვიმებში,
წამოგიდუღდეს ყველა ფიქრი მამის გულიდან,
პატარა გულში,
წამოგიფოთლდეს ყველა ლოცვა დედის გულიდან,
მისი ტოტები ბაღებში დარგო.
და ცხრა ზღაპარი შენს ღამეებს ცაზე უნთია,
სულისმომჭრელად კაშკაშებს ცხრავე,
დამფრთხალ გაზაფხულს მხოლოდ შენი თვალი მოიყვანს,
ცარცის გოგონას ლილისფერი თვალი მოიყვანს,
ზამთრის ბოლოში რომ დააფრთხო ყინვების მეხმა,
და ზეცას უშვერს ჩამომჭკნარ მკლავებს.
ფრჩხილისოდენა კვირტებიც კი მგონია შენ ხარ,
და ვეფერები,
ნეკისოდენა გირჩებიც კი მგონია შენ ხარ.
მინა მიშველის სიყვარულით, როგორც მშველოდა,
ამოწყდებიან ჩემი სიტყვები,
რომლებიც წუხდნენ, იცინოდნენ, მუდამ ზრუნავდნენ.
ზამთრების შემდეგ, ხელმეორე გაზაფხულამდე
შენ ხელოვნური ყვავილებით მორთავ კენოტაფს,
რიჟრაჟის ნისლში,
შენ არტისტული ყვავილებით მორთავ კენოტაფს,
მე რომ ვინვები და არ ვიწვები.
კვაზარს ჩაბმული თეთრი ძაფის გორგალს მიეათრევ,
მთელი სინათლის წლების სიშორის,
ძაფზე გედები, დაკიდული, ყელებს იწვდიან,
მთვარის სიბნელეს იტირებენ, მქრალი მზის წყვდიადს,
როცა მოძებნი ჩემი გულის ყოფილ ბინადრებს,
რიჟრაჟის ნისლში,
რომ ჩამოუვლი ჩემი გულის ყოფილ ბინადრებს,
და მათ ფუტურო ცრემლებს მიშოვი.
ბროლი წკრიალით დაიმსხვრევა ქვაზე თორმეტი,
ლაყე დუმილს რომ ჯობდეს სიყალბე,
გაიხსენებ, რომ მამა იყო ზღვის წვეთის წვეთი,
ვით სიტყვა „სიტყვა“, თავისთავზე არაფრით მეტი,
რადგან დათქმულ დროს მე მოვედი და არ მოვედი,

ეროვნული
ბიბლიოთეკა

და სანამ მოვალ, დროა იქამდე.
ათი ზღაპარი ამღერდება, მაინც – მეათე,
გედების ფრთებქვეშ,
ათი ზღაპარი აცეკვდება, მაინც – მეათე,
ვერცერთ წიგნში და გონებაში რომ ვერ შეატევ.

## ახალი ვარსკვლავის დაბადება

*„მტანჯველი იყო თირთესადმი მაფშალის სიყვარული,*
*მისი ქორწილის შემდეგ დატოვა თავისი ხალხი და წავიდა ზღვის საძებნელად."*

მთას მივიგდებდი, ქვა მივიგდე ჩემი სახლისკენ,
და წინაპრების გაბზარულ ძვლებზე
მანამ ვიმღერებ, სანამდეც შევძლებ,
და ჩემი ხსოვნის საფირონებს, წვვილად, თაფლისფერ
თვალის ბუდეებში ჩაგისვამ და მზეს გაგინათებს,
ასევე – გზასაც,
არ გაგახსენებს ჩემი ნასვლის ყოველ წინადღეს.
გვალვაგამძლე გულის ბაღჩებიდან მოწეულ ნაყოფს,
ხეების მშიერ ყურებს ვაძალებ,
უკანასკნელად, მშვიდად მაცალე
ბოლო სიმართლე, ზღვარწაშლილი ცის სარკე ვნახო.
ნიჟარებიდან ამოსული მისი ნარსული
მატულობს, ყურზე ხელს იფარებს ჩემი ავსული,
ელავს და ხშირად მოუხმობს მერეხს.
სველ ძილს ნატლები ეხვევიან, არ ჩანხარ ციდან,
გამურულ დღეებს, რიჟრაჟამდე, ვაშორებ წიდას,
ამოვიფერთხავ ნახშირის მტვერით სავსე სასულეს,
და სვლას ვაგრძელებ ყველაფრის მერე.
მარილის წყალი გზას მასწავლის, ან დამასრულებს,
როცა მივაღწევ,
მარილის წყალი სხვას მასწავლის, ან დამასრულებს.
ზურგით მიჰქონდა ლოკოკინას პლანეტა ცალფა,
სადაც, ოდესღაც, ცეცხლიდან ვიშვი,
არა – სიკვდილის, არყოფნის შიშით
ახლა შენს გულში შევიპარე და ვეძებ საფარს.
მოვწყვეტ პლანეტებს ორბიტიდან – კუნელის ბურთებს,
მიქირავს ხელში,
მათ გვამებს ახალდაბადებულ, ყრმა ვარსკვლავს ვუნთებ.
და ჩვენც დავიწყებთ მათთან ერთად კოსმოსურ ტრიალს,
თავიდან მოაქვთ ციცინათელებს
ის ღამე, ჩვენ რომ გადავათენეთ,
შენი სახელი, რიჟრაჟისკენ, რომელსაც ჰქვია.
იმ ღამის ყინვამ შენს ბზარებში შემომატია,
ლექსი ხმამაღლა გვიკითხავდა ზეიად რატიანს,
და კარნიზებზე ისხდნენ ჩიტები.
ბგერებად ვიელი თანხმოვნებში, ვნევარ მოღვედილ
რითმებში, ატმად გავიკვირტები,
როცა შენ მოხვალ, უფრო სწორედ, როცა მოხვედი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

## ბათინკი

ჩემს გაცვეთილ ბათინკებს ვრეცხავ და
მენთოლიან სალექ რეზინს ვღეჭავ...
ლიფტიდან გამოსული ქალის
სუნამოს სურნელს
საბაზანოში ვისაკუთრებ.
პატარა სარკმელს ვკეტავ,
და მაინც...
მუქნიშნის მეოთხე ფერზე ვფიქრობ!
ვდგავარ ფეხსაცმლის საწმენდი ჯაგრისით ხელში
და ვუყვირი გადამწვარ ნათურას,
რომელსაც სინათლე სიკვდილის ფასად დაუჯდა..
რა სიგიჟეა!..
მე ახლა მიშველი ფეხი არყოფნაში ჩავდგი,
სადაც მზე სუბტიტრების თანხლებით ჩადის...
ახლა არ ვიცი, სად ვარ.
ბათინკი სუფთაა!...

## ნემსი და ძაფი

ნემსის ყულფში აღარ დარჩა ძაფი.
ძაფი განბანეს ნერწყვით და მიაგდეს აღმოსავლეთით.
ჰოროსკოპების კითხვა რომ დაამთავრეს,
სავიჟეთის პალატაში პოლიეთილენის პარკები
გაგვიშალეს ლოგინივით.
მე წყალი მომინდა, მას შხაპის მიღება.
ხელის დაბანაც ვერ მოვასწარით,
სასთუმალთან დაგვიდეს ერთი ნაჭერი შავი პური
და ნახევარი ჭიქა უასპირინო წყალი.
დაგვაწვინეს. ტემპერატურა დაეცა.
იყო ყვირილი:
„დაბით ხორცი გაკრახმალებული, დააბით ხორცი"
ჩვენ ახლა არათანაბრად ვსუნთქავთ,
ფრჩხილები გვიხურს.

ნემსის ყულფში კი გაძვრნენ კრავები,
ბაბუაწვერას მინდვრები ხეხეს და გაძღნენ.
და გამოცხვა ჭვავის ქალი.
და გამოცხვა პური რენტგენის სხივებში.
პილიგრიმები კი ამთქნარებდნენ და
ოეაავდნენ ნემსს და ძაფს.
ზამბახები ავრცელებდნენ განვლილი
საუკუნეების, რევოლუციების დემო ვერსიებს.
ნემსის ყულფში კი უკვე რამდენმა
ორთქლმავალმა გაიარა...
(მე ბევრჯერ მოვიზომე ანაფორა შიზოფრენიის).

მადლენ, შეხედე,
როგორ გიქცნენ ბავშვები კენკრის საკრეფად.
ალბათ, ნემსის ყულფში გატყორცნილ ქარსაც მოერგებიან...
ტემპერატურამ იმატა.
ჩვენ ახლა თანაბრად ვსუნთქავთ...
„აუშვით ხორცი გახამებული, აუშვით ხორცი".

* * *

ქარს გავატანე ჩემი ვნებები.
გადავრჩი. უვნებელი ვარ.
ქარი დამძიმდა, როგორც
საშობაო ნაძვის ხის ტოტი
ფერადი სათამაშოებით.
მე აღარ მტკივა
თავი და სახსრები.
და მჯერა, რომ
უსახსრობის მიუხედავად,
მაინც შევისწავლი
არაბულ ენას.

არაბულ ტახტზეც წამოვწვები
და უხერხულობის განცდა
აღარ მექნება, როცა გაიხდი
შენს ყვითელ სვიტერს,
რომელიც არასდროს
არ გცმია ლოცვისას
და არც ამ სვიტერის ქვეშ
გცმია ოდესმე რაიმე...
(სვიტერს რატომღაც
ლიმონის სურნელი ასდის
ყოველთვის...)
შენ გაიხდი...

მე კი შენი ხერხემლის მალების
უკან დავიმალები,
როგორც დახუჭობანას
თამაშისას...
როცა მიპოვნი, მე
არსებობას თავიდან დავიწყებ...
თავზე თმას ცარცით
გავითეთრებ,
და მერე რა?!
თუ გაუცხოების საფრთხე
დამემუქრება.
ან ქუჩაში თუ ვინმე დამემუქრება.
ან მეილზე თუ მომწერენ
მუქარის წერილს...
მერე რა?!
თუ ჩემს საძინებელ ოთახს
მუქი კარი ექნება და
საძილე აბების სმასაც დავიწყებ...
მერე რა?!
ბოლოს ხომ მაინც გავიქცევი
და იმ ქარს შევხვდები
რომელსაც გავატანე ჩემი თავი
ოცდასამ წლამდე...

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ჩხუბის ხმა

*ეკა ქევანიშვილი*

თვალებს უფრო ადრე ახელს. ათი წამით ადრე გაღვიძებამდე. შემდეგ სმენას ძაბავს, აყურადებს, პირველი სართულიდან ჩხუბის ხმა ხომ არ ისმის. უკვე სამი წელია, ყოველი დღე ასე იწყება – მოსმენით. ოთახში, სადაც სძინავს, შეშის ღუმელის ფოლადის მილი ადის და საკვამურს უერთდება. ერთხელ, ადრე, ამ გახურებულმა მილმა იატაკს ცეცხლი გაუჩინა და მას შემდეგ აღარ შეუკეთებიათ. ქვემოდან ხმა თავისუფლად აღწევს. თაგვის გარბენის თუ სარძევე ქვაბში რძის გადაწურვის. გამომწვარ იატაკსა და რკინის მილს შორის ზუსტად იმხელა მანძილია, რომ მისი ხელი გაეტიოს. ხანდახან, ხმაურის შემდეგ, როცა შიშისგან აკანკალებული, ოთახშია შეკეტილი, მოხუცი დაბლიდან მოუკაკუნებს ხოლმე და ვაშლს ამოაწვდის. ან დარჩეულ თხილს ჩაუყრის პატარა ხელისგულში. მოხუცის ხელი ღრიჭოში არ ეტევა. ეს მათი უსიტყვო შეთქმულებაა. ებეი სულ 12 წლისაა.

დღეს ჩამიჩუმი არ ისმის. კვირაა. დედა ბაზარშია. მამა, ალბათ, დილიდან შეშის მოსატანად წავიდა. როგორც ჩანს, ერთმანეთს ასცდნენ. ებეის შეუძლია, ცოტა ხნით თვალები ისევ დახუჭოს. ხანდახან ასე მშვიდადაც თენდება – შეუძლია ზედმეტი ათი წუთი ლოგინში გაყურსული იწვეს და უსმინოს ძაღლის ყეფას, მამლის ყივილს, წყლის ჩხრიალს მოშვებულ ონკანში, ქათმების ფრთების შეფერთხვის ხმას, ფუტკრის ბზუილს, ფოთლების შრიალს, ერთი მეზობლის გადაძახილს მეორე მეზობელთან, ჩიტებს. მზისგან გახურებული სახურავის ტკაცუნს. ეს მისი ეზოს ყოველდღიური ხმებია, მაგრამ ებეის ისინი არც ისე ხშირად ესმის. ამ ხმების მოსმენა ებეისთვის ფუფუნებაა.

დიდ ხმაურში ასეთი ხმები არასოდეს ისმის.

...

– ეს იქნება თქვენი კლასი, თქვა შავებში ჩაცმულმა გეოგრაფიის მასწავლებელმა, რომელსაც ხუთი წლის წინ უმცროსი და ავტოკატასტროფაში დაეღუპა და მას შემდეგ შავი თავსაფარი აღარ მოუხსნია. თქვა: დღეიდან აქ ისწავლით. და 21 ბავშვს ჟანგისფერი ვაგონისკენ მიუთითა. მე-7 კლასი – ებეისთვის მასწავლებლის გაშვერილი თითი ამ წარწერითბოლოვდება: „7" – ცარცით აქვს მიწერილი ვაგონის მიხურულ კარს. სკოლის ადგილას, ზაფხულში მომხდარი მიწისძვრის შემდეგ შენობის ნანგრევია დარჩენილი. ჯერ ისევ ძირს ყრია კედლებიდან ჩამოყრილი მწერლების პორტრეტების ჩარჩოების ნაწილები. სხვადასხვა ზომის ჟანგისფერი ვაგონები ნანგრევების გასწვრივაა ჩამწკრივებული.

ებეი ვაგონის ბოლოში მდგარ მერხს უყურებს. ის ახლომხედველია და თუ მასწავლებელი უკან დასვამს, ვერაფერს დაინახავს. მაგრამ ვერც სათვალეს გაიკეთებს, რადგან კლასელები დასცინებენ. ებეი წინ დაჯდება. არა, სჯობს შუაში. შუაში ჯდომა არაფერს ნიშნავს, ფიქრობს ებეი, შუაში ჯდომა რაღაც ნეიტრალურია. იქნებ არც მათემატიკის მასწავლებელს გაახსენდეს ებეი და დაფასთან ხშირად არ გაიძახოს. მან იცის, რომ როცა ზამთარში დიდი თოვლი მოვა და ვაგონის ფანჯრებამდე მიაღწევს, მერე მთელი ზამთარი მისი ერთადერთი პეიზაჟი ეს იქნება – თეთრი სივრცე, რომელშიც ხანდახან შავთავსაფარწაკრული გეოგრაფიის მასწავლებელი გაივლის წვრილქუსლიანი ჩექმით. ხოლო როცა ზარი დაირეკება, ებეი დაინახავს ალაგ-ალაგ ამ ქუსლებისგან გახვრეტილ თოვლს. ებეის არ მოსწონს მასწავლებლის შავი თავსაფარი. ის ფიქრობს, რომ გეოგრაფიის მასწავლებელი ლამაზია და დედამიწაც, რომელზეც ის ბავშვებს უყვება, ასევე ლამაზი უნდა იყოს, მაგრამ ეს თავსაფარი ყველაფერს ამახინჯებს. ებეი ვერ პოულობს ქვეყნებს ვერც კედელზე გაკრულ რუკაზე, ვერც გლობუსზე, ჰგონია, რომ დედამიწაზე ღამეა, რადგან მას ეს შავი თავსაფარი გადაეფარა.

ებეი სკოლის დამთავრებამდე ვაგონში ისწავლის და მან ეს წინასწარ იცის. იცის ისიც, რომ ზაფხულში აუტანელი სიცხე იქნება, ზამთარში კი სიცივე ფეხებს წაუყინავს და დათბილული ჩექმაც ვერ უშველის. მას უკვე სახლის ალმართშივე აქვს ხოლმე გაყინული ფეხები, იმიტომ, რომ იცის, ჟანგისფერ ვაგონში, შეშის ღუმელი, პირველ გაკვეთილზე, შესაძლოა, არც ენთოს.

– წუხელ დედაჩემის და მამაჩემის საწოლი ჭრიალებდა, – ხითხითებს ებეის კლასელი ობზა და დაუვარცხნელ თავს იქექავს, – იცი, ეგ რას ნიშნავს? შენებიც აჭრიალებენ?

ებეიმ იცის, ეს რასაც ნიშნავს. მაგრამ არაფერი აქვს სათქმელი. „მისები" სხვადასხვა ოთახებში ცხოვრობენ. მხოლოდ ხანდახან, როცა მამა ნასვამია, აღებს დედის ოთახის კარს, შემდეგ კეტავს. შემდეგ აღებს და თავის ოთახში ბრუნდება. სხვა არაფერი. და მაშინ ებეი ფიქრობს, რომ ალბათ, მამას ოთახი შეეშალა.

– იცი, ეგ რას ნიშნავს, ეი, შტერო – არ ჩერდება ობზა – ეგ ნიშნავს, რომ მრავლდებიან.

ებეის თავისი სამი წლის ძმა ახსენდება, ალე. ალე წლების შემდეგ გაიხსენებს, როგორ იწვა დედა სახით კედლისკენ და ამბობდა, უნდა წავიდეთ, ჩაიცვი, უნდა წავიდეთ. ალე ტიროდა, ვერ გადაეწყვიტა, ვისთან უნდოდა დარჩენა. მოხუცმა უთხრა, რომ დედა არსად წავიდოდა. ალე წლების შემდეგ იტყვის, რომ როცა მისი მეგობრები ბავშვობას იხსენებენ, მას მოსაყოლი არაფერი აქვს და დუმს, რადგან მისმა ტვინმა ყველაფერი დაივიწყა.

– ჩემებს ერთმანეთი არ უყვართ. ჩუმად ამბობს ებეი. ისე, რომ ობზამ არ გაიგოს.

და ვაგონის კედელზე გაკრულ კინოვარსკვლავ ქალს ზედა ტუჩთან ულვაშს უხატავს. პროტესტი სხვადასხვანაირად შეიძლება გამოხატო, ფიქრობს ებეი. მთავარია, ამან ვინმე გაალიზიანოს. ვინმეს ძალიან ატკინო. სილამაზე კი პირობითია. აი, მაგალითად – და ულვაშიან კინოვარსკვლავს სევდიანად უყურებს. ის აღარ არის ლამაზი.

...

ჩხუბი ჩუმად და თანმიმდევრულად იწყებოდა ხოლმე. ხანგრძლივი და დამანგრეველი ნელი რიტუალით. ეს ჰგავდა მზიან ამინდში, სახურავის კიდეებზე შერჩენილი ყინულის ლოლუების დნობისას, მათ გაუთავებელ წვეთას. და არცერთი ჩხუბის დაწყებას არ ჰქონდა ერთი და იგივე მიზეზი. ეს შინაგანი რისხვა, ალბათ, ებეის დაბადებამდე დიდი ხნით ადრე გაჩნდა. ან – ცოტა მოგვიანებით, მისი დაბადების პირველი თვეებიდან. რისხვა, რომ რაღაც ვერ შედგა, არ გამოვიდა, მაგრამ რისი დასრულებაც შეუძლებელი აღმოჩნდა ბანალური მიზეზით – რას იტყოდა ხალხი დაშლილ ოჯახზე. ხალხი, როგორც ძალა. და ხალხი, მთავარი სიტყვის მთქმელი. ამ დღის შემდეგ ებეის აღარასოდეს ეყვარება ხალხი.

პირველი ხმაურის დროს, როცა ებეი თავის წინადღით თმაშეკრეჭილ თოჯინას ფანქრით წარბებს ახატავდა, ჯერ ჩუმი ჯაჯგურის ხმა გაიგონა, შემდეგ მოგუდული შეკივლება. მამას გინება არ დაუსრულებია, მოქნეული შეშის ნაჭერი ჰაერში გაუჩერდა და ცალ ხელში თოჯინით კარში გაჩერებულ ებეის მიაშტერდა. მაშინ ებეის შეეშინდა და მოხუცს დაუძახა. მოხუცმა ზურგს უკან კარი მიხურა და ორივე, დედაც და მამაც იქ შეიმწყვდია.

საკუთარ სლუკუნს შორის, დროდადრო, მიკეტილი კარიდან წყვეტილი სიტყვები ესმოდა. მაშინ ებეიმ პირველად გაიფიქრა, რომ ადამიანებს შეუძლიათ, უსიყვარულოდაც იცხოვრონ ერთმანეთთან. სიძულვილით. მეორე დღეს კი დედას ჩალურჯებულ მკლავზე ფრთხილად შეეხო და ჰკითხა: რატომ შენც არ დაარტყი, მოგერეოდა? ამის შემდეგ ყველა სხვა დღეც, იშვიათი გამონაკლისების გარდა, იწყებოდა ასე: სად დაგიდგამს ეს რძიანი ვედრო/ ისევ ტალახიანი ფეხსაცმელებით შემოხვედი/ მანდ არ მომიყვანო, შენი დედაც/ წადი და რაც გინდა მოიტანე ბაზრიდან/მოუსვლელში წადი.

მერე ისევ დავარდნის ხმა, ყვირილი. ებეი თავისი ფართხუნა პერანგით კიბეებზე ჩარბის და შუაში დგება. არ იცის, მამა უნდა დააკავოს თუ დედას უნდა გადაეფაროს. მთავარია, ეს შეაჩეროს. როგორმე, რაღაცის ფასად. მთავარია, ჩხუბის ხმამ მეზობლების ყურამდე არ მიაღწიოს. მათ თვალში და მთელი ქალაქის თვალშიც მათ ოჯახში ყველაფერი იდეალურადაა. ხანდახან ესიზმრება ხოლმე, რომ მოყინულ კიბეზე ფეხშიშველი ჩარბის, რომ მამამ დედას არ დაარტყას, ან დედამ ხმას არ აუწიოს, მაგრამ ყინულზე ფეხი უცდება და კიბის კიდეს საფეთქელს ურტყამს. ესიზმრება, როგორ მოჩქეფს მისი შუბლიდან სისხლი და კიბეზე წვრილ ხაზად მიიკლაკნება, ეზომდე აღწევს და თოვლს აწითლებს. ძალიან უნდა, დაიყვიროს, მამა, დედას არ დაარტყა! დედა, მამას არ დაუყვირო! მაგრამ ყელიდან მხოლოდ ხავილი ამოსდის და ამ დროს გახვითქულს ეღვიძება. გაღვიძებული კი ხშირ სუნთქვას იკავებს და ისევ აყურადებს, ხომ არ ჩხუბობენ. ებეის სხვა არაფერი აინტერესებს. როგორმე ისე დაღამდეს და გათენდეს, რომ ეს ხმა არ გაიგონოს. და ამ დროს ფიქრობს მოუსვლელზე. რა კარგი იქნებოდა მოუსვლელში წასვლა ისე, რომ დაინახავდეს, რას იზამდნენ ამ დროს დედა და მამა. ნეტა, ებეი მოკვდეს! და ამის მიზეზი დედა და მამა იყოს. თუ აღარ იჩხუბებენ, ებეი მზადაა, მოკვდეს. მოუსვლელი არც ისე ცუდად ჟღერს. ალბათ, ეს არის ადგილი, სადაც წასვლა შეიძლება, დაბრუნება კი აღარ. მაგრამ უნდა კი დაბრუნება ებეის? არა.

...

ალე ძალიან პატარაა საიმისოდ, რომ მას რამე მოუყვეს. ის ყველაზე მეტად უყვარს ებეის, სიცოცხლეზე მეტად, მაგრამ ჯერ ვერაფერს გაიგებს. ალე მხოლოდ თავის ბურთს დასდევს. ალესაც უყვარს ებეი, თავის პუტკუნა ხელებს კისერზე შემოხვევს ხოლმე და ასე ბზრიალებენ, სანამ თავბრუ არ დაეხვევათ. მერე ებეი ალეს მოულოდნელად მიწაზე სვამს, ის კი ბარბაცით მისკენ გარბის და ეხუტება. ხანდახან ებეი თავს იმკვდარუნებს, სუნთქვას იკავებს და თვალებს ხუჭავს. ეს ასეთი თამაშია, რომელიც ალეს ღრიალით სრულდება. მას ჰგონია, ებეი მოკვდა. ებეი კი ხმამაღალი სიცილით „ცოცხლდება" და ალეს გულში იკრავს. მან იცის, რომ ალეს ის ნამდვილად უყვარს. ამიტომ ებეი ალეს არაფერს ეტყვის. დაბადების დღეზე ნაჩუქარ წითელ ბლოკნოტს იღებს და მიგნით პირველ ჩანაწერს აკეთებს. აქამდე ორ-სამ სიტყვიან ჩანაწერებს აკეთებდა ყველა შესაძლო ადგილას, მაგიდის ქვეშ, თუ მისი საწოლის გვერდით, შპალერახეულ კედელზე. წობეზრდა. სამ სიტყვაში ვერაფრით ეტევა ის, რასაც ებეი გრძნობს. „17 მარტი, ხუთშაბათი. დღეს ისევ იჩხუბეს". ასე დაიწყება მისი დღიური და შემდგომი ხუთი წლის განმავლობაში არაერთ სამალავს გამოიცვლის. სანამ ერთ დღეს, დედა არ იპოვის და არ წაიკითხავს.

...

– შემომხედე, შე პატარა ბოზო!

ებეის ჰგონია, რომ დედის თვალებიდან ცხელი, მოწითალო დამდნარი ლითონი მოწვეთავს. მის წინ ტყაპუნით ეცემა წითელყდაშემოხეული დღიური, – ეს რეებს წერ. რა დროს შენი ესენია. დღეს რომ ამეებზე ფიქრობ, ხვალ რას იზამ, წარმომიდგენია. მაგრამ გენეტიკის ამბავია. ჯიშის. დედა გაცეცხლებულია. ხმაურით დგამს ქაფქაფა წყლით სავსე ქვაბს ღუმელიდან, მდუღარე ხელზე ესხმება და სიბრაზისგან თავსახურს კედელს ესვრის. ჯანდაბა! ებეი ქვაბის თავსახურს უყურებს, რომელიც რამდენიმე წამს ბზრიალებს იატაკზე დაცემისას და კედელზე სველ ანაბეჭდს ტოვებს.

ებეის მუცელი სტკივდება და ცდილობს, გაიხსენოს, რა ჩაწერა დღიურში ბოლოს ისეთი, რამაც დედის თვალებში დამდნარი რკინა გააჩინა, რომელიც ახლა ხელებს უწვავს. ებეიმ ფეხი არ უნდა გაადგას არსად. არც კინოში წავა საღამოს. არც მეზობლებში. დაეგდება და სიმინდს გაფშვნის. მაგრამ ეს ებეის არ უნდა. რაღაც შინაგან პროტესტს აჰყავს მეორე სართულზე, იცვამს საგარეო ტანსაცმელს და ეზოში ჩადის. დედის თვალებში უკვე შუბებმომარჯვებული მხედრები მორბიან. ყოველ შემთხვევაში, ასე ხედავს ებეი.

– სად მიდიხარ? კბილებში სცრის დედა და ისე, რომ პასუხს არ ელოდება, კოვზს, რომლითაც წვნიანს ურევს, ებეის ესვრის. ებეი მომენტალურად ტრიალდება, თავდაცვას ცდილობს, მაგრამ ლითონის კოვზი კეფაში ხვდება. მხოლოდ ერთწამიანი ტკივილია. თითებს თმაში იყოფს და გრძნობს თბილ სისხლს, რომელიც სანახევროდ მომზადებულ წვნიანშია არეული და რომელიც მაჯამდე ჩამოსდის. ებეის ძალიან უნდა, რომ გაუძლოს და ცრემლი არ გადმოუვარდეს. უნდა, დედამ თავისი საქციელი ინანოს და ებეის ბოდიში მოუხადოს, მაგრამ დედა არც უყურებს. ებეი ტირის. წითელყდიან დღიურში მხოლოდ ის ეწერა, რომ ვიოლინოს კლასში დადის ტობი, რომელიც ძალიან მოსწონს და რომ წინადღეს დობემაც შეხედა. ამ ფურცელს ებეი დღიურიდან ამოხევს. ებეის სძულს დედა.

...

მთელი დღე არ წყდება ხერხვის ხმა. ხერხავენ გზის გაღმა მეზობელთანაც, ხერხავენ ებეის ეზოსთან. შესასვლელ ჭიშკართან დიდი მორები ყრია, მამას ელექტროხერხი უჭირავს და ზამთრისთვის საჭირო შეშას შედარებით პატარა მორებად ჭრის. ებეის უყვარს ამ რიტუალის ყურება. მამა კოჭებამდე ნახერხში დგას, ნახერხს რძისფერი დაჰკრავს და თბილია. შეგიძლია, ხელები ნახერხის გორაში ჩაყო და ასე იჯდე. შეგიძლია, გვირაბები გაიყვანო. შეგიძლია, შიგ ჩაწვე. ნახერხი სუფთაა და რბილი. მამა კი ახალგაზრდა და ძლიერი. ებეის ძალიან უნდა, მამას ჰკითხოს, უყვარდათ თუ არა ოდესმე ერთმანეთი მას და დედას, მაგრამ ამის მაგივრად ეკითხება, ეყოფათ თუ არა ეს შეშა ზამთარში. იმ შეკითხვას ვერც ვერასოდეს დაუსვამს. რადგან როცა ამ შეკითხვის დასმის ძალა ექნება, ებეის აღარ დააინტერესებს, რა აკავშირებდა ორ ადამიანს ერთმანეთთან, რომელთა შეხვედრის შედეგადაც ებეი გაჩნდა. მამას კი ამჯერად დასმულ შეკითხვაზე ეცინება და ამბობს, რომ ებეიმ ამაზე არ უნდა იდარდოს. რაც მისი საქმე არაა, იმაზე ფიქრი არც ღირს. მერე კი დედასთან აგზავნის. სადილობის დროა. მამა არც დღეს დაჯდება სუფრასთან მარტო. ცოტა ხანში მეზობელი ელექტროხერხებიც დადუმდებიან და მათი პატრონები, მათ სახლში, ხის მრგვალ მაგიდას შემოუსხდებიან. მაგიდის ქვეშ ტალახიანი ჩექმები ჭუჭყიან წუმპეს დააყენებენ. დედა კი ხმაურით დადგამს მაგიდაზე პურს და მარილს. დედას აღარ უყვარს მამის სტუმრები. ებეიმ იცის, რომ როდესაც ისინი წავლენ, ისევ შუაში უნდა ჩადგეს. ამიტომ მუცლის ტკივილს იმიზეზებს და დედას სთხოვს, მეორე სართულზე აჰყვეს. ებეის ჰგონია, რომ თუ დედა ალესთან და მასთან ერთად დროზე დაიძინებს, ეს ღამე უჩხუბრად გადაივლის. ადრე პირიქით იყო, ებეის ეგონა, რომ თუ სტუმრები მათთან დიდხანს დარჩებოდნენ, დედა და მამა საჩვენებელ იდილიას მათ წასვლამდე ითამაშებდნენ, შემდეგ კი დაღლილები თავ-თავის საწოლს მიაკითხავდნენ. ძილი გამოსავალია, რადგან მხოლოდ ებეიმ იცის, რას

ნიშნავს თუნდაც ერთი მშვიდი ღამე.

ძალიან უნდა კლასელებს ჰკითხოს, მათი მშობლებიც ასე ჩხუბობენ თუ არა, მაგრამ რცხვენია. როგორ თქვას, რომ როცა წინა დღით მამამ დედას ხელი მოუქნია, დედა დაეცა და თავი საწოლის კიდეს დაარტყა. მაგრამ თუ ობბას და დანარჩენი კლასელი ბიჭების ყოველდღიურ ქცევას გაიხსენებს, კარგი დღე არც მათ უნდა ადგეთ. ებეი გრძნობს, რომ ობბასაც სცემენ. ხოლო ვიდრე ობბას სცემენ, მისი მშობლები ერთმანეთს უსწორებენ ანგარიშს. სხვა შემთხვევაში, საიდან იცის ობბამ ასეთი სიტყვები და ხელის კვრით საქმის გარჩევა? ობბას სჭირდება თავისზე სუსტები, ასეთები კი კლასში ბევრნი არიან. მაგრამ არა ებეი. ობბა თავისი აგრესიით ებეის ვერ გააკვირვებს. ამიტომ ის მხოლოდ დაკვირვების საგანია, ებეის ექსპერიმენტისათვის გამზადებული ცხოველი. მაგრამ ეს მხოლოდ ებეიმ იცის. მას ობბაც ეცოდება.

– ესა? ეს დავეცი უბრალოდ. ფეხბურთს ეთამაშობდით, – ამბობს ობბა, როცა ებეი მის ჩალურჯებულ ლოყას აშტერდება. თვალებს ისე აცეცებს, ეჭვი არაა, რომ იტყუება. იქნებ ესაა ის მომენტი, როცა ვინმეს უნდა, გაენდოს. მაგრამ არა. ობბა არასოდეს აღიარებს, რომ მამამისის მოქნეული მუშტი მოხვდა. ნეტა ყოველ საღამოს, ცხრა საათსა და თხუთმეტ წუთზე, რამდენი დედ-მამა ჩხუბობს? ფიქრობს ებეი.

...

ერთი კვირაა, რაც დედა ავადაა და მეორე სართულიდან არ ჩამოდის. საჭმელს მამა და მოხუცი ამზადებენ. ძირითადად რაღაცნაირ კაცურ კერძებს, რომელშიც მსხვილად დაჭრილი ხახვი ყრია. დედა არასდროს ჭრის ხახვს ასე. მოხუცი ამბობს, რომ როდესაც ის მეზღვაური იყო, გემზე ნაირ-ნაირ კერძებს ამზადებდა. ზოგჯერ კაცებს საჭმელი ეწვებათ, რასაც ხმამაღალი გინება და ქვაბების ხმაური მოსდევს. ებეი, ხახვი! ებეი, კარტოფილი! ებეი, წყალი! ებეი, რძე გადმოდის, ებეი, ყველი ამოიყვანე. ებეი, თეთრეული დალპება აბაზანაში!

როცა დედასთან საჭმელი აქვს და კიბეზე ადის, ფეხები უკანკალებს. ვაითუ მკვდარი დახვდეს? ამ კვირაში დედამ ორჯერ გაალებინა ფანჯრები და დაარიგა, თუ როგორ უნდა მოქცეულიყო, თუ ველარ გაილვიძებდა. მერე კი რვეულში ჩაწერილი ანდერძისმაგვარი ჩანაწერის წაკითხვა სთხოვა, მაგრამ შემდეგ რატომღაც გადაიფიქრა და ებეი ოთახიდან გავარდა. დღეში ორჯერ მეზობელი მოდის და დედას ნემსს უკეთებს. არ მოკვდება – ცივად ამბობს მამა, მაგას რა მოკლავს. ებეი ცივი წყლით სავსე აბაზანაში თეთრეულს აგდებს და სუსტი ხელებით გაჭირვებით წურავს სარეცხს. ეჩვენება, რომ სველი სარეცხი მასზე მძიმეა. დიდი, პლასტმასის ტაშტით მიათრევს აივანზე გასაფენად და სანამ გაფენს, სარეცხი იყინება. იყინება ებეის ცრემლიც სიცივისგან დასუსხულ ლოყაზე.

...

ის ბიჭი, შორი ქუჩიდან, ებეის საღამოობით ურეკავს. თუ ტელეფონს სხვა უპასუხებს, თიშავს, თუ ყურმილში ებეის ხმა გაისმება, ელაპარაკება. ებეი ღელავს, ძალიან ღელავს იმიტომ, რომ ბიჭი შორი ქუჩიდან მასზე სამი წლით დიდია და როცა ქუჩაში მოდის, ორი ნაბიჯით უკან ბიჭების მთელი გუნდი მოჰყვება. ის კი მათგან ყველაზე ლამაზია. ებეიმაც დაურეკა რამდენჯერმე. პირი უშრებოდა, მაგრამ გაბედა და თქვა მისი სახელი. ყურმილში კი ვიღაცას გაეცინა და ბიჭს დაუძახა. სალაპარაკო თითქმის არაფერია, შენ რომელი მსახიობი მოგწონს, შეყვარებული თუ გყავს. გუშინ კინოში რომელ რიგში იჯექი. რა გეცვა. რატომღაც ებეისთვის წინადადებებს შორის სიჩუმე უფრო საინტერესოა. მასში არის რაღაც, რაც არ არის მის სახლურ ცხოვრებაში.

ძველ სამრეცხაოსთან ხომ არ შეხვდება? შეხვდება. რატომ არ უნდა შეხვდეს? 13 წლის გოგო შეიძლება, შეხვდეს ბიჭს, რომელიც მოსწონს, რა არის ამაში ცუდი? ებეი მიდის. სამრეცხაოს უკან გრძელი სკამია. იქ სხდებიან. ბიჭი შორი ქუჩიდან ხელს ხვევს და, ბიჭისთვის გიკოცნია? ეკითხება და ისე, რომ პასუხს არ ელოდება, ებეის ენით ტუჩებს უხსნის და კოცნის. ებეი ფიქრობს, რომ ენა იმ ლოკოკინას ჰგავს, მის ეზოში, თუთის ხეზე რომ გაჩნდება ხოლმე, ებეი კი მარილს აყრის და მის დადნობას ელოდება. ბიჭის ტუჩები და ენაც ცივია. მაგრამ არც დნება და არაფერი. ებეის კი ჰგონია, რომ როდესაც ადამიანებს ერთმანეთი უყვართ, ტუჩები არ შეიძლება იყოს ასეთი ამაზრზენად ცივი. ხელს აშვებინებს. მაგრამ ამ დროს ხმამაღალი სიცილის ხმა ესმის. სამრეცხაოს სახურავზე ბიჭები ხორხოცებენ. ებეის აკანკალებს. ბიჭი შორი ქუჩიდან კი იღრიჯება და აბა, როგორი იყო, უმნიშვნო ხმით უყვირის სასეიროდ მოსულ მეგობრებს. ებეი გარბის. მას სძულს კაცები. და იცის, რომ დედამ რომ გაიგოს, რამე უფრო დიდს ესვრის, ვიდრე რკინის კოვზია, რომლითაც წვნიანს ურევს. სირცხვილი, იმის გამო, რომ მის პირველ კოცნას დორბლიანი ბიჭების გუნდი უყურებდა, ნაკლებად აწუხებს. უფრო ეშინია, რა მოხდება, ეს რომ სახლში გაიგონ. ებეის სძულს კაცებიც.

...

ართქმა – თითქოს გამოსავალია. იყო ჩუმად, ნიშნავს, იყო დაცული სხვებისგან. მხოლოდ ებეიმ და მისმა მეგობარმა ფრანტემ იციან, რომ არსებობენ კაცები, რომლებიც გოგონებს კალთაში იჯენენ და ნესტიან თითებს ვარდისფერ ტრუსებში უყოფენ. ებეის ეს კომშარი ჩლუნგი ულუა. ერთ დღეს ულუ ებეის ხელს დაუქნევს და თავისკენ მიიხმობს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნახე, რა გაჩვენო, ნახე. მომჩვარული სპორტული შარვლის ჯიბიდან ულუ პატარა, ოთხკუთხა მუყაოს ქაღალდებს იღებს, რომლებიც ბანქოს ჰგავს. გინახავს ასეთი რამე? შავ-თეთრ ფოტოებზე რამდენიმე შიშველი ქალი და კაცია, ადრე ასეთი რამე ებეის არსად უნახავს. ხედავ, რამხელა აქვს? ულუ ხვნეშის. გაინტერესებს? გინდა ხელი მოკიდო? ებეის გული ისე ხმამაღლა უცემს, მაგნიტოფონის ხმას ფარავს. უნდა გაიქცეს, მაგრამ ცნობისმოყვარეობა, შემდეგ სურათზე რა იქნება, ერთ ადგილზე აჩერებს. მაჩვენე, როგორი ტრუსი გაცვია. ხედავ, თითს სად უყოფს? ებეი გარბის. ვის შეიძლება ეს უთხრას? არავის. ასეთი ადამიანი არ არსებობს. არავინ, ვინც შეიძლება გაიგოს, რატომ ფიქრობს ებეი შავ-თეთრ ფოტოებზე, სადაც მსუქან ქალს ორი კაცი აწევს ზემოდან. დედასთან რომ შესძლებოდეს ამის თქმა. ან მამასთან. ან ორივესთან. მაგრამ ისინი, ალბათ ებეის გარყვნილებაში ერთმანეთს დასდებენ ბრალს და ყველაფერი ისევ ჩხუბით დასრულდება, არა. არ ღირს რამის თქმა. სიჩუმე გადაარჩენს.

...

იმ დღეს, სკოლის ვაგონის მიღმა, ზამთრის უცვლელ პეიზაჟში არ გაივლის გეოგრაფიის შავთავსაფრიანი მასწავლებელი. ებეი დედის ხელოვნურ ქურქს დაინახავს. რა უნდა დედას სკოლაში ასეთ დროს? მხოლოდ მესამე გაკვეთილია, ფიზიკის. დედა მასწავლებელს ჩუმად რაღაცას უხსნის, თუმცა, ებეი გრძნობს ნერვიულ მახვილებს მის სიტყვებში. დედას თვალთან იისფერი ლაქა აქვს. დედა მხოლოდ ერთხელ მოვიდა ასეთ დროს სკოლაში, ებეი სახლში წაიყვანა და დიდ ჩანთებში ტანსაცმლის ჩაყრა დაიწყო. მაშინ მამამ მოუსწროთ, დედას ხელი ჰკრა და ჩანთები გადმოაპირქვავა. დედა ვერსადაც ვერ წავიდა. მხოლოდ სამი დღე იწვა და ტიროდა. ახლაც რაღაც მსგავსია. მაგრამ ასეთ ზამთარში! ორი მეტრი სიმაღლის თოვლში!

– ებეი, სკოლიდან გათავისუფლებული ხარ.

ებეის ჰგონია, რომ მასწავლებლის ხმა – თანაგრძნობის ხმაა. ებეის კი სძულს, როცა ის ვინმეს ეცოდება. სანამ მერხზე გაშლილ წიგნებს აკრეფს და ჩანთაში ჩააწყობს, გრძნობს, როგორ უშრება ენა. ისეთი შეგრძნებაა, თითქოს პირში ტანის გასახეხი მშრალი ღრუბელი უდევს. დედას ქვედა ტუჩი უკანკალებს და ებეის ეუბნება, უნდა წავიდეთ. მანქანა მოგვაკითხავს და წავალთ. დამთავრდა. სახლში, ჩალაგებულ ჩანთებთან თბილად ჩაცმული ალე ზის. ებეის ჰგონია, რომ როგორც დატოვეს, ზუსტად ისევე ზის. ებეის არსად წასვლა არ უნდა. გაკვეთილები გაუცდება. სხვა ქალაქის გზა არ იცის. იქ მამა არ იქნება. უფრო სწორად, უმამობა იქნება. უმამობა – სირცხვილია. მაგრამ ვიღაცის დიდი მანქანა მოდის და სამივენი მანქანაში სხდებიან.

გზაზე იმხელა თოვლია, მანქანები მხოლოდ მონაცვლებით გადაადგილდებიან – ჯერ ერთი გაივლის ჭუჭყიანი თოვლის მთებს შორის, შემდეგ მეორე. მგზავრობა ათ საათს გრძელდება. დროდადრო, მიხვეულ-მოხვეულ გზაზე სიარულისგან, ალეს გული ერევა. ებეის ჰგონია, რომ ზუსტად იცის სიტყვა „დაუსრულებელის“ მნიშვნელობა. იცის ისიც, როგორც განვითარდება მოვლენები. მამა ორ დღეში ჩამოვა, მოკიდებს ხელს სამივეს და უკან წაიყვანს. დედა დახმარებას ნათესავ კაცს სთხოვს. ნათესავი კაცი იტყვის, რომ ქმრის სიტყვა კანონია და რომ ოჯახის დანგრევის მიზეზს ვერ ხედავს. ალეც, ალბათ, წლების შემდეგ იტყვის, როცა ის სხვა ქვეყანაში იცხოვრებს, რომ არასოდეს ის სახლი აღარ მოენატრება. რა უნდა მომენატროს იქ? მხრებს აიჩეჩავს ალე მომავალში, ფარდულის კედელზე მიყუდებული ანკესი? რა სისულელეა.

...

როცა 12 წლის ხარ და პატარა ქალაქში ცხოვრობ, გამორიცხული არ არის, გქონდეს ასეთი საქმე – ინდაურის მომწვანო-მოყვითალო ჭუკებს მოხარშული კვერცხი და ჭინჭარი წვრილად დაუჭრა და აჭამო. შეიძლება, ეს დედის დატოვებული საშინაო დავალება იყოს, რომელიც ყოველდღიურად გრძელდებოდეს, სანამ ისინი არ მოიზრდებიან და საყვარელი, პატარა მომწვანო არსებები უშნო, წითელბიბილოგადმოგდებულ ინდაურებად არ იქცევიან. ყველაზე მტერ ფრინველებად დედამიწაზე, როგორც ებეის ჰგონია. მაგრამ ებეიმ არ იცის, აქვთ თუ არა სხვა 12 წლის გოგოებს ინდაურებთან დაკავშირებული მეორე, უფრო საძულველი მისია, როგორიც მისი დედალი ინდაურის მეზობლის მამალ ინდაურთან დასაწყვილებლად ტარებაა.

– აი, ასე, ამოიდებ იღლიაში. მიიყვან, დასვამ და ხელით დაიჭერ. დიდი არაფერი, მამალი თვითონ მოვა, ცოტას დაუსტვენ, სტვენის ხმაზე მოდიან, – მამის ახსნა-განმარტება იყო მოკლე, დავალება კი გაპროტესტებას არ ექვემდებარებოდა. ებეის კი არ ეშინოდა, სძულდა სუნიანი ფრინველები და მათი სიძულვილი ცხოვრების ბოლომდე გაჰყვება. მაშინაც კი, როცა შვილი უწყინარ თუთიყუშს მოსთხოვს, ებეი ამ სურვილს ვერ აასრულებს. არავითარი ცხოველი და ფრინველი მის სახლში აღარ იარსებებს. არასოდეს!

მამალი ინდაურის მეპატრონე მეზობელი პატარ ღელეს გაღმა ცხოვრობს. უფრო სწორად, იქ დგას მისი ნახევრად მინგრეული საჩეხე თუ საქონლის სადგომი. ჩუმად მიდის იღლიაში ინდაურამოჩრილი ებეი ლობე-ლობე და ცრემლები ახრჩობს. ეს წყეული ინდაური! ნეტა ისე უქნას, რომ იქვე მოკვდეს! ვინმემ მაინც არ შენიშნოს ამ პოზაში. ჩაკუზული ებეი, ხელში ინდაურით, რომელსაც მეორე ინდაური აზის! მაგრამ ზოგჯერ მთელი ნახე-

ვარი საათიც გადის, სანამ მამალ ინდაურს მეზობლის დედალი მოუნდება. ებეი კი უსტვენს და გულში იწყევლება, უსტვენს და იწყევლება, სანამ მსოფლიოში ყველაზე მახინჯი სექსუალური აქტი არ დასრულდება, თავის გაუპატიურებულ ინდაურს სახლში არ წამოიყვანს და სადგომში კი არ დასვამს, ორი მეტრის სიმაღლიდან მოისვრის, რომ თავიდან მოიშოროს. მუცელი მაინც მოეშალოს ამ დამპალს! იტყვის ებეი და ხელებს შამპუნით დიდხანს, დიდხანს დაიბანს. ჩვეულებრივი საპონი ამ სუნს ვერასოდეს გააცლის. იმედია, ადამიანებშიც ასეთი საშინელი არ იქნება.

...

ხის მესერი იმსიმაღლეა, რომ მასზე გადაძრომა შეიძლება. ალაგ-ალაგ დამპალ ფიცრებს ფეხს ფრთხილად ადგამენ და ეზოში ხტებიან. წლებია, ეს სახლი მისმა პატრონებმა მიატოვეს. აქ შეიძლება, თავისუფლად ჩაიცუცქონ და წინადღით მოპარული სიგარეტი მოწიონ. მითუმეტეს, ბალახი ლამის მათი სიმაღლისაა. ებეი და ტობა ერთი კვირაა, ამას გეგმავენ. სიგარეტი ტობამ მოპარა მამამისს. ასანთის კოლოფში რატომღაც მხოლოდ სამი ღერი ასანთია. რაც სამზარეულოს ფანჯრის რაფაზე დახვდა, სიჩქარეში, ტობამაც ის წამოიღო. მთავარია, ქარმა არ წამოუბეროს. ებეის ჯიბეში კონახურის კარამელები უყრია.

შენ დაიწყებ? მიდი, შენ. გიქნია ოდესმე? არა, საიდან. მოუკიდე და უნდა მაგრად მოქაჩო, თითქოს, ეზოს ისრუტავ. რა ეზოს? მამაჩემი ეგრე ეწევა. დროზე. ერთ ღერს მორიგეობით ეწევიან. კვამლს პირში იგუბებენ და მერე გარეთ უშვებენ. მთავარი აქ პროცესია და ორი თითი, რომლითაც სიგარეტი უჭირავთ. კაი, მანდ დაფალი.

მერე მიწაზე სხედან და კონახურის კარამელს წუწნიან.

შენ რას იზამ, სკოლას რომ დავამთავრებთ? მოტოციკლეტს ვიყიდი და ცხვირს გავიხვრიტავ, შენ? მე, ალბათ, ვინმეს მივატოვებ. კაი რა, ვისი მიმტოვებელი ხარ. ყველა გიყვარდება და მერე ქვითინებ. ნახავ, თუ არა. ოცი წლის მერე წარმოგიდგენია, კლასელები რო შევიყაროთ? აი, ის სირული ქეიფები რომ იციან, ეგეთი. როგორები ვიქნებით. კი, მე ალბათ ჟირაფს დავიმაგრებ მხარზე. ობბა მსუქანი იქნება, ბევრი საყვარელი როპჰ ყავთ ხოლმე კაცებს, ეგეთი. შენ... შენ, ალბათ, დიდი ძუძუები გექნება და ღრმა დეკოლტეთი მოხვალ.

მიწაზე წვანან და იცინიან.

იმ მიტოვებულ ბიბლიოთეკაში ხო არ ავიდეთ ხვალ? ავიდეთ. რამე კალათა გაქვს? რამე ეგდება სახლში. გუშინ კი ყველაფერში ტყემალი ეყარა. რა ტყემალი? [illegible] მოგიყვები. ნახე, ხელები მაქვს მაგის კრე[illegible]ლი. გამიტრაკეს საქმე.

მეორე დღის საღამოს ხვდებიან ებეი და ტობა და მიდიან.

ბიბლიოთეკა თითქმის უპატრონოა. კვირაში ერთხელ კი შეივლის ხოლმე მოხუცი ბიბლიოთეკარი, რომელიც ძირითადად თვლემს და შენობის ეზოდან საქონელს ერეკება. წიგნების წასაკითხად იქ დიდი ხანია, არავინ დადის. შენობის კარი არ იკეტება. კვირაა. ებეი და ტობა აბლაბუდებიან თაროებს შორის დაძვრებიან და წიგნებს კალათაში ალაგებენ.

ეს იცი? ვიღაც ჩვენზე ცოტა დიდ ტიპზეა, სულ იგინება. წამოიღე. მეორეცაა?

წიგნებით სავსე კალათებს ძლივს მოათრევენ. არავის დაუნახავს, როგორ გამოვიდნენ ბიბლიოთეკის შენობიდან. გზისპირას ვაშლები დაკრიფეს და კალათას თავზე დააყარეს. ზემოდან თუ დახედავ, წითელი ვაშლების გროვაა. მის ქვეშ კი ბიბლიოთეკის ბეჭედდარტყმული ძველი წიგნები. ასე მაშინ ხდება, როცა ყველაფერი აკრძალულია.

...

ტომრები, რაც შეიძლება, მეტი ცელოფნის ტომრები. დაკეცოს და ჩაიდოს მანქანის საბარგულში, სადაც ებეისთვის გაუგებარ ათას ნივთთან ერთად დევს ნაჯახი, თოხი, მსხვილად დაწნული თოკი. კალათებიც. რადგან ყველანი მიდიან, ებეი, ალე და დანარჩენი ბავშვები სწორედ იქ სხდებიან, დედა, მოხუცი და ორი მეზობელი – დამხმარედ, წინ. მამა ხმაურით ქოქავს მოძველებულ ორხიდიან მანქანას და მიდიან. მიგრიხინებენ. ტყეში ოდნავ გრილა, ტყემლის და პანტა მსხლის ხეებთან რიგრიგობით ჩერდებიან, მამა ხეზე ადის და ტყის ხილს ბერტყავს, ან ქვემოდან შემოჰკრავს გრძელ კეტს. მწიფე, დამსკდარი ტყემალი მიწაზე ცვივა. ყველას თავისი ცელოფნის ტომარა უდევს გვერდით და ორივე ხელით აგროვებს წებოვან ხილს. ტყემლით სავსე წრე ხის გარშემო ნელ-ნელა ვიწროვდება. მამა სავსე ტომრებს თავს უკრავს და მანქანაში ალაგებს. ასე გრძელდება პანტის ხესთანაც. ერთი ხე, ორი. სამი. ათი.

რით ვერ გათავდა. რით არ გამოილია. ალე დაიღალა და ზუზუნებს. სხვა რამეს გააკეთებ, წკნელებს მოვჭრი. ფეხებში ებლანდება მამას. ებეისაც წელი ეტკინა, სძულს ეს რიტუალი, არავინ ამას არ აკეთებს. არავინ ამ საძულველ ტყემალს და პანტას არ აგროვებს მისი მეგობრების მამებიდან. მამა კი ამბობს, რომ ცხოვრება ძვირს და რომ ხილის არაყი შეიძლება გაიყიდოს ან გაიცვალოს. ღვინოს ის არასოდეს გაყიდის. ებეის დიდად არ ესმის, რა განსხვავებაა ამ ორ სასმელს შორის, რომლის დალევის შემდეგ ერთნაირად თვრება ყველა, მაგრამ მამა ამბობს, რომ ღვინოს არ გაყიდის. ღვინო სტუმრისაა. სტუმარი ღვთისაა. მამის წინააღმდეგ ვერავინ მიდის. ებეისაც და ალესაც ახალი ფეხსაცმელები სჭირდებათ. ებეი ფიქრობს, რამდენ ხე ტყემალს უდრის ნეტავ ჩემი ერთი ფეხსაცმელი. როცა მამაც დაქანცვამდე შრომობს, შრომას

ეროვნული ბიბლიოთეკა

ვერ გააპროტესტებ. ხანდახან, კარგია ასე დაღლა, ფიქრობს ებეი – საქმის დროს ჩხუბი ავიწყდებათ.

...

მოხუცს ძველი პიჯაკის ჯიბე ნედლი კაკლით აქვს სავსე. ებეიმ იცის, რომ ამ ჯიბეში ხან თხილი ყრია, ხან მინაშემხმარი ყოჩივარდები ან ენძელები. სეზონს გააჩნია. ხანდახან ხის ნედლი ქერქისგან გაკეთებული ვაზის ასაკონი შეკვრა. ებეის ამ ჯიბეში ხელის ჩაყოფა ისე უყვარს, თითქოს განძის საიდუმლო სამალავი იყოს. მოხუცი ებეის უღიმის და ხის ჯირკზე ჩამომჯდარი უფილტრო სიგარეტს ეწევა.

მოხუცს უყვარს ებეი. ხანდახან, როცა სახლში სიმშვიდეა, ეზოში სხდებიან ხოლმე, წინ, დიდი ჯამით, ხილს დაიდგამენ. მოხუცი თავისი ბასრი ჯიბის დანით ვაშლს ან მსხალს თლის და, ერთი ნაჭერი ებეის, ერთიც მას. ხანდახან ხმასაც არ იღებენ. ებეის სულ უნდა, ჰკითხოს, როგორ იყო, როცა პირველად ამ სახლში მოიყვანეს. მაშინაც ხშირად ჩხუბობდნენ თუ არა დედა და მამა, მაგრამ მოხუცისაც ერიდება. ამიტომ უხმოდ უწვდის ხელს და წვნიან მსხალს ართმევს. მოხუცი რომ არ იყოს, ალბათ, მარტო მე ვერცერთს მოვერეოდი და შეიძლება ერთმანეთი მოეკლათ. ფიქრობს ებეი.

– ომის ამბები მომიყევი.

ხანდახან კი ასე იწყება მათი დიდური დიალოგი. მოხუცი ერთ დიდ ომში ოთხი წელი იბრძოდა. კარადაში ჩამოკიდებული პიჯაკის მარცხენა მხარე მთლიანად ჩინ-მედლებითაა დაფარული. წელიწადში ერთ დღეს, მოხუცი ამ პიჯაკს იცვამს და მძიმე ნაბიჯებით მიდის ბაღში, სადაც თავის თანამებრძოლებს ხვდება. ყოველ წელს მათგან ვიღაც კვდება. მათი ახლის ჭიშკართან დამძახებელი მოდის და ყვირის. ესა და ეს მოკვდა. ამის ქელეხში ხართ დაპატიჟებული. ყველა სიკვდილზე მოხუცი ეზოს რომელიმე კუთხეში ჩამოჯდება ხოლმე და თავის უფილტროს გააბოლებს. წავიდა ისიც. იტყვის მერე და უკვე ბევრჯერ მოყოლილი ათასი ამბიდან ერთ-ერთს იხსენებს. ხანდახან დიდური დიალოგი ასეც იწყება.

რამდენი კაცი მოგიკლავს. ომში მაგას ვინ ითვლის. არა, მითხარი. რომ დამენახა, ისე არც ერთი.

ებეი ფიქრობს ომის ამბებზე, რომელშიც ადამიანები რაღაცას ვერ იყოფენ. დედის და მამის ცხოვრებაც რაღაცით ამ ომს ჰგავს. მასში არავინ კვდება, მაგრამ ებეის ჰგონია, რომ ამ ომს მაინც ჰყავს თავისი მსხვერპლი. და ეს მსხვერპლი – ებეია.

...

ებეი, ტობა და ფრანტე ხიდზე დგანან. ხიდის ქვეშ პატარა სტადიონია. ამ სტადიონზე ხანდახან ფრანტეს ველოსიპედით წრეებს ურტყამენ. სტადიონის გვერდით კი ბაზარია, ხის და ლითონის ნარჩენებისგან შეკოწიწებული დახლებით, რომელიც კვირაობით ივსება. ახლა კი გამოხრული ძვლების გროვას ჰგავს. თოვს.

მუხლამდე იქნება? შეიძლება, კოჭამდე იყოს. არავის გაუვლია, ხედავ, ერთი ნაკვალევიც არ არის.

ერთმანეთს უყურებენ. მერე თითქოს სამივეს თავი ერთდროულად ივსება პატარა ჭინკებით, მძიმე ზურგჩანთებს იხსნიან და ეეეეეეეერთი, ორიიი, სამი! სამივე ჩანთა ხიდიდან სტადიონისკენ მიფრინავს. ამაზე სევდიანი პეიზაჟი არ არსებობს – ხიდიდან დათოვლილ სტადიონზე გადაყრილი სკოლის ჩანთები, რომლებიდანაც სკოლის წიგნებია ამოჩრილი. მერე ებეი, ტობა და ფრანტე ბაზრის კიბეებისკენ გარბიან, ცეკვის ფორმით სავსე პარკებზე სხდებიან და თოვლით დაფარული კიბის ორმოცდაათ საფეხურზე წივილ-კივილით მისრიალებენ. ეს მათი ზამთრის რიტუალია. სტადიონზე უკვე არის მათი ნაკვალევი.

ბოლოს მოლიპულ გზაზე ნვებიან. პირდაპირ შუაში. საშიში არაფერია, ასეთ სიჩუმეში, ყველა ჩქამი, და მითუმეტეს, მოახლოებული იშვიათი მანქანის ხმა შორიდანვე ისმის. პირს აღებენ და თოვლის ფანტელებს ენაზე იჭერენ. ებეის წითელი ქურთუკი აცვია. თუ ზემოდან დახედავ, სისხლის პატარა ლაქასავით ჩანს. სხვები ასე არ იქცევიან, – ამბობს ებეი. პროტესტი ყოველთვის რაღაცით იწყება, – ჩურჩულებს ტობა. ტობა ჩვენ შორის ყველაზე ჭკვიანია, ფიქრობს ებეი. როცა ის გაიზრდება, ჩემზე დაწერს.

...

„პროტესტი ყოველთვის რაღაცით იწყება“. თავისუფალი თემა. ებეი ტობას გადახედავს. ამან რა იცის? ტობა მხრებს იჩეჩს და რვეულს ჩასცქერის. მასწავლებელი ცარცს დაფის კიდეზე დებს და ლუმელთან ახლოს ჯდება. ვისაც როგორ წარმოგიდგენიათ, ისე დაწერეთ, ამბობს და ჩუმდება. უცნაური გამონაკლისია – მასწავლებელს სძულს თავისუფალი თემები. დღეს რა მოხდა? ებეი წერას იწყებს, რამდენიმე ხაზს შეავსებს, შემდეგ მოულოდნელად დგება და მასწავლებელს ცოტა ხნით გარეთ გასვლას სთხოვს. მალე დაბრუნდი. მასწავლებლის ორსიტყვიანი წინადადება კარის მიხურვის ხმაში იკარგება. ებეი კლასიდან გამოდის. ტოვებს სკოლის ეზოს და სირბილით უახლოვდება მდინარეს.

„პროტესტი ყოველთვის რაღაცით იწყება. აი, მაგალითად, ასე – სანამ ყველას საპირფარეშოში გასული ჰგონიხარ, უკვე ხიდის მოაჯირზე ხარ აძვრალი, ყურებზე ხელს იფარებ და ცდილობ, გამოიცნო, რა დრო დაგჭირდა აქამდე მორბენაში. ალბათ, ხუთი წუთი. ალბათ. ასეთ პატარა ქალაქებში მდინარემდე მისასვლელად ხუთი წუთი სრულიად საკმარისია“.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# 4 პირადი ცხოვრებიდან

## მაიაკოვსკი მანჰეტენზე

*კონსტანტინე კიკნაძე*

*„მაიაკოვსკის მოტრფიალენი<br>დინასტიაა დედოფლებისა,<br>რომელნიც გიჟის გულზე აღზევდნენ"*

*(პოემიდან „ღრუბელი შარვლით".<br>მთარგმნელი ვახტანგ ჯავახაძე)*

ელი ჯონსს განსაკუთრებული ადგილი უჭირავს ამ დედოფლების დინასტიაში. ელისა და მაიაკოვსკის ტრაგიკული, საიდუმლოებით მოცული სიყვარულის ისტორია მთელი საბჭოთა პერიოდის განმავლობაში უცნობი იყო. ამას გარკვეული ობიექტური მიზეზები ჰქონდა.

ელი იყო 20 წლის, მაიაკოვსკი კი 32-ის, როდესაც ისინი ერთმანეთს ნიუ-იორკში შეხვდნენ. ახალგაზრდა ქალს პოეტი თავდავიწყებით შეუყვარდა, თუმცა, კარგად ესმოდა, რომ მათ არ ჰქონდათ საერთო მომავალი.

ელი, ელიზავეტა ზიბერტი დაიბადა 1904 წლის 13 ოქტომბერს აღმოსავლეთ რუსეთის პატარა ქალაქ დავლეკანოვოში, პეტრე ზიბერტის საკმაოდ მდიდარ და მრავალშვილიან ოჯახში. ისინი წარმოშობით გერმანელები იყვნენ და ეკატერინე დიდის წოწვევით ჩასახლდნენ რუსეთის ამ რაიონში.

ოქტომბრის რევოლუციამ ზიბერტები სხვადასხვა ადგილას გაფანტა. მშობლები ემიგრაციაში წავიდნენ. ელიზავეტა სამარაში გადავიდა სამუშაოდ, უპატრონო ბავშვთა სახლში, შემდეგ მუშაობდა უფაში, მთარგმნელად, ამერიკული ჰუმანიტარული დახმარების მისიაში და საბოლოოდ, ამერიკაში, ნიუ-იორკში წავიდა ემიგრაციაში.

სვეტლანა კოვალენკო (ვლადიმერ მაიაკოვსკის ცხოვრების ცნობილი მკვლევარი) ასე აღწერს ელის ერთ-ერთ თავის წიგნში: „ეს იყო მაღალი, გამხდარი,



მაიაკოვსკი მანჰეტენზ

ეროვნული ბიბლიოთეკა

გრძელფეხება გოგონა, სქელი, წაბლისფერი თმით, მუქი წარბებით, მაღალი შუბლით, ძალიან დიდი ცისფერი თვალებით, სწორი ცხვირით... ვინც მას იცნობდა, აღნიშნავდა ლამაზი მოყვანილობის ტუჩებს, რომელზეც მისი განწყობის ოდნავი ცვლილებაც კი მკაფიოდ აღიბეჭდებოდა. ის იყო ძალიან ლამაზი და ჩანდა სრულიად შეუვალი. მისი ხელების სილამაზემ მიიპყრო მოდის სალონის მეპატრონეთა ყურადღება და მიიწვიეს ძვირფასეულობის, ხოლო შემდეგ ქუდების დემონსტრირებისათვის. ასე იქცა ელი პროფესიონალ მანეკენად, თანამედროვე ტერმინოლოგიით - მოდელად."

1973 წელს მაიაკოვსკის ამერიკელი ბიოგრაფი, სტენფორდის უნივერსიტეტის პროფესორი, ედვარდ ბრაუნი წერდა: „ჩვენ შეგვიძლია ვივარაუდოთ, რომ ამ პერიოდის განმავლობაში (მხედველობაში აქვს 1925 წლის ზაფხული-შემოდგომა) მაიაკოვსკი მონაწილეობდა ისეთი სახის ლონისძიებებში, რომლის აფიშირებაც არ უნდოდათ მას და მის მეგობრებს და მას ჰქონდა უფლება პირადი ცხოვრების... შესაძლოა, უნდა ვასრულებდეთ პოეტის უკანასკნელ თხოვნას – „გთხოვთ, არ იჭორაოთ", მაგრამ ხმები მისი თავგადასავლების შესახებ ამერიკაში ყოფნის დროს ვავრცელდა და ბევრი თვლის ნამდვილად."

საიდუმლო ორი ლამაზი ადამიანის სიყვარულისა და მათი ქალიშვილის შესახებ მთელი მე-20 საუკუნის განმავლობაში გამოცანად რჩებოდა. როგორც მაიაკოვსკის ქალიშვილი, ნიუ-იორკის უნივერსიტეტის პროფესორი, ფილოსოფიის მეცნიერებათა დოქტორი - პატრისია ტომპსონი ამბობს: „დედას არ უნდოდა, ელაპარაკა მისი და მაიაკოვსკის ურთიერთობის შესახებ. ეს იყო შეგნებული პოზიცია, მოსკოვის „გრძელი ხელის" შიშით გამოწვეული. საერთოდ, მაშინდელი რუსული ემიგრაცია შეშფოთებული იყო მათი თანამემამულეების მთელი რიგი მხეცური მკვლელობების გამო ევროპასა და ამერიკაში, რომლებიც, როგორც წესი, გაუხსნელი რჩებოდა."

დედამ და შვილმა ოფიციალური ვერსია მაიაკოვსკის თვითმკვლელობის შესახებ არ მიიღეს და, როგორც იტყვიან, გადაინაცვლეს ჩრდილში. საბჭოთა კავშირის დაშლამდე არავითარი ინფორმაცია აღარ მოიპოვებოდა მათ შესახებ.

ყველაფერი კი ასე დაიწყო:

1925 წლის 27 ივნისს, მაიაკოვსკი ჩავიდა ამერიკაში. ამ შორეულ მოგზაურობამდე, 1924 წლის ივნისში, როდესაც აღინიშნა პუშკინის 125 წლის იუბილე, მაიაკოვსკიმ დაწერა ლექსი, „საიუბილეო." ეს არის პოლემიკა მის გენიალურ წინამორბედთან. მაგრამ, გარდა ამისა, არის მწარე ირონია თავად მაიაკოვსკის პირად პრობლემებზე:

მე
დღეს
სიყვარულს
და პლაკატებს
თავი გავართვი,
ეჭვების ტყავში
ყურობს დათვი
ურჩი აქამდი.

*(ლექსიდან „საიუბილეო". მთარგმნელი გივი გაჩეჩილაძე)*

ეს მოგონებები იმ დროს ეხება, როცა მაიაკოვსკი სატელეგრაფო სააგენტოში მუშაობდა და მის გვერდით ლილი იყო. ახლა სიყვარული და ეჭვიანობა წარსულში დარჩა. ის თავისუფალია სიყვარულისა და პლაკატებისგან და მთავარი – ეჭვიანობისგან, რომელიც სულს უღრღნიდა შვიდი წლის განმავლობაში. დათვი, მისი ორეული პოემიდან, „ამის შესახებ", თავისუფალია. მაგრამ დარდი, იმ დიდი სიყვარულის გამოძახილი, დარჩა და ის გამოუტყდა თანამოსაუბრეს – პუშკინს:

როგორ ამბობდა
ის თქვენი
ოლგა?
ოლგა კი არა,
ონეგინი
წერილში ტატიანასთან!
„მოხუცი არის
თქვენი ქმარი,
ჩერჩეტი მუდამ.
მე თქვენ მიყვარხართ,
დამიბრუნდით, ნუღარ ხართ მისი,
მე ახლავ, დილით
დავრწმუნდე უნდა,
რომ უსათუოდ შეგხვდები დღისით."
იყო ყოველი:
ფანჯრის ქვემოთ ლოდინი დიდხანს,
წერილები
და ნერვიული ცახცახის ყელე,
მაგრამ
წუხილიც თუ არ ძალგიძს, – ეს უნდა გითხრათ – ეს
ალექსანდრე სერგის ძევ,
გაცილებით უფრო ძნელი.
პეი, მაიაკოვსკი!
გასწი სამხრეთისკენ
და გააწვალე
გული რითმებით.
აი, დასრულდა შენი სიყვარულის საქმეც,
ძვირფასო, ალბათ თვითონ მიხვდები.

*(ლექსიდან „საიუბილეო". მთარგმნელი გივი გაჩეჩილაძე)*



ელი ჯონსი

მისი გული თავისუფალია სიყვარულისგან, მაგრამ ქრილობები მოუშუშებელია. რევოლუციური მუხტი და ნატკენი გული ჩაიტანა მან ამერიკაში. ამას დაემატა ამერიკაში საბჭოთა სავაჭრო წარმომადგენლის – ისაია ხურგინის დაღუპვა. ისაია იყო თავისი დროის ერთ-ერთი ბრწყინვალე პიროვნება, მაიაკოვსკის მეგობარი, შესანიშნავი ადამიანი, საკმაოდ განათლებული, კარგი ორგანიზატორი და მაიაკოვსკის შემოქმედების შესანიშნავი მცოდნე. ხელმძღვანელობდა ე.წ. „ამტორგს" ამერიკის შეერთებულ შტატებში და უამრავ სასიკეთო საქმეს აკეთებდა. სწორედ ის დაეხმარა პოეტს ვიზის მიღებაში და უწევდა ორგანიზებას მის ტურნეს. ხურგინის სიკვდილი უდიდესი დარტყმა იყო მაიაკოვსკისათვის, როგორც სულიერი, ასევე ეკონომიკური თვალსაზრისით, რადგან სწორედ ის აფინანსებდა პოეტის ამერიკაში ყოფნის ხარჯებს.

სკლიარსკი (ლ. ტროცკის მოადგილე რევოლუციურ სამხედრო საბჭოში) და ისაია ხურგინი გაურკვეველ ვითარებაში დაიღუპნენ, სავარაუდოდ, საბჭოთა სპეცსამსახურების „ხელშეწყობით". ამ ფაქტმა მაიაკოვსკი კიდევ ერთხელ დაარწმუნა, რომ ჩეკისტებისათვის მანძილი არავითარ დაბრკოლებას არ წარმოადგენდა. დაღუპულთა ნეშტი გადაასვენეს მოსკოვში, სადაც სიტყვით გამოვიდა ტროცკი და სხვები. დაკრძალვას არ დასწრებია სტალინი.

კაროლინა ბესეხესი, ისაია ხურგინის მეუღლე, რეპრესირებული იქნა 1937 წელს. მათი მიმოწერა, სადაც გარკვეული ინფორმაცია იყო მაიაკოვსკის შესახებ, ასევე კინოლენტა, სადაც ის ჩანდა კადრებში, როცა სიტყვა წარმოთქვა დაკრძალვაზე, ამოჭრიბული და გადატანილი იქნა უშიშროებაში, შემდგომ შესწავლის მიზნით. ელი ჯონსი ამბობდა, რომ მაიაკოვსკიმ იცოდა სიმართლე ამ ტრაგედიის შესახებ.

ვალოდიამ და ელიმ ერთმანეთი გაიცნეს საერთო მეგობრის ტრაგიკული დაღუპვიდან ერთი კვირის შემდეგ, ჩარლზ რეხტთან, მაიაკოვსკის პატივსაცემად გამართულ წვეულებაზე.

მაიაკოვსკი გააოცა ახალგაზრდა, ლამაზმა, ცოტა არ იყოს, მკაცრმა ქალმა, რომელიც არ იყო აღფრთოვანებული მისი ლექსებით, თუმცა, კარგად იცოდა ისინი. ელიმ გაიხსენა რომელიღაც მისთვის გაუგებარი სტრიქონი მაიაკოვსკის ლექსიდან და სთხოვა, აეხსნა ასეთი გაურკვეველი სინტაქსური წყობის მიზეზი. შემდგომში ისინი ხშირად ლაპარაკობდნენ მისი ლექსების უჩვეულო სტრუქტურაზე. შესაძლოა, ეს საუბრები გახდა გარკვეულწილად მიზეზი მაიაკოვსკის ცნობილი ტრაქტატისა, „როგორ ვაკეთო ლექსი."

ელი ჯონსმა სიცოცხლის ბოლო წლებში ჩაწერა თავისი სიყვარულის ისტორია მაგნიტოფონზე. ამ ჩანაწერების საფუძველზე, მისმა ქალიშვილმა, პატრისია ტომპსონმა დაწერა წიგნი „მაიაკოვსკი მანჰეტენზე".

აი, როგორ იგონებს პირველ შეხვედრას ელი:

„ხურგინის დასაფლავების შემდეგ რეხტმა მითხრა, რომ აწყობდა საღამოს მაიაკოვსკისა და სხვა მწერლების პატივსაცემად. მე ჯერ ისევ ცუდ განწყობაზე ვიყავი და ვუპასუხე „არ მინდა მაიაკოვსკის გაცნობა". რეხტმა მთხოვა: „მოდი, შენ ერთადერთი ადამიანი ხარ იმათ შორის, ვისაც ვიცნობ და ამავე დროს იცი რუსული". მე ვუთხარი, „ნუთუ შენ არ მოგინდევია ლიდია?"... (საუბარია ერთ-ერთ ლამაზმანზე რუსული ემიგრაციიდან – ლიდია მალცევაზე, რომელიც მაიაკოვსკის დიდი თაყვანისმცემელი იყო) დავარწმუნე რეხტი, მოეწვია ლიდია, რომელიც ოცნებობდა მაიაკოვსკის გაცნობაზე... მე ვიცოდი, რომ მაიაკოვსკი ცნობილი „WOMENIZER"-ი, მექალთანე იყო და ჯერ კიდევ ხურგინის დაღუპვით გამოწვეული განცდის გამო არ მინდოდა ამ შეხვედრაზე წასვლა, მხოლოდ ლიდიას გამო წავედი... რაც წამეკითხა მაიაკოვსკის შემოქმედებიდან, ისეთი გამოგონილი მეჩვენებოდა, რომ საათობით ვანდომებდი მათ გაშიფვრას. მინდოდა, მეკითხა მისთვის, „როგორ შეგიძლიათ, უწოდოთ თქვენს თავს მასების პოეტი, თუ მე – ვკითხულობ ბლოკს, ბრიუსოვს, ჰოლდერლინს, შილერს, გოეთეს, ტენისონს, შექსპირს, ლინდსეის, მოპასანსა და ჰიუგოს ორიგინალში და ასე ძნელად ვგებულობ თქვენს ლექსებს?"

საინტერესოა, რამდენ ახალგაზრდა, ლამაზ ქალს შეეძლო ესროლა ასეთი გამოწვევა მსოფლიო კლასის პოეტისათვის.

ისინი ერთმანეთს ნიუ-იორკული ზაფხულის ერთ ცხელ საღამოს, ვესტ ავენიუს 50-ე ნომერში შეხვდნენ.

ელი იგონებს: „მე არ მახსოვს, ვინ იყო იქ, იმიტომ, რომ ეს ყველაზე ძლიერი განცდა იყო ჩემს ცხოვრებაში. მახსოვს ენაბრგვილი ესპანელი კომისარი ოდესიდან, თავის ლამაზ მეუღლესთან ერთად. როცა ამ ქალბატონმა გაიგო ვინ ვიყავი, შემანუხა მოდაზე საუბრებით.

ჩემმა თანმხლებმა, ჯორჯ ჯონსმა ხელზე მაკოცა და გამომეთხოვა. დავრჩი მარტო, ვიჯექი პატარა მაგიდასთან. მაიაკოვსკი მომიახლოვდა და გამომელაპარაკა. მე ზრდილობიანად ვუპასუხე, რომ მის შესახებ მელაპარაკა ხურგინი და რომ წაკითხული მქონდა მისი ლექსები, მაგრამ არ დავდიოდი მაიაკოვსკის საჯარო ლექციებზე, რადგან მეშინოდა გვიან ღამით გარეთ გამოსვლა და ამასთან, არ მქონდა თავისუფალი დრო. თუმცა, მიუხედავად ამისა, კარგად ვიცნობდი მის პოეზიას.

მაიაკოვსკიმ ხუმრობით მითხრა „ყველა ლამაზი გოგო ასე ამბობს: როცა მე ვეკითხები რომელი ლექსები წაუკითხავთ, ისინი მპასუხობენ: „ერთი გრძელი და ერთი მოკლე".

მე ვუპასუხე რომ არ ვიცოდი მისი მოკლე ლექსები, გარდა სარეკლამო ლოზუნგებისა."

აქ დაიწყო მათი ურთიერთობა. მაიაკოვსკიმ ამ შეხვედრის შემდეგ სთხოვა ელის, დასწრებოდა მის საჯარო ლექციას. ელი დათანხმდა, დაძაბული სიტუაცია თანდათან შეიცვალა, ყინული გალღვა, მაიაკოვსკის ქარიზმა, ენერგია, არაჩვეულებრივი ხმა, ტალანტი და სხვა უამრავი გასაოცარი თვისება გულგრილს არ ტოვებდა ადამიანებს, ელი მოიხიბლა გენიალური პოეტით, გაჩნდა სიახლოვე, რომელიც თანდათან დიდ სიყვარულში გადაიზარდა. ქალი აღფრთოვანებას ვერ მალავდა. ისინი ერთად იყვნენ შეხვედრის დღიდან. ვალოდიამ პირობა ჩამოართვა ელის, რომ არ შეხვდებოდა არავის, მის გარდა. ელიმ მისცა პირობა და შეასრულა. ისინი ერთად იყვნენ ბროდვეიზე, საღამოებზე ჰარლემში, გრინვიჩ ვილიჯში, „კემპ ნიტ გაიდში", ორ ლექციაზე ნიუ-იორკში, სადილებზე მაიკლ გოლდთან, დავით ბურლიუკთან და სხვა. ელი იყო იმ გახმაურებულ შეხვედრაზეც, როცა მაიაკოვსკიმ ქართულად შეურაცხყო მის ერთ-ერთ ოპონენტს. რასაკვირველია, ვალოდიას არ უთარგმნია ქალისთვის ამ პატარა „პოლემიკის შინაარსი". ელი იგონებს, რომ იქ იმყოფებოდნენ ქართველები, რომლებიც გაამხიარულა თანამემამულის გამოხმაურებამ და გაიმართა მათ შორის პატარა დიალოგი ქართულ ენაზე.

გაცნობის დღიდან ელი არსად დადიოდა მაიაკოვსკის გარეშე. გამონაკლისი ის შემთხვევები იყო, როცა სამსახურში, მეშვიდე ავენიუზე, საგამოფენო დარბაზში იყო მისასვლელი კონტრაქტის პირობების თანახმად. თავის მოგონებებში ელი ამბობს, რომ ეს იყო ყველაზე ბედნიერი დღეები მის ცხოვრებაში. ის იყო მეცხრე ცაზე ბედნიერებისაგან. მათი ურთიერთობა ორჯერ დაირღვა სერიოზული კამათით. გაუგებრობა, რომელიც ხშირია შეყვარებულებს შორის, ხდება სხვადასხვა მიზეზის გამო, მაგრამ ეს ხშირად უფრო აახლოებს მათ. ერთხელ მაიაკოვსკიმ აიძულა ეთქვა, თუ რა უთხრა ხურგინმა მის შესახებ. ელიმ უპასუხა: „მან მითხრა, რომ შენ მხოლოდ სპორტული ინტერესის გამო შემომარტყამ ალყას, რომ შენ „ნამდვილი მაცდური ხარ" და მე ვხედავ, რომ ის მართალი იყო."

მაგრამ შეუძლია თუ არა ქალს, უარი თქვას მამაკაცზე მხოლოდ იმის გამო, თუ სხვა მამაკაცი ეტყვის, რომ ის საშიშია? სინამდვილეში ყველაფერი



ელი ჯონსი პატრისია ტომპსონთან ერთად

ეროვნული
ბიბლიოთეკა



პატრისია ტომპსონი

სხვაგვარად ხდება. ასე დაემართა ელისაც, რომელიც სულ უფრო და უფრო ებმებოდა ამ ხლართებში. მაიაკოვსკი აგრძელებდა თავის „ალყას". მათ იჩხუბეს ორჯერ და ორჯერ შერიგდნენ, ამით კი უფრო უძლიერდებოდათ ერთმანეთის სიყვარული.

ახლოვდებოდა გამოთხოვების დღე. მაიაკოვსკი, სხვა ტურნეებისაგან განსხვავებით, ამერიკაში ფინანსურ პრობლემას განიცდიდა. ამ მოგზაურობის დროს ჯერ მისი ოთახი გაძარცვეს სასტუმროში (როგორც ზოგიერთი მკვლევარი ფიქრობს, „ჩეკისტები" იქ რაღაც სხვას ეძებდნენ). დაილუპა ხურგინი. ამას დაემატა ლილის ტელეგრამა.

ელი იგონებს: „ის (მაიაკოვსკი) იჯდა და წერდა, ლილის ტელეგრამა იდო მაგიდაზე:

„სად დაიკარგე? მომწერე, როგორ ცხოვრობ. ვისთან ხარ, არაა მნიშვნელოვანი. იტალიაში მინდა წასვლა. მიშოვე ფული."

ელის უსიამოვნო შეგრძნება დაეუფლა. ლილი არ წერდა, „მე ვნერვიულობ",

„მოვიწყინე". მხოლოდ „ვისთან ხარ, მნიშვნელოვანი არაა, იტალიაში მინდა წასვლა, მიშოვე ფული." ეს მაშინ, როცა ელი თავის დანაზოგს ხარჯავდა, პროდუქტი რომ ეყიდათ.

მაიაკოვსკიმ შეამჩნია, რომ ელის წონასწორობა ჰქონდა დაკარგული, მიხედა მიზეზს და დაიწყო ლაპარაკი თავისი პირადი ცხოვრების შესახებ:

„იცი? მათ ისე ბევრი გააკეთეს, რომ გამოეცა პირველი წიგნი, როცა ახალგაზრდა და ღარიბი ვიყავი... შიმშილობის პერიოდში კი თავის ძვირფასეულობ ცვლიდა კარტოფილზე. მართალია, ჩვენ არ ვარ დაქორწინებული, გვქონდა ურთიერთობა, მაგრამ ქ წარსულშია."

მწერალ ბენ იანგფელდის მიერ გამოქვეყნებულ მიმოწერა მაიაკოვსკისა და ლილის შორის მოწმობ რომ პასუხად მოსკოვში ვალოდიამ ლილის ათა დოლარამდე თანხა გაუგზავნა, თან უბოდიშებდა რომ «ცუდად იზრუნა". (14 სექტემბერი 1925 წელი).

ელის და მაიაკოვსკის თავდავიწყებით უყვარ დათ ერთმანეთი, მაგრამ „ამხანაგი ისტორია" არ იყო მათ მხარეს. ეს იყო ულამაზესი წუთები ელი ჯო სის ცხოვრებაში, მაგრამ ეს დღეებიც გაილია. დად გა გამოთხოვების უმძიმესი ჟამი. ნავსადგურში ელ ბურლიუკმა მიაცილა, მაიაკოვსკიმ დაიგვიანა, ელ იფიქრა, რომ ვალოდიამ შეიარა მასთან ბინაში და ამიტომ იგვიანებდა. მაიაკოვსკი იმ დროს გამოჩნდა ნავსადგურში საშინელი ქყლეტა რომ იყო და მათ ვერ შეძლეს ადამიანურად გამოწმშვიდობება. მაიაკოვსკიმ მხოლოდ ხელზე მოასწრო ეკოცნა ელისათვის და ბრ ზომ ისინი ერთმანეთს დააშორა. გამცილებლებს გემ ბანზე არ უშვებდნენ. ეს იყო მათი ბოლო შეხვედრ ამერიკაში.

ელი იგონებდა, რომ ის ლაშის შეიმალა, არას დროს უფიქრია, რომ გამოთხოვება ასე მძიმე იქნე ბოდა. „სახლში მიბრუნებისას მინდოდა, დავეც მულიყავი საწოლზე და ხმამაღლა მეტირა მის გამო სამშობლოს გამო, მაგრამ ვერ შევძელი. ჩემი სა

წლის სავსე იყო ულამაზესი ყვავილებით. მას ხომ საერთოდ არ ჰქონდა ფული!.. როგორ შეიძლებოდა, მასზე გელაპარაკა, რომ ის იყო უხეში, მკაცრი ან სასტიკი! სად შეძლო, ეშოვნა ულამაზესი კესანეები ოქტომბრის ბოლოს, ნიუ-იორკში! როგორც ჩანს, დიდი ხნით ადრე შეუკვეთა, რომ გამომშვიდობება ასეთი ლამაზი ყოფილიყო."

ის ტიროდა რამდენიმე დღე, ვერ ახერხებდა დაწყნარებას. მეგობრები ხვდებოდნენ მისი დარდის მიზეზს და ეუბნებოდნენ „ნუ წუხარ, ის ამად არ ღირს", მაგრამ გული სხვას გრძნობდა.

რამდენიმე წლის შემდეგ ელიმ შეიტყო, რომ მაიაკოვსკი რუსეთში დაბრუნდა მეოთხე კლასის კაიუტით. ლექსში „შინისაკენ" აკი წერს: „я в худшей каюте из худших кают"... მთელი თავისი უკანასკნელი დანაზოგი დახარჯა ამ გალანტურ ჟესტზე – კესანეები ზამთრის ნიუ-იორკში.

ასეთი ლამაზი, პოეტური იყო მათი სიყვარული და გამოთხოვება, მაგრამ ყველაფერი ამით არ დამთავრებულა. ელიში უკვე ჩასახული იყო მომავალი სიცოცხლე – მაიაკოვსკის ქალიშვილი. როგორც უკვე ვთქვით, ელი საბჭოთა წლებში თავისი და თავის ქალიშვილის უსაფრთხოების მიზნით არ ახდენდა მაიაკოვსკისთან ურთიერთობების აფიშირებას. ეს უშიშარი ქალი განსაკუთრებით შეაშფოთა ინფორმაციამ ლილის საბჭოთა სპეცსამსახურებთან თანამშრომლობის შესახებ.

ისინი კიდევ მხოლოდ ერთხელ შეხვდნენ ერთმანეთს საფრანგეთში, ნიცაში 1928 წელს. მაიაკოვსკი მაშინ პარიზში იყო მივლინებით, ხოლო ელი ნიცაში ისვენებდა პატარა გოგონასთან ერთად. ვალოდიამ ასეთი წერილი გაუგზავნა მათ პარიზიდან:

ორი უსაყვარლესი, ორი მშობლიური
ელი!
მე უკვე მოვიწყინე თქვენ გამო.
ვოცნებობ, გნახოთ თუნდაც ერთი კვირით,
მიმიღებთ?

მომეფერებით?
მიპასუხეთ, გთხოვთ.
(მეშინია რომ ოცნებად არ დარჩეს სურვილი, იქნებ შეძლო, ჩამოვიდე ოთხშაბათს-ხუთშაბათს.)
იმედი მაქვს, ნიცაში გამოვბრწყინდები და
წარმოვდგები თქვენთან მთელი მოლიმარი
მშვენებით.
მომწერეთ, გთხოვთ, ჩქარა-ჩქარა.
ვკოცნით თქვენ რვა თათს.

*თქვენი ვალოდია*
*26.10.28*

საბჭოთა კავშირის არსებობის ბოლო წლებში გაჩნდა გარკვეული ცნობები მაიაკოვსკისა და ელი ჯონსის ურთიერთობაზე, როცა მათმა ქალიშვილმა, პატრისია ტომპსონმა მისცა პირველი ინტერვიუ ჟურნალისტ სერგეი ზაზიჩს. ხოლო „ექო პლანეტას" აპრილის ნომერში გაჩნდა პუბლიკაცია, „სენსაცია, რომელსაც დიდხანს ელოდნენ". მაიაკოვსკის უგვირგვინო მეუღლისა და მისი ქალიშვილის ისტორია სინამდვილე აღმოჩნდა...

პატრისია მოსკოვში შეხვდა მისი მშობლების ნაცნობს, ტატიანა ლეშენკო-სუხომლინას. ცოცხალთა შორის იმ დროს ის იყო ერთადერთი, რომელსაც უნახავს მაიაკოვსკი და ელი ერთად. ტატიანამ დაუდასტურა, რომ პატრისია იყო არა მხოლოდ ბიოლოგიური შვილი მაიაკოვსკის, არამედ „სიყვარულის ნაყოფი."

ტატიანა სუხომლინა იმ დროს ჟურნალისტიკას სწავლობდა კოლუმბიის უნივერსიტეტში. მან გაიცნო მაიაკოვსკი ნიუ-იორკში, ბროდვეიზე. პოეტმა მიიწვია ის მის მეუღლესთან, ადვოკატ პეპერთან ერთად, საჯარო ლექციაზე, შემდეგ საღამოზე გრინვიჩ-ვილიჯში. სწორედ იქ ნახა პირველად „ახალგაზრდა, ლამაზი, მაღალი, გამხდარი ქალი მაიაკოვსკისთან ერთად. ისინი სეირნობდნენ სანაპიროზე, ელის ხელში ეჭირა ჯეიმს ჯოისის ახლად გამოცემული რომანი „ულისე". ტატიანა მიხვდა, რომ მაიაკოვსკის ის ძლიერ უყვარდა.

პატრისია მოსკოვში ჩავიდა 1991 წლის ზაფხულში, მაიაკოვსკის მუზეუმის მიწვევით... როცა მათ გაიარეს მაიაკოვსკის ძეგლთან, რომელიც სივრცეს გასცქეროდა, როჯერმა (შვილიშვილმა) დედას გადაუჩურჩულა: „დედა, ის შენ გეძებს." დედა-შვილი გაემართა ნოვოდევიჩის სასაფლოსკენ, სადაც არის დაკრძალული პოეტი. ეს დღე პატრისიასთვის იყო ოჯახთან შეხვედრის დღე. ის იგონებს: „იქ, ორივე მხარეს, იყო საფლავები, ბებიასი და ჩემი მამიდების, ჩემი ცრემლები არა მხოლოდ დაკარგული მამის, არამედ ჩემთვის უცნობი ბებიისა და მამიდების საფლავების ნახვითაც იყო გამოწვეული.

მამის საფლავთან... დავეშვი მუხლებზე, პირჯვარი გადავიწერე მართმადიდებლურად... შიშველი ხელით ამოვთხარე მიწა მამისა და მამიდების საფლავებს შორის, ჩავასვენე ამერიკიდან წამოღებული დედაჩემის ფერფლის ნაწილი და მიწა დავასველე ცრემლებით."

ამ დროს სასაფლაოზე გადაიარა ღრუბლებმა, დაიგრუხუნა და წამოვიდა ზაფხულის წვიმა. მალე გამოიდარა. როცა მზე გამოვიდა, საიდანღაც მოფრინდა პეპელა, რომელიც დაეშვა პატრისიას მკლავზე. ალბათ, იქ მყოფთა უმრავლესობას ამ დროს ახსენდებოდათ სტრიქონები მაიაკოვსკისადმი მიძღვნილი ლექსიდან „И еще не слыхашое имя бабочкой летало над толпой".

შემდეგ პატრისია – ელენა ვლადიმერის ასული მაიაკოვსკაია (როგორც ის ეძახის თავის თავს 2003 წლიდან) მიწვეული იყო მსოფლიო ლიტერატურის ინსტიტუტში, კონფერენციაზე, სადაც წაიკითხა თავისი ლექსი „მე აქ ვარ“.

მაიაკოვსკი!
ეს მე ვარ.
ხმამაღლა ვუკაკუნებ კარებზე – „ამხანაგ ისტორიას“.
მე ვიცი, შენ მანდ ხარ, შენი გაცვეთილი
ჩემოდნებით,
რომელშიც დაუმთავრებელი ლექსები,
გატეხილი გული და
გაფერმკრთალებული ფოტოა
პატარა გოგონასი, რომელიც ზის აივანზე, ნიცაში.
ეს მე ვარ!
შენ შემქმენი მე!
შენ და მე –
მამა და ქალიშვილი,
ქალიშვილი და მამა –
პოეტი და ფილოსოფოსი;
ფილოსოფოსი და პოეტი!
რას აკეთებდი
მას შემდეგ, როცა უკანასკნელად გეჯექი მუხლებზე?
დღეს მე ასაკით შეიძლება დედად გეკუთვნი შენ!
შენ! სამუდამოდ დარჩი ჩემზე ახალგაზრდა.
უფრო ახალგაზრდა ხარ, ვიდრე შენი შვილიშვილი –
როგორც
როგორც შენ, მასაც უყვარს ძაღლები
და პატარა ბავშვები.
ის არ არის პოეტი, იურისტია!
მფარველი გენია,
მცველი ინტელექტუალური საკუთრების,
მოდარაჯე ძაღლი იდეების და გამოგონებების,
საავტორო უფლებების და უუფლებობების.
არც პენი, არც სუ, არც პფენინგი, თუ კაპიკი
არ მითხოვია შენთვის.
მე თვითონ გადავიხადე ყველაფერი ჩემს ცხოვრებაში
ჩემი დედის თავგანწირვით.
ვალიუტა შენგან? ჩემი ქრომოსომებია!
უფრო ძვირფასი, ვიდრე ოქრო.
ღირსი შენი სახელის – ელენა მაიაკოვსკაია!

*(მთარგმნელი კონსტანტინე კიკნაძე)*



მაიაკოვსკის ძეგლისთვის ადგილის შერჩევა. მოსკოვი. 1958 წ.

# 5 ხელოვანი და პოლიტიკა

ეროვნული ბიბლიოთეკა

## „შარლი ებდოს“ წერილები

### ძაღლის ნაბიჯებით

წიკწიკწიკწიკ... „შარლიში“ ერთი ძაღლი გვყავს, წითური კოკერი, სახელად „ლილა“. სინამდვილეში, იგი ჯველასი არ არის, მხოლოდ – ერიკის[1]. ჩვენს ჯგუფში, ყველაზე მეტად კაბიუ[2] უყვარს. იგი მას ანებივრებს. აი, დღესაც, 7 იანვარს, ამ ოთხშაბათ დღეს, ჩვეულ დღესასწაულს უწყობს. უნდა ითქვას, რომ სარედაქციო მაგიდაზე კოკოს[3] მოტანილი ბრეტონული ორცხობილები და ლიუზის[4] დაბადების დღის აღსანიშნად ჩემ მიერ ნაყიდი ნამცხვარი დევს. კაბიუ უთუოდ მისცემს მას ერთ ნაჭერს.

წიკწიკწიკწიკ... „შარლიში“ ერთი ძაღლი გვყავს, წითური კოკერი, რომელიც პარკეტს გვიფხაჭნის. რისი[5] და შარბი[6] მას განგებ დასცინიან, რომ მერე, ლიუსმა[7] დაიცვას და თავზე მოეფეროს. ონორეს[8] კატები ურჩევნია, ტინიუსს[9] – ბავშვები, ვოლინსკის[10] კი კატრინსა[11] და ზინებზე[12] ეკეტება ჭკუა.

წიკწიკწიკწიკ... „შარლიში“ ერთი ძაღლი გვყავს, წითური კოკერი, რომელიც ჩვენს კრებას ესწრება. „ვინ ემხრობა ლუი დე ფიუნესს?“, ჟან-ბატისტი[13] უფრო ემხრობა, ვიდრე არა. გასაკვირია და – ფილიპიც[14]. ფაბრისისთვის[15] სულერთია. მისთვის მთავარია, ჩვენი პლანეტა ბრუნავდეს. ლორანს[16], პასუხისთვის, კვლევის ჩატარება სჭირდება. ანტონიო[17], სჯობია, არ მიემხროს. ჟერარი[18] ბჭობს. პელუ[19] ამბობს: „მე მისი მობილური მაქვს“ (დე ფიუნესის).

წიკწიკწიკწიკ... „შარლიში“ ერთი ძაღლი გვყავს, წითური კოკერი, რომელიც მუსტაფას[20] მაგიდის ქვეშ

[1] ერიკ პორტო – პუბლიკაციის დირექტორი და ფინანსისტი. დამალვა მოახერხა.

[2] კაბიუ, იგივე ჟან კაბიუ – კარიკატურისტი. 7 იანვრის კრებაზე მოკლული.

[3] კოკო, იგივე კორინ რეი – მხატვარი და სცენარისტი. ტერორისტებმა რედაქციის შესასვლელის კოდის აკრეფა აიძულეს და გაუშვეს.

[4] ლიუზი, იგივე რენალდ ლიუზიე – კარიკატურისტი, გაზეთის მხატვრული დირექტორი. კრებაზე დააგვიანდა.

[5] რისი, იგივე ლორან სურისო – კარიკატურისტი, რედაქციის დირექტორი. კრებაზე დაჭრილი.

[6] შარბი, იგივე სტეფან შარბონიე – სატირული მხატვარი და ჟურნალისტი, პუბლიკაციის დირექტორი. კრებაზე მოკლული.

[7] ლიუს ლაპენი – რედაქციის მდივანი. კრებიდან გავიდა ტერორისტების იქ შესვლამდე.

[8] ონორე, იგივე ფილიპ ონორე – პრესის მხატვარი და ილუსტრატორი. კრებაზე მოკლული.

[9] ტინიუსი, იგივე ბერნარ ვერლაკ – კარიკატურისტი. კრებაზე მოკლული.

[10] ვოლინსკი, იგივე ჟორჟ ვოლინსკი – პრესის მხატვარი. კრებაზე მოკლული.

[11] კატრინ მერისი – ილუსტრატორი, სცენარისტი, მხატვრული დირექტორი. კრებაზე დააგვიანდა.

[12] ზინებ ელ რაზუი – ჟურნალისტი, რეპორტიორი. არდადეგებზე იყო.

[13] ჟან-ბატისტ ტორე – ისტორიკოსი, ესეისტი და კინოს კრიტიკოსი. კრებაზე დააგვიანდა.

[14] ფილიპ ლანსონი – ჟურნალისტი, მწერალი და ქრონიკიორი. კრებაზე მძიმედ დაჭრილი.

[15] ფაბრის ნიკოლინო – ჟურნალისტი. კრებაზე მძიმედ დაჭრილი.

[16] ლორან ლეჟე – გრან რეპორტიორი. დამალვა მოახერხა.

[17] ანტონიო ფისკეტი – სამეცნიერო ჟურნალისტი, ფიზიკის პროფესორი. კრების დროს ახლობლის დაკრძალვაზე იმყოფებოდა.

[18] ჟერარ ბიარი – ჟურნალისტი, გაზეთის მთავარი რედაქტორი. არდადეგებზე იყო.

[19] პატრიკ პელუ – ექიმი და ქრონიკიორი. კრების დროს ექიმთა სასწრაფო შეკრებაზე იმყოფებოდა.

[20] მუსტაფა ურადი – კორექტორი. კრებაზე მოკლული.

გადის და გამოდის. ძია ბერნარს[21] მისი არ ესმის, იცინის (თავისი სამხრეთ-დასავლური აქცენტით... ჰო, ეს შესაძლებელია) და თან ელზას[22] უყურებს, როგორ ცდილობს, დიდი ჟესტებით აგვიხსნას ლაკანი.

წიკწიკნიკნიკ... „შარლიში" ერთი ძაღლი გვყავს, წითური კოკერი, რომელსაც არ ესმის, თუ რატომ ვართ ამდენნი ოთხშაბათობით. კვირის დანარჩენ დღეებში მას მხოლოდ ანჟელიკი[23] და სიმონი[24] უწევენ კომპანიას. ორშაბათობით, იღბლიანი, მარტინს[25] ხვდება.

ბაჰ ბაჰ ბაჰ ბაჰ... და მკვდრის სიჩუმე.

ჟან-ლიუკი[26] და მე იატაკზე ვართ გართხმულნი. არ ვინძრევით.

უცებ: წიკწიკნიკნიკ!

„შარლიში" ერთი ძაღლი გვყავს, წითური კოკერი, რომელიც გვაუწყებს, რომ მორჩა, შეგვიძლია, წამოვდგეთ: ისინი უკვე წავიდნენ.

ლილა არ მოკლეს. ალბათ იმიტომ, რომ მდედრია.

*სიგოლენ ვენსონი[27]*
*„შარლი ებდო" №1178, 14 იანვარი 2015*

## ედიტორიალი

დიდხანს მეგონა, რომ ყველაზე უარესი რამ, რაც პრესის მხატვარს შეიძლებოდა დამართოდა, დაპატიმრება იყო. ასე მოუვიდათ დომიეს და ფილიპონს[28] ბევრი, ქკუამხიარული ლუი-ფილიპის მეფობის დროს. ამგვარად, ახალგაზრდა კარიკატურისტებს – შარბს, ლიუზს და მე არანაირი საფრთხე არ გვემუქრებოდა, როცა 90-ანი წლების სატირულ გაზეთებს სხვადასხვა ესკიზს ვთავაზობდით, რადგან თავს ჩვენი ხელოვნების მფარველი ანგელოზი დაგვციმციმებდა: გამოხატვის წმიდათაწმიდა თავისუფლება.

გვსურდა, კარიკატურებზე გვეცინა და სხვებიც გვეცინებინა. თუმცა, წლების შემდეგ, რაც ყველა ეს ცნობილი პერსონაჟი სასაცილო მდგომარეობაში ვხატეთ და ვხატეთ, ერთი კითხვა გაგვიჩნდა: გამართლება, დახატვა – რას ემსახურება ეს სინამდვილეში?

ბოლოს და ბოლოს, კარიკატურა კარიკატურაა და სხვა არაფერი; რაღაც ნაჯღაბნი, რომელიც მიზნად, გაართოს და თან დააფიქროს. გაცინება და დაფიქრება: აი, იდეალური კარიკატურა! ეს არის მკითხველის გაოცების ხელოვნება ორიგინალური ხედვით და გვერდზე გადადგმული ნაბიჯით, რაც უჩვეულო კუთხით აჩვენებს მოვლენებს, უმრავლესობის ხედვისგან განსხვავებულად. მესტისმეტობა და სიქარბე, რასაც ხშირად საყვედურობენ „შარლი ებდოს" კარიკატურისტებს, სინამდვილეში, მხოლოდ უცხო გზებით სიარულის გაბედული მეთოდია.

იქნებ სწორედ ამას ვერ ეგუებოდნენ 7 იანვრის მკვლელები? მათ ხომ, რეალურად, არასდროს არაფერი გაუბედავთ. ისინი ხომ საკუთარი ნებით გამოიკეტნენ რელიგიის კომფორტში, სადაც ყველა კითხვაზე პასუხის არსებობა ფიქრისა და ეჭვისგან ათავისუფლებს. ეჭვი ყოველი რელიგიის დაუძინებელი მტერია. როცა გაზეთის რედაქციაში მისი ნევრობის მოსაკლავად შესვლას აპირებ, ეჭვი არ უნდა გეპარებოდეს.




*თავისუფლება ბრიყვების მიხედვით:*
*– კარგი, შეგიძლია, იფრინო... ოღონდ ძალიან მაღლა არ აფრინდე!*

[21] ბერნარ მარი – ეკონომისტი, მწერალი, ჟურნალისტი. კრებაზე მოკლული.

[22] ელზა კაიატი – ფსიქოანალიტიკოსი და ქრონიკიორი. კრებაზე მოკლული (მიუხედავად ტერორისტების განცხადებისა, რომ „ქალებს არ კლავდნენ").

[23] ანჟელიკი – აბონენტების მენეჯერი. დამალვა მოახერხა.

[24] სიმონ ფიეში – გაზეთის ვებმასტერი. კრებაზე მძიმედ დაჭრილი.

[25] მარტინ რუსო – გაზეთის მაკეტისტი. დამალვა მოახერხა.

[26] ჟან-ლიუკ ვალე – ტექნიკური რედაქტორი. დამალვა მოახერხა.

[27] სიგოლენ ვენსონი – ჟურნალისტი. ტერორისტებმა დაინდეს იმ მიზეზით, რომ „ქალებს არ კლავდნენ".

[28] ონორე დომიე (1808-1879) და შარლ ფილიპონი (1800-1862) – გამოჩენილი ფრანგი კარიკატურისტები და ჟურნალისტები.

„შარლის" კარიკატურისტები და სტატიების ავტორები კი თავიანთ დროს ეჭვში ატარებენ. ეჭვი შეაქვთ ყველაფერში და განსაკუთრებით საკუთარ თავში, საკუთარ ნიჭში, საკუთარ შთაგონებაში. ეს მათ ზოგჯერ აუტანლებს ხდის. ვოლინსკი კითხვას სვამდა 2011-ში, რედაქციაში ხანძრის შემდეგ: „მეტისმეტი ხომ არ მოგვივიდა?". მხოლოდ პატიოსან კაცს შეუძლია მსგავსი შეკითხვის დასმა. არასდროს – მკვლელს. ვოლინსკის გააჩნდა საკუთარი ეჭვების გამოთქმის სიმამაცე. მან საკუთარი სიმყიფის გამოხატვა ხელოვნებად აქცია. აი, რატომ არასდროს გახდება კარიკატურისტი მკვლელი. აი, რატომ არის უსინდისობა კარიკატურისტის ე.წ. „პროვოკაციების" და მკვლელების სისასტიკის ერთ სასწორზე მოთავსება, იმის ხაზგასმით, რომ „კარიკატურისტებმა თავიანთი დასაკლავი დანა თავად გამოჩხრიკეს".

ეჭვის შეტანისთვის სხვებია საჭირო, ვინც განსხვავებულად ფიქრობს. ალბათ, რა მოსაწყენ სამყაროში ცხოვრობდნენ 7 იანვრის მკვლელები... ერთფეროვან სამყაროში, სადაც ყოველ თავს, რომელიც სხვებისაზე მაღალია, ჭრიან; სადაც ყოველ ხმას, რომელიც სხვებისას არ ეწყობა, ახშობენ. წარმოიდგინეთ, მსგავსი ტვინებისთვის, წინასწარმეტყველზე კარიკატურების დახატვის იდეა! ბედშავი არსებები, რომლებმაც სხვების სიცოცხლე ხელყვეს ტყუილად გაფლანგული საკუთარის დასავიწყებლად...

გამხნევებისა და მხარდაჭერის ნიაღვრის მიუხედავად, უფლებას ვიტოვებთ, ვიკითხოთ, ვის აქვს სინამდვილეში ამ ბრძოლის წარმოების სიმამაცე? გულწრფელად, ვის ექნება მკრეხელობისთვის ბრძოლისა და რელიგიური პირების გამოწვევის სურვილი, თუ მას ამისთვის 10 პოლიციელი უნდა იცავდეს 24 საათის განმავლობაში? არავის! „შარლის" ყველამ დაუჭირა მხარი, „ნიდით, ჩვენ თქვენ გვერდით ვართ!"-ო, მაგრამ რამდენი მათგანი გაბედავდა მკრეხელური კარიკატურის დახატვას და გამოქვეყნებას? ძალიან ცოტა. ბრბო მხარს უჭერს „შარლის", როგორც ხარს არენაზე. ვინ იცის, ერთ დღეს, ბანდერილიებისგან არაქათგაცლილი „შარლი" იქნებ მოკვდეს კიდეც ბრბოს აღტაცებული ტაშის ფონზე.

და აჰა, იმ მომენტში, როცა „შარლის" ახალი ნომერი გამოდის, მსგავსი ტერორისტული აქტი ხდება კოპენჰაგენში. მსხვერპლი ნაკლებია, მაგრამ მიზნები – იგივე: გააჩუმონ ყველა, ვისაც გამოხატვის თავისუფლების სჯერა და ამოწყვიტონ ებრაელები. ის, ვინც ცდილობს მკვლელებს გამართლება მოუძებნოს და მიაჩნია, რომ კარიკატურისტებმა „ცეცხლზე ნავთი დაასხეს", როგორ აპირებს ანტისემიტი მკვლელების პასუხისმგებლობის შემსუბუქებას? პარიზული ჰიპერქოშერის და კოპენჰაგენის ტერაქტების მსხვერპლ ებრაელებს ხომ არ გაუშარჟებიათ მუჰამედი?! თუმცა, ისინი მოკლეს... ამგვარი ძალმომრეობის ატანა ისედაც ძნელია, ზედ რომ ფსევდოინტელექტუალური, მეტ-ნაკლებად დამყვავებლური, [illegible] დისკურსები არ დავამატოთ.

პარიზის და კოპენჰაგენის თავდასხმები, უპირველეს ყოვლისა, ინდივიდებს შორის ურთიერთობის თანამედროვე კონცეფციის წინააღმდეგაა მიმართული, იდეების მრავალფეროვნებისა და თავად ადამიანების წინააღმდეგ. რელიგიები, საუკუნეების მანძილზე, ძალმომრეობით უპირისპირდებოდნენ ამ ღირებულებებს. თანამედროვე ეპოქამ თითოეს ჭკუაზე მოიყვანა ეს რეტროგრადები და დაარღვია მათი სურვილი ადამიანთა გონებაზე ჰეგემონიისა. პარიზისა და კოპენჰაგენის თავდასხმები კი გვაუწყებს, რომ კიდევ დრო და სისხლია საჭირო, რომ თითოეულმა რელიგიამ ერთხელ და სამუდამოდ დაუშვას ეს დემოკრატიული გარემო, რომელსაც ალტერნატივა არა აქვს.

*რისი*[29]

*„შარლი ებდო" №1179, 25 თებერვალი 2015*

## ჯიჰადისტი და მუსლიმი დივანზე

რა სიგიჟეა ნახატებზე ასეთი აღგზნება!

შეიძლება, ვიფიქროთ, რომ ჯიჰადისტები გიჟები არიან... არადა, არ არიან, ყოველ შემთხვევაში, არა ამ ტერმინის ფსიქიატრიული გაგებით. თანაც ისინი ემორჩილებიან მენტალურ სქემებს, რომელსაც თავისი ლოგიკა აქვს.

ფსიქოანალიზში, უწინარესი ტაბუ-სცენა პრიმიტიულია: მშობლების სექსუალური აქტი. შესაბამისად, წინასწარმეტყველის გამოსახულებასა და დედის სასქესო ორგანოს ხატს შორის საერთო ნიშნები იკვეთება. ორივე შემთხვევაში ხდება სიწმინდის ძიება, რომელიც, როცა პათოლოგიად იქცევა, აკვიატებით შეპყრობილის ქცევას ემსგავსება, დღეში ორასჯერ რომ იბანს ხელებს.

გამოსახულება პოლიტიკური მიზნებისთვისაც გამოიყენება. მას შეუძლია როგორც მოხიბლვა, ასევე დაფრთხობა, და ამას კარგად ხვდებიან რელიგიური წარმომადგენლები. მაგალითად, ქრისტიანებში, ორი ტენდენცია დაუპირისპირდა ერთმანეთს: იკონოლატრებისა და იკონოკლასტების. პირველნი გამოსახულებას ნებადართულად მიიჩნევენ, მეორენი კი კრძალავენ, მოტივით: „ღვთის გამოსახვა მისი დამცირებაა".

თუმცაღა, უნდა ვიცოდეთ, რომ გამოსახულება მხოლოდ გამოსახულებაა და სხვა არაფერი. ეს ცხადი

[29] იგივე ლორან სურისო – „შარლი ებდოს" რედაქციის დირექტორი.

უნდა იყოს მაგრიტის ცნობილი „ეს არ არის ჩიბუხი"-ს შემდეგ. ეს რომ ისლამისტებს გავაგებინოთ, ნუთუ „შარლის" თითოეულ ნახატს უნდა მივაწეროთ „ეს არ არის წინასწარმეტყველი"?!

კეთილმორწმუნე მუსლიმები მუჰამედის კარიკატურებით თავს შეურაცხყოფილად გრძნობენ და არ ესმით, რომ სარწმუნოებათა დაცინვა არ არის ადამიანების შეურაცხყოფა. გზას, ინდივიდის ცნების გასწვრივ, აქაც ფსიქოანალიზი გვიკვალავს. ისლამიზმი რეგრესს ეყრდნობა, არა მხოლოდ სოციალურს, არამედ ფსიქიკურსაც: მრევლი ამყოფოს ინფანტილურ სტადიაზე, რომ უკეთ აბითუროს იგი.

შეგვიძლია, დავასკვნათ, რომ ჯიჰადისტებს გონებასუსტი და შეპყრობილი ბავშვის ტვინი აქვთ, და რომ აუცილებელია ფსიქოლოგიური რევოლუცია რელიგიური მარწუხებისგან მორწმუნეთა დიდი ნაწილის გასათავისუფლებლად. ეს ტერორისტებს ფსიქოანალიტიკოსის დივანზე, ალბათ, არ მოიყვანს, მაგრამ, შეიძლება, მუსლიმურ სამყაროს სეკულარობის გაგებაში დაეხმაროს.

რატომ არიან ჯიჰადისტები ასეთი ალერგიულები წინასწარმეტყველის გამოსახულების მიმართ? შეგვიძლია, ვეძებოთ თეოლოგიური ან პოლიტიკური




– ვინ დახატა მუჰამედის უკანალის ბეწვი??

ახსნა... თუმცა, ფსიქოანალიზიც მნიშვნელოვნად ჰფენს ნათელს ამ საკითხს. ადამიანური გამოსახულებათა ზოგადი ძალაუფლების, მუსლიმანური საზოგადოების თავისებურებებისა და სხვა გზით ნასულიერ უკიდურესი ისლამისტების გასაგებად, ორ მკვლევარს მივმართეთ: ჟერარ ბონეს, ფსიქოანალიტიკოსსა და გამოსახულებათა სპეციალისტს და მალეკ შებელს, ფსიქოანალიტიკოსსა და რელიგიათა ანთროპოლოგს. ორივე მკვლევარი ამ საკითხისადმი მიძღვნილი მრავალი ნაშრომის ავტორია.

**წინასწარმეტყველის გამოსახვა ზოგისთვის აუტანელია. შეიძლება თუ არა, ეს დავუკავშიროთ პრიმიტიული სცენის გამოსახვას, რაც ფსიქოანალიზში ტაბუ-სცენის ტიპიური არქეტიპია?**

**ჟერარ ბონე:** სავსებით. დედის სასქესო ორგანო, ეს ის ადგილია, საიდანაც მე მოვდივარ და რომელიც ამყარებს ჩემში არსებულ ყველა ღირებულებას. აქ მივდივართ იდეალების საკითხთან. პრიმიტიულ სცენასა და რელიგიურ გამოსახულებებს ის აქვს საერთო, რომ ორივე საწყისთან გვაბრუნებს. გამოსახულება შეიძლება უწმინდური იყოს, რადგან რასაც გამოვსახავთ, ვერასდროს უტოლდება იმას, რაც ჩვენშია. გამოსახულების ჩვენებამ შეიძლება რაღაცები ნაბილწოს. გამოსახულების აკრძალვა ნიშნავს მის დაცვას ყოველგვარი სიბინძურისგან და მეტი ძალაუფლების მინიჭებას იმისთვის, რასაც ეს გამოსახულება სიმბოლიზირებს.

**მალეკ შებელი:** ყველა მონოთეისტური რელიგია თანხმდება, რომ რამის აკრძალვა მის საკრალიზებას უდრის. აქ ტოტალიტარული ისაა, რომ საკუთარ სიწმინდეს სხვებს ახვევენ თავს. თუმცა ისლამის შემთხვევა განსაკუთრებულია. ისლამი გამოჩნდა VII ს-ში, როცა ღვთაებებს გამოსახავდნენ. წინასწარმეტყველმა მოისურვა გამოსახვასა და პოლითეისტური ეპოქის წარმართ მოსახლეობას შორის კავშირის განყვეტა. მას მიაჩნდა, რომ თუ პანთეონის ყველა გამოსახულებას მოსპობდა, ადამიანებსა და ღმერთს შორის პირდაპირ კავშირს შექმნიდა. მან მოახდინა ხედვითი ცენტრის გადაადგილება და გაანადგურა ყველა კერპი, გარდა ერთისა: ქააბა, რომელიც ისლამის გამოსახულებათა ცენტრად იქცა.

**თუმცა მუჰამედს არ აუკრძალავს საკუთარი თავის გამოსახვა.**

**მ. შ.:** ნამდვილად, მას არაფერი უთქვამს საკუთარ გამოსახულებაზე, ისევე, როგორც ყურანს. მაგრამ წინასწარმეტყველი 632 წელს მოკვდა, VIII ს-დან კი ამ მხრივ საქმე გართულდა. ამ დროს, ქრისტიანებს შორის, გამოსახულების ომი მიმდინარეობდა. ბიზანტიელი ეპისკოპოსები გააფთრებით იბრძოდნენ

გამოსახულების წინააღმდეგ. დაპირისპირებები სამი საუკუნის მანძილზე გრძელდებოდა, იმ დღემდე, როცა საეკლესიო კრებამ გამოსახულებები დაუშვა. ქრისტიანთა შორის ეს ომი ისლამსაც შეეხო, რადგან ამ დროის განმავლობაში, არაბულ-მუსლიმური იმპერია განივრცო და ბიზანტიის იმპერია გადაფარა. მუსლიმებმა გაიაზრეს ქრისტიანული პრობლემატიკა და გადაწყვიტეს გამოსახულებების აკრძალვა.

**გამოსახულებებზე მთელი ეს დავა ქრისტიანებმა დაიწყეს, მაგრამ საბოლოოდ დაუშვეს ისინი. რატომ მიიღეს საპირისპირო გადაწყვეტილება მუსლიმებმა?**

**ჟ. ბ.:** მართალია, ეს დავა ქრისტიანებმა დაიწყეს. სხვათაშორის, ცოტა დააკლდათ, რომ თავადაც იკონოკლასტები გამხდარიყვნენ და გამოსახულებები აეკრძალათ. თუ მუსულმანები აკრძალვისკენ გადაიხარნენ, ეს იმიტომ, რომ მანამდეც უფრო ეს მხარე ეჭირათ. თუმცა, არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ ქრისტიანებშიც და მუსლიმებშიც, ყოველთვის არსებობდა რელიგიური გამოსახულებების მომხრეებსა და მოწინააღმდეგეებს შორის დაპირისპირებები.

**როგორ ახსნით შიიტების მიერ გამოსახულებების დაშვებას, სუნიტებისგან განსხვავებით?**

**მ. შ.:** მსგავს განსხვავებებს განაპირობებს არა მოძღვრებისეული, არამედ პოლიტიკური მიზეზები. წინასწარმეტყველის სიკვდილისთანავე, დაპირისპირებებმა იფეთქა მის მიმდევრებს შორის. ოთხი ხალიფიდან ერთ-ერთის, ალის მომხრეებმა საქმე განხეთქილებამდე მიიყვანეს და შიიტებმაც, საბოლოოდ, კლერიკალური სტრუქტურა შექმნეს. სუნიტების შემთხვევა კი განსხვავებულია: ვინაიდან მათ კლერიკალები არ ჰყავთ, მათთვის ყველაფერი უშუალოდ ღმერთიდან მომდინარეობს. ხოლო, ვინაიდან ღმერთს არ დაუკანონებია გამოსახულების არც აკრძალვა და არც დაშვება, ადამიანებს უფლება არა აქვთ მისი დაშვების. შიიტებს კი კლერიკალების ყოლამ ადამიანური ინიციატივებისკენ უბიძგა: „ვუშვებ ან არ ვუშვებ გამოსახულებებს". ამან შექმნა ნიადაგი, რომელზეც შეიძლებოდა, ადამიანის სურვილი აღმოცენებულიყო, თუნდაც პროტესტის გამომხატველი. თუმცა, ღიად, შიიტებსაც კი არ დაუშვიათ გამოსახულებები. მხოლოდ ელიტას გააჩნდა ეს უფლება. მსგავსი ფენომენი, XVI-XVII საუკუნეებში, რიგ სუნიტებშიც გვხვდება, როცა მათ მინიატურებში გამოსახეს წინასწარმეტყველი. ესეც ელიტური უმაღლესობის პრივილეგია იყო.

**საბოლოოდ, ყოველივე ეს გამოსახულებას გადაჭარბებულ მნიშვნელობას ანიჭებს. მათ, ვინც ვერ იტანს წინასწარმეტყველის კარიკატურას, არ ესმით, რომ წინასწარმეტყველის გამოსახულება არ არის წინასწარმეტყველი?**

**ჟ. ბ.:** დიახ, მათ მიაჩნიათ, რომ მუჰამედის გამოსახულების გამარჯვება თავად მუჰამედის გამარჯვებაა. ისინი დარჩენილნი არიან იმ ინფანტილურ სტადიაზე, როცა სინამდვილე და მისი გამოსახვა ერთმანეთში ერევათ. ეს იმ პრიმიტივს ჰგავს, რომელსაც ჰგონია, რომ თუ მას სურათს გადაუღებენ, სულს წაართმევენ. ეს უზარმაზარი რეგრესია.

**გამოსახულებებზე ტაბუ, შეიძლება, გასაგები იყოს მორწმუნეებისთვის, მაგრამ რატომ ცდილობენ, ეს ყველას მოახვიონ თავს?**

**მ. შ.:** ისლამში არ არსებობს განსხვავება რელიგიურსა და პოლიტიკურს შორის. ეს მოდის იქიდან, რომ წინასწარმეტყველს არასდროს წარმოუსახავს საკუთარი თავი, როგორც მხოლოდ წინასწარმეტყველს, ან მხოლოდ ხელისუფალს, არამედ როგორც ორივეს ერთად. ის ერთდროულად იყო წინასწარმეტყველი, მეუღლე, პოლიტიკური ხელმძღვანელი, ცივილიზაციის დამფუძნებელი და ერთგვარი მსაჯულიც კი. ყველა ამ ატრიბუტის გამო, მუსულმანთა პურიტანული ნაწილი ვერ ახერხებს წინასწარმეტყველის დაშვებას სხვადასხვა როლში. იგი განსხვავდება იესოსგან, რომელიც სინმინდის განსახიერებაა, მაგრამ პოლიტიკით არ დაკავებულა, ადამიანთა წვრილ საქმეებში არ ჩარეულა, საომარი კამპანია არ უწარმოებია და ქალაქი არ დაუარსებია. ისლამში ყველა პრობლემა იქიდან მოდის, რომ წინასწარმეტყველი ადამიანთა საქმეებით დაკავდა და პოლიტიკურისა და რელიგიურის აღრევა გამოიწვია.

**ზოგი მუსლიმი პირადად შეურაცხყოფილია წინასწარმეტყველის კარიკატურებით. მათ არ ესმით, რომ რელიგიის დაცინვა და ადამიანებზე თავდასხმა არ არის ერთი და იგივე. როგორ ახსნიდით ამას?**

**მ. შ.:** ეს იმის შედეგია, რომ მუსლიმებში არ არსებობს ინდივიდის კონცეფცია. მათ თავი წარმოუდგენიათ, როგორც ერთი საერთო დოგმის ირგვლივ გაერთიანებულ ჯგუფს, თუნდაც ერთმანეთს მტრობდნენ. დასავლეთში, ლუმიერების საუკუნე და დამოუკიდებელ-პასუხისმგებელი ინდივიდის ცნების აღმოცენება გახლდათ გიგანტური ნაბიჯი. მუსლიმები კი სხვაგვარად ფუნქციონირებენ: თითოეული მოქმედებს, როგორც ერთი მთლიანობის ნაწილი. მას არ შეუძლია თქვას: „მართალი / მტყუანი ვარ", არც – „ვფიქრობ, რომ ჩემი მეზობელი მართალია / მტყუანია". ის ამბობს: „ჩვენ ვფიქრობთ, რომ...". შესაბამისად, ისინი წინასწარმეტყველის შეურაცხყოფას ყველა მუსლიმის შეურაცხყოფად აღიქვამენ.

ისლამი მანამ არ განვითარდება, სანამ ადგილს არ მოუძებნის ინდივიდს, როგორც ასეთს, შეურაცხმყოფელს, შეურაცხყოფილს, მკრეხელს, აგნოსტიკოსს თუ ათეისტს... როცა ისლამი აღიარებს ინდივიდს

ეროვნული ბიბლიოთეკა

მთელი თავისი არსით, ხელოვანს, გამომგონებელს, დაუმორჩილებელს, ეს იქნება მისი დიდი პროგრესი თანამედროვეობაში. მას ამაში ხელს სასულიერო პირები უშლიან, რომლებმაც მთელს მუსლიმურ სამყაროს თავს მოახვიეს დოგმატური, ფილოსოფიური, ზნეობრივი და სულიერი მიმართულება: ისინი უფრთხიან ინდივიდს, რადგან იგი წარმოადგენს საწინააღმდეგო ძალას, რომელსაც მათი მავნელი ძალაუფლების გაქარწყლება შეუძლია.

**ხშირად გაიგონებთ მუსლიმებისგან, რომ წინასწარმეტყველის გაშარჟება, მათთვის, დედის შეგინების ტოლფასია. რა ინტერპრეტაციას გაუკეთებედით ამას ფსიქიატრიული კუთხით?**

**მ. შ.:** ამასაც ინდივიდის ცნებასთან მივყავართ. არაბულ სამყაროში და, საერთოდ, ისლამში, ტაბუთა ტაბუა ქალის სექსუალობა, განსაკუთრებით – დედის. დასავლეთი ამ ტაბუსგან ინდივიდის ფენომენის წარმოქმნამ გაათავისუფლა. მუსლიმი კი იმ ბავშვივით იქცევა, ჯერ რომ „მე"-ს სტადიამდე არ მისულა: იგი მუდამ სრულ შერწყმაშია დედასთან და, შესაბამისად, საკუთარ რელიგიასთან. ეს ზედმიწევნით ჯოგური მოვლენაა.

**ჟ. ბ.:** იდეალები ჩვენი სიცოცხლის ბაზისია. თავისუფლება, სილამაზე, სამართალი... ყველა ეს ღირებულება დედასთან ურთიერთობიდან მომდინარეობს. პატარებს დედა დაგვეხმარა მის გათავისებაში. იგივე პრინციპი მოქმედებს რელიგიების შემთხვევაშიც. გარკვეულ მომენტში, საზოგადოება ადამიანის ირგვლივ სხვადასხვა იდეალს შემოკრებს: იესო, ბუდა თუ მუჰამედი არსებობის საწყისის გამოხატულებად იქცევიან. პრობლემა ისაა, რომ ასეთ ადამანში იდეალების აღრევა ტოტალიტარიზმს იწვევს. ამის თავიდან ასაცილებლად, საჭიროა, იდეალების განცალკევება პიროვნებებისგან. მაგალითად, საფრანგეთის რევოლუციის დროს, იდეალები – თავისუფლება, თანასწორობა, ძმობა – შექმნეს ყოველგვარი რელიგიისგან ცალკე, რათა ერს ლოგიკური სახე მისცემოდა.

საქმე, რომელსაც თქვენ „შარლიში" აკეთებთ, ნიშნავს, რომ შეგვიძლია, დავცინოთ მუჰამედს, რადგან გამოსახულებას ვაცალკევებთ პიროვნებისგან. თუმცა, მათთვის, ვინც იდეალურსა და ნამდვილს ვერა და ვერ არჩევს, ეს აუტანელია. ისინი ჯერ კიდევ არ არიან მზად ასეთი რევოლუციისთვის. მათთვის მუჰამედის შეურაცხყოფა მათი დედების შეურაცხყოფაა, ანუ იმ იდეალებისა, რაც მათ აცხოვრებთ.

**რა არის საჭირო იმ იდეის გასატარებლად, რომ რელიგიის კრიტიკა არ არის ინდივიდის კრიტიკა? სხვანაირად რომ ვთქვათ, რა არის საჭირო, რომ მკრეხელობის იდეა, ან, უფრო ზოგადად, სეკულარიზმის პრინციპი დაუშვას მუსლიმურმა სამყარომ?**




*– კი მაგრამ, სად არის 70 ქალწული?*
*– „შარლის" სტაფთან, ლუზერებო!*

**მ. შ.:** ეს ერთ-ერთი მთავარი გამოწვევაა. უნდა ავუხსნათ მუსლიმებს, რომ ჩვენ ადამიანები ვართ და გვაქვს ერთმანეთის დაცინვის უფლება, მათ შორის, საკრალური ფიგურებისა. ეს გულისხმობს რელიგიის გამიჯვნას პოლიტიკისგან. ამის მცდელობა უკვე იყო. თეოლოგმა ალი აბდერრაზიქმა 1925 წელს დაწერა ნაშრომი „ისლამი და ძალაუფლების საფუძვლები", სადაც იგი მიიჩნევს, რომ ერთმანეთისგან უნდა განვაცალკევოთ წინასწარმეტყველის ის სივრცე, რომელიც ღმერთს უკავშირდება, იმ სივრცისგან, რომელიც ადამიანებისკენაა მიმართული. მე ვეყრდნობი ამ თეოლოგის ნაშრომებს, ისევე, როგორც რენესანსის ხანის თურქეთს, სირიას და ეგვიპტეს, იმის ხაზგასასმელად, რომ დღეს სავსებით შესაძლებელია მუსლიმურ პროექტში სეკულარობის ჩართვა. სამწუხაროა, რომ მსგავსი იდეის მომხრეები ჯერ კიდევ უმცირესობაში ვართ.

*ესაუბრა ანტონიო ფისკეტი*
*„შარლი ებდო" №1179, 25 თებერვალი 2015*

## ღმერთი ბოლო სტადიაში

ეროვნული ასამბლეის მიერ სიცოცხლის დასასრულის შესახებ საკანონმდებლო ინიციატივის განხილვამ კიდევ ერთხელ გამოიწვია კამათი ევთანაზიასთან დაკავშირებით. ხუთი მაღალტიტულოვანი რელიგიური წარმომადგენელი ღიად დაუპირისპირდა „ღრმა და განუწყვეტელი გაყუჩებით" მოკვდინების იდეას. „პატივი უნდა ვცეთ თითოეული ადამიანის სიცოცხლეს", „სამოქალაქო კანონმა ადამიანს სიცოცხლე არ უნდა მოუსწრაფოს", „სიცოცხლის მიწურულს, ადამიანს უნდა იცავდეს მკვლელობის აკრძალვა", „ვისი ახელით ვაპირებთ სიკვდილის ჟესტის დაკანონებას?", – განაცხადეს მათ 10 მარტის „ლე მონდში".

კანონი, რომელიც ზოგადი უნდა იყოს, ვერასდროს მოგვცემს ისეთ იურიდიულ გამოსავალს, რომელიც სიცოცხლის მძიმე დასასრულის უამრავ სხვადასხვა შემთხვევას დააკმაყოფილებს. ევთანაზიის მომხრეებსაც და მოწინააღმდეგეებსაც, საკუთარი თეზისის გასამყარებლად, თავიანთი გულგამგმირავი ამბები გააჩნიათ, ცხარე ცრემლით რომ აგვატირებს. ერთნი შეუქცევადი ვეგეტატიური მდგომარეობიდან გათავისუფლებული პაციენტით გამოწვეულ შვებაზე მოგვიყვებიან, მეორენი კი მკვდრად მიჩნეულ ავადმყოფზე მოგვითხრობენ, რომელიც გაცოცხლდა და რომელსაც კანონის ზედმეტად ნაჩქარევი გატარება უბრალოდ მოკლავდა. ერთი რამ ცხადია, არავის სურს, ერთ დღეს, იძულებული შეიქნას, აპარატიდან გამორთოს ცოცხალი, თუნდაც სიკვდილის პირას მყოფი ადამიანი. ადამიანის ტანჯვაში მიტოვება ისევე ძნელია, როგორც აგონიაში მყოფის აპარატიდან გამორთვა.

ამიტომაა უსინდისობა ევთანაზიის გაიგივება მკვლელობასთან, როგორც ამას რელიგიები აკეთებენ. სიცოცხლის შეწყვეტა, როცა იგი ცნობიერებისგან, სიამოვნებისგან, სიცილისგან და ინტელექტისგან დაცლილა და მხოლოდ სუნთქვაშილა გამოხატება, კავშირში არ არის ყველა სასიცოცხლო უნარით აღჭურვილი ადამიანის მკვლელობასთან. სიცოცხლე არ არის მხოლოდ მექანიკა. სიცოცხლე არ შემოიფარგლება ფილტვებისა თუ სისხლის მიმოქცევის კარგი ფუნქციონირებით. სიცოცხლე, უპირველეს ყოვლისა, საკუთარი თავის გაცნობიერება და საკუთარი ყოფის თავად წარმართვაა. რელიგიებისთვის, საღი გონების მქონე და ჯანმრთელი ადამიანი იგივეა, რაც საკუთარი სიცოცხლის მართვის უნარების არმქონე. ეს ბევრს მეტყველებს იმაზე, თუ ადამიანის რა კონცეფცია გააჩნიათ რელიგიებს: ჯანმრთელი ადამიანი ისეთივე თვინიერი უნდა იყოს, როგორც ბოლო სტადიაში მყოფი.

მაღალტიტულოვანი რელიგიური წარმომადგენლების ეს განცხადება სხვა მხრივ არის გასაკვირი. არცერთი მათგანი არ ახსენებს მორწმუნისთვის ყველაზე მთავარს, მიწიერ ცხოვრებაზე ბევრად მნიშვნელოვანს: მარადიულ სიცოცხლეს. თუ მორწმუნეს რამის სწამს, ეს ხომ იმქვეყნიური ცხოვრებაა. სხვანაირად, მას არც ვუწოდებდით „მორწმუნეს". ესენი კი, თითქოს შიშობენ, ნათელმხილველობა არ დავწამოთ. ხუთიდან არცერთს არ უთქვამს რომ მიწიერი ცხოვრების შემდეგ, სიცოცხლე იმქვეყნად, შემოქმედის მფარველობის ქვეშ გრძელდება. არადა, რა მარტივი იქნებოდა ხმამაღლა ამის თქმა. ეს ხომ ევთანაზიის პრობლემას გადაჭრიდა. ვინლა დაგიდევდათ ინექციით სიკვდილს, როცა მთავარი მერე მოვიდოდა: მარადიული სიცოცხლე. ჯამში, ყოველივე ეს გვაეჭვებს იმაში, რომ ამ მაღალტიტულოვან რელიგიურ წარმომადგენლებს მართლა სწამთ იმის, რასაც ქადაგებენ.

ამ საკვირველების ახსნას ბიბლიაში ვპოულობთ. უთვალავია იმ მოწამეთა, მოციქულთა და მათ მიმდევართა რიცხვი, ვინც სასუფეველი დაიმკვიდრა ერთი პირობით: საშინლად დატანჯულიყვნენ. ამგვარად, ცოცხლად გატყავებულები, მაყალზე შებრაწულები, ლომის მიერ ცოცხლად შეხრამუნებულები ამშვენებენ ნიგნთა წიგნის გვერდებს. არ




როგორ მოვკვდეთ ღირსეულად!
– ...ან საერთოდ არ მოვკვდეთ!

არსებობს სიკვდილი ტანჯვის გარეშე, არც სასუფევე-
ლი – მონამეობის გარეშე. აი, რატომ არ სურთ რელი-
გიებს ევთანაზია. ქრისტესავით უნდა ვეწამოთ, რომ
სამოთხეში, ყოვლისშემძლეს გვერდით მივუსხდეთ.

მსგავსი რამ ანდრია მოციქულს გადახდა. იესომ
იგი ერთ ქალაქში გააგზავნა, რომლის მაცხოვრებლე-
ბი ანთროპოფაგები იყვნენ. მათ ისე სასტიკად აწამეს
მოციქული, რომ ამ უკანასკნელმა უფალს შესჩივლა:
„უფალო იესო ქრისტე, მაკმარე ეს ტანჯვა. გაიხსენე,
რომ შენ ჯვარზე სამი საათი გაატარე, მე კი მესამე
დღეა, რაც ამ ქალაქის ქუჩებში მათრევენ. მომეცი
ნება, უფალო, სული განვუტევო და შვება ვიგრძნო."
გარჯა ამაო გამოდგა, ანდრიას კიდევ მოუწია წამე-
ბის ატანა, სანამ სასწაულებრივად ფეხზე არ დააყენა
უფალმა. დღეს ამგვარი სასწაულები არ არსებობს და
მხოლოდ ევთანაზია ან ღრმა გაყუჩება თუ შეძლებდა
ჩვენი მამაცი ანდრიასთვის ტანჯვის შემსუბუქებას.

ევთანაზიის შემთხვევაში რაღა დარჩებოდა ტან-
ჯვებისგან დაცლილი ბიბლიისგან? იგი ხომ უშოკოლა-
დო შოკოლადის ეკლერს, უვაშლო ვაშლის ნამცხვარს
დაემსგავსებოდა. არავის დააინტერესებდა ჯვარზე
ევთანაზირებული ქრისტე. ჩაქოლვის ნაცვლად,
„ღრმა და განუწყვეტელი გაყუჩებით" მოკვდინებული
სტეფანე პირველმოწამეც მხოლოდ გულგრილობას
გამოიწვევდა. რელიგიისთვის ევთანაზია არა სიცოცხ-
ლისადმი ზიზღი, არამედ მისი ბიზნესის სიკვდილია.

რელიგიას ხომ ყოველთვის სძაგდა ის, ვინც
ბედისგან თავის დასაღწევად, თვითევთანაზიას მიმა-
რთა. წყეულმა იუდამ ლაჩრულად თავი ჩამოიხრჩო.
პილატემ გულში სატევარი დაიცა. მათ ჯოჯოხეთი
გარანტირებული აქვთ.

ღვთისმოშიში კი, პირიქით, ბედს ნეტარებით
ემორჩილება. ყველას გვახსოვს, სიცოცხლის ბოლო
დღეებში, როგორ მიაფორთხებდა საკუთარ, ჰაერ-
გამოცლილი საბურავივით მოფამფალებულ სხეულს
იოანე-პავლე II. მისი ტანჯვის ეს გულისმომკვლელი
სანახაობა აღტყინებულ სულებს აღაფრთოვანებდა.

ევთანაზიის დაკანონება ისევე რთული იქნება,
როგორც თავის დროზე ეს აბორტისთვის გართულდა.
ამის გასაპროტესტებლად რელიგიებს დღესაც იგივე
არგუმენტები მოჰყავთ: „სიცოცხლისადმი პატივისცე-
მა" თუ „უარი სიკვდილის კულტურას". დაბადებისას,
ისევე, როგორც მოკვდომისას, უნდა ვიტანჯოთ. იქ,
სადაც ტანჯვა არ არის, არც რელიგიაა. მით უკეთ-
ესი, რადგან იქ, სადაც რელიგია არ არის, ხშირად,
ბევრად უკეთ ცხოვრობენ.

*რისი*

*„შარლი ებდო" №1182, 18 მარტი 2015*



ლოცვა კლავს. თამბაქოსავით, გინდ აქტიური
მორწმუნე იყავი, გინდ პასიური – ღვთისმოსავი,
გამონაბოლქვს შეისუნთქავ – ლოცვა ძალიან საზიანოა
ჯანმრთელობისთვის. ამას ყოველდღე ვხედავთ ახალ
ამბებში. ბევრი მისგან კვდება კიდეც, და ხშირად -
ყველაზე არასასიამოვნო ფორმებში. ამიტომ აუცილე-
ბლად უნდა გავითვალისწინოთ კაროლინ ფურესტის[30]
ახალი ესეს („ქებათა ქება მკრეხელობას[31]") სათაურში
ფარულად გაცემული რჩევა, რომლის მიღმა, ავტორი,
ფაქტობრივი არგუმენტების მოშველიებით, გვიხსნის,
თუ რატომ არის სასიცოცხლო მნიშვნელობის ის, რომ
არაფერი დავუთმოთ რელიგიურ ტოტალიტარიზმს,
რომლისთვის ტყვია ფანქრის ტოლფასია. საჭიროა
არა მხოლოდ მკრეხელობის უფლების მოთხოვნა,
არამედ იმის მტკიცებაც, რომ ეს უფლება უნივერ-
სალურია და თავისუფლების რეალიზაციისთვის აუ-
ცილებელი.

მეტიც, იგი მორწმუნეებსაც სჭირდებათ. ღმერ-
თის რწმენა არ არსებობს მკრეხელობის გარეშე.
სინამდვილეში, მხოლოდ მორწმუნეები მკრეხელო-
ბენ: იმისთვის, რომ ვინმე ან რამე შეურაცხყო, ან,
თუნდაც, გააქილიკო, მის არსებობასა და მის სინამ-
დვილეში უნდა იყო დარწმუნებული. ათეისტები არ

[30] **Caroline Fourest – ჟურნალისტი, ესეისტი**

[31] **Éloge du blasphème, éditions Grasset, 2015**




*– ეს გაზეთი მართლა ნაგავია!*

მკრეხელობენ. როცა სუფრაზე კარგი ღვინით სავსე ჭიქა წააქცევათ, ისინი ისევე ამბობენ: „ამის ღმერთი არ იყოს", როგორც იტყოდნენ: „ამის დედა ვატირე". ხოლო როცა ღვთაებებს უხერხულ პოზებში ხატავენ (მაგალითად, კურტუმოში ფრთით), ისინი არაფერს აკეთებენ იმისგან განსხვავებულს, რასაც რომელიმე მეფის, პრეზიდენტისა თუ მინისტრის გამოსახულების ხატვისას იზამდნენ. რადგან მკრეხელობა სხვა არაფერია, თუ არა ძალაუფლების გაპროტესტების შვებისმომგვრელი გამოხატულება. აქ – აშკარად ღმერთის ძალაუფლებისა, რომელსაც, შეგახსენებთ, მხოლოდ მორწმუნეები აღიარებენ.

ამიტომაა სიბრიყვე იმის მტკიცება, რომ მკრეხელობა მორწმუნეთა ერთობლიობას შეურაცხყოფს. ჯერ ერთი, იმიტომ, რომ ეს უკანასკნელნი თავად მოიხმარენ მას დიდი დოზით. მეორე, იმიტომ, რომ თავი შეურაცხყოფილად მხოლოდ მაშინ შეიძლება ვიგრძნოთ, როცა შეურაცხყოფის ან დაცინვის საგანი პირადი ან ინტიმურია. მკრეხელობის სამიზნე კი არ არის თითოეული მორწმუნის ინტიმური ღმერთი, არამედ ღმერთის საჯარო სახე, სახე იმ დოგმის ხორცშესხმისა, რომლის მიზანია, თავს მოეხვიოს უფლის ცხვართა ერთობლიობას და, ყველაზე ბრაზიანი რელიგიების შემთხვევაში, იმათაც, ვინც ფარას არ უერთდება. როცა პირფერი პაპი ფრანცისკე მკრეხელობასა და საკუთარი დედის შეურაცხყოფას შორის სავალალო პარალელს ავლებს და თან „ტუტუც ურჯულოთა ყბის მომტვრევით" იმუქრება, მას აშკარად ცნებები აქვს არეული. ცხადია, შეიძლება, თავი შეურაცხყოფილად იგრძნო, როცა დედას გიგინებენ, მაგრამ თავის შეურაცხყოფილად გრძნობა მაშინ, როცა მსოფლიოს ყველა დედას აგინებენ, ეს ოიდიპოსის კომპლექსის ძალიან გაბერვას ნიშნავს.

სამაგიეროდ, ნათელია, თუ რატომ აცოფებს მკრეხელობა რელიგიურ ავტორიტეტებს: იგი არყევს იმ ღვთაებრივ ძალაუფლებას, რომლის მარადიულ და უპირობო გამტარებლებად ისინი თავიანთ თავებს წარმოგვიდგენენ. მკრეხელობის აკრძალვა ფარდას ხდის რელიგიური ძალაუფლების შეუქცევადად ტოტალიტარულ ბუნებას. ჩრდილოეთ კორეას შრომაგასწორების ბანაკები აქვს, რელიგიებს – მკრეხელობა. ორივე შემთხვევაში, სასჯელის მუქარის ქვეშ, ინდივიდებმა თავიანთი თავი მთელი არსებით უნდა გააიგივონ ძალაუფლებასა და მის სიმბოლოებთან, და თავი შეურაცხყოფილად იგრძნონ, როცა ამ ძალაუფლებას დასცინიან ან ემუქრებიან.

დემოკრატიის პირობებში, მკრეხელობის უფლება დაცული და შენარჩუნებული უნდა იქნას, როგორც ეს ხდება ძალაუფლების მშვიდობიანი გაპროტესტების ყველა დანარჩენი ფორმის შემთხვევაში. ეს უფლება არც „კულტურული იმპერიალიზმის" გამოხატულებაა და არც ფრანშუიარული პარტიკულარიზმის ქედმაღლური და უთანასწორო გამოვლინება, არამედ, უბრალოდ, სიტყვისა და აზრის თავისუფლების ერთ-ერთი მრავალი ფორმათაგანი. ამგვარად, იგი უნივერსალური პრინციპია, იმისგან დამოუკიდებლად, მოსწონთ თუ არა ეს სამლოცველოს რელატივისტებს, რომლებიც თვლიან, რომ მოსახლეობის ზოგი კატეგორია, მათივე „კულტურიდან" გამომდინარე, მოკლებული უნდა იყოს ადამიანის ზოგიერთ უფლებას.

*ჟერარ ბიარი*

*„შარლი ებდო" №1189, 6 მაისი 2015*

## მეტყველების საფუძვლები ყველა სართულზე

როცა ფრანგული უკიდურესი მემარჯვენე პარტიის დამფუძნებელი აცხადებს, რომ საფრანგეთი, გათავისუფლების შემდეგ, პეტენს მკაცრად მოექცა, კიდევ დარჩა ხალხი, ვისაც ვერ გაუგია, ზღვარს გადასვლაა ეს თუ სტრატეგია. უშიშროების ყოფილი, ალჟირმოვლილი ოფიცერი ყოველგვარი ცენზურისა თუ მრჩეველთა აზრის გათვალისწინების გარეშე გვაცნობს თავისი პარტიის მოძღვრებას. მისი ქალიშვილი კი ამ უხერხულობიდან თავის დაძვრენას ცდილობს, თუმცა, იძულებული ხდება, მაინც დაგმოს მსგავსი განცხადებები, ოღონდ – არა მათი არსი, არამედ ფორმა: მამამისმა არ გამოიყენა წინასწარ დადგენილი მეტყველების საფუძვლები, რომლებიც მათი პარტიის ღვარძლიან გზავნილებს მოაპირკეთებდა.

ჩვენ ვიცნობდით „ხის ენას", რომლის დანიშნულება უხერხულ შეკითხვებზე პასუხის არგაცემაა. ასევე ვიცნობდით „ახალმეტყველებას", რომლის მიზანია, მოვლენებს არ დაარქვას თავიანთი სახელი. დღეს კი გვაქვს „მეტყველების საფუძვლები", რომელიც სათქმელის გარკვეული ფორმით თქმას გვაიძულებს. „ახალმეტყველება" ეფუძნება გამარტივებულ ლექსიკასა და შებრუნებულ აზრს, რაც სახელმწიფოსადმი კრიტიკულ დამოკიდებულებას ამცირებს: „ახალმეტყველებაში" იყენებენ გამოთქმას, „მშვიდობის სამინისტრო", რათა ილაპარაკონ „ომის სამინისტროზე"[32].

ნაციზმის აღმავლობის წლებში, გერმანელმა ფილოლოგმა, ვიქტორ კლემპერერმა შეისწავლა ენობრივი კონსტრუქცია, რომელსაც LTI უწოდა, Lingua Tertii Imperii, „მესამე რაიხის ენა". ყველა იმ ახლადამოცენებული სიტყვის აღრიცხვით, რომლებიც ახალ იდეებს „მისაღებს" ხდიდა, კლემპერერმა

[32] ჯორჯ ორუელი, „1984"

აჩვენა, თუ როგორ აისახა LTI-ს, როგორც პროპაგანდის სამსახურის მიერ შექმნილი და უშიშროების ორგანოს მიერ მეთოდურად კონტროლირებული ენის, სიტყვიერი ძალადობა გერმანიაში მიმდინარე ყველა მოვლენაზე. ნაცისტებმა ენასა და ადამიანებს ერთდროულად შეუტიეს. მათ დაამკვიდრეს შეკვეცილი და ბრჭყალებში ჩასმული სიტყვების ხმარება. ფსიქოანალიტიკოსი და ოსვენციმს გადარჩენილი, ანლიზ სტერნი მიიჩნევდა, რომ შეკვეცილი სიტყვების ხმარების დღევანდელი მზარდი ტენდენცია ნაცისტური პროექტის პირდაპირი მემკვიდრეა[33]. როცა რადიოში, ჟურნალისტი ამბობდა: „დღეს საფრანგეთისთვის სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია ESS"[34], ანლიზ სტერნს ესმოდა: „დღეს საფრანგეთისთვის სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია SS"[35]. როლან ბარტს კი მიაჩნდა, რომ ზოგადად, ენა არც რეაქციულია, არც პროგრესული, არამედ „უბრალოდ, ფაშისტური; რადგან ფაშიზმი თქმის აკრძალვა კი არ არის, არამედ თქმის იძულება"[36].

მიუხედავად იმისა, რომ ფსიქოანალიტიკოსი ტონი ლენე „ჩვენს საკუთარ ფაშიზმთან ბრძოლის" აუცილებლობაზე ლაპარაკობდა, დღევანდელი პოლიტიკოსები აღარც კი მალავენ თავიანთ თანამშრომლობას კომუნიკაციის სპეციალისტებთან, რომლებიც მათ უდგენენ მეტყველების საფუძვლებს, ამა თუ იმ საკითხზე საუბრისთვის აუცილებელი სიტყვების სიას და რისკის შემცველი ლექსიკის გამომრიცხავ დასაბუთებებს. პოლიტიკაში სიტყვა რომ კომუნიკაციამ ჩაანაცვლა, ეს არახალია, მაგრამ დღეს, მეტი სისწრაფისთვის, შეკვეცილ სიტყვებსა თუ ენობრივ სიიოლეებს თითოეულ პროფესიასა და დარგში იყენებენ, დიახ, ფსიქოანალიზშიც კი. სიტყვების ეს გრეხა-ტრიალი არ ხდება თავად მოვლენების გრეხა-ტრიალის გარეშე. თვითონ სიტყვაც „ფსიქოანალიზი", რომელიც ძალიან საკამათო გახდა, უფრო და უფრო უთმობს ადგილს სიტყვას „ფსიქოთერაპია", ან შეკვეცას PIP[37]. ეს უკანასკნელი ფსიქოანალიზის ერთგვარი Canada Dry[38]-ია, რომლის ამბიცია აბსოლუტურად მორგებითია. ფროიდი წერდა, რომ „თავიდან, ვთმობთ სიტყვებს, შემდეგ კი, ნელ-ნელა, საგანსაც".

და ამ დროს, საგაზეთო კარიკატურებს აფამაშაულებენ ძალმომრეობაში... მათ ავტორებს სასაცილოდ არ ჰყოფნით არანაირი „ახალმეტყველება". ისევ როლან ბარტი: „ყველაფერი, რასაც ვკითხულობთ და რაც გვესმის, საბურველში გვახვევს: ეს ლოგოსფეროა". ბარტი ასევე საუბრობს აუცილებელ ძვრებზე, რომლებმაც უნდა „შეარყიოს სიტყვების გაწონასწორებული გროვა და დაარღვიოს ფრაზების წესრიგი"[39]. ფსიქოანალიზს შეუძლია მსგავსი რყევების გამოწვევა, ვინაიდან იგი უპირატესობას თავისებურ, არაერთგვაროვან სიტყვიერებას ანიჭებს. ხელოვნებაც, ბარტის აზრით, „ბზარს უჩენს მეტყველების ქერქს და ხსნადს ხდის ლოგოსფეროს მომწამვლელობას". ბარტი იმავე ტექსტში ამტკიცებს, რომ რეაქციულ დისკურსზე შეტევის მისატანად საჭიროა მისი დანაწევრება. ამ ხრივ, იცოცხლეთ, საქმე არ მოგვაკლდება: დღეს ხომ ყველა სართულზე მეტყველების საფუძვლები რიგდება.

*იან დენერი*

*„შარლი ებდო" №1189, 6 მაისი 2015*

## ეს ცუდად გაგებული სიტყვები

პარტიას „კავშირი სახალხო მოძრაობისთვის"[40] ამიერიდან „რესპუბლიკელები" ერქმევა. ეს დიდ მღელვარებას იწვევს მემარცხენეებში, იმ მოტივით, რომ მთავარი მემარჯვენე პარტია, ამ ახალი სახელის არჩევით, უტიფრად ითვისებს ტერმინს, რომელიც თავისი განსაზღვრებით, თითოეული მოქალაქის საკუთრებაა. ვერაფერს იტყვი. თუმცა საკითხავია, ესმის კი ეს ტერმინი ყველას ერთნაირად?

რაღა დაგიმალოთ, მე არ მივეკუთვნები მათ რიცხვს, ვისაც მემარჯვენეების მიერ ამ სახელის დარქმევით ჩატარებული კოსმეტიკა შოკში აგდებს. რატომ? იმიტომ, რომ უკვე მომაბეზრებელი გახდა ეს პირმოთნე ერთსულოვნება, რომელიც რესპუბლიკის წამდაუწუმ ხსენებაში მდგომარეობს, მით უმეტეს მაშინ, როცა ამ უკანასკნელის საძირკველი დღითიდღე იბზარება. „რესპუბლიკა", ისევე, როგორც „სეკულარობა", „თანაცხოვრება", „კულტურათაშორისი დიალოგი" და კეთილი ზრახვებით სავსე რამდენიმე სხვა ტერმინი, დიდ ორაზროვნებას მალავს, რომლის გამომზეურებას მემარცხენეები ჯიუტად ერიდებიან.

მოდით, განვავრცოთ. 1890 წლამდე, სანამ მონარქიის აღდგენის ყველა იმედი დასამარდებოდა,

[33] Anne-Lise Stern, Le savoir-déporté, Le Seuil, 2004

[34] Économie Sociale et Solidaire – „სოციალური და სოლიდარული ეკონომიკა"

[35] „შეუცმტაფელი"

[36] როლან ბარტი, გახსნითი ლექცია „კოლეჟ-დე-ფრანსში", 7 იანვარი 1977

[37] Psychothérapie d'Inspiration Psychanalitique – ფსიქოანალიტიკური შთაგონების ფსიქოთერაპია

[38] Canada Dry – წვენების ამერიკული ფირმა, რომელიც ნამდვილის მსგავსი და სინამდვილეში უხარისხო პროდუქტის სიმბოლოდ იქცა.

[39] როლან ბარტი, „ბრეხტი და დისკურსი", 1975

[40] L'UMP (L'Union pour un mouvement populaire) – „კსმ" („კავშირი სახალხო მოძრაობისთვის")

რესპუბლიკელობა საბრძოლო იარლიყი გახლდათ. ეს იყო მეფის ხელისუფლებასთან დაპირისპირებული რესპუბლიკური წყობა, კათოლიკურ სკოლასთან დაპირისპირებული „სამოქალაქო განათლება", ვერსალელებისა და მათი მემკვიდრეების კონსერვატიზმთან დაპირისპირებული „სოციალური რესპუბლიკა". ასე გაგრძელდა საფრანგეთის მესამე რესპუბლიკის მთელი არსებობის მანძილზე. წყალმა ამღვრევა ვიშის რეჟიმიდან დაიწყო. პეტენმა, რაღაც მანქანებით, მოახერხა ისეთი წყობის შექმნა, რომელსაც რესპუბლიკურს არავინ დაუძახებდა, თუმცა სალაზარის პორტუგალიასავით, ფორმალურად სხვა არაფერი იყო, თუ არა რესპუბლიკა. 1945 წლიდან, ყველაფერი კიდევ უფრო „ნათელი" ხდება: ირგვლივ მხოლოდ გულზეხელმიბჯენილი, თანდაყოლილი სოციალური მგრძნობელობის მქონე, გულწრფელი რესპუბლიკელები არიან, თავი რომ პროგრესისტებად მოაქვთ, მიუხედავად აშკარად საწინააღმდეგო რეალობისა.

ყოველივე ამის შემდეგ, ერთი მემარჯვენე პარტიით მეტი მიისაკუთრებს „რესპუბლიკას", თუ ნაკლები, ეს მხოლოდ ერთ სავალალო ფაქტს ადასტურებს: საფრანგეთში, გათავისუფლების შემდეგ, ვერავინ გაბედა, თავისი პარტიის სახელწოდებაში შეეტანა სიტყვები „მემარჯვენე" და „კონსერვატორი". თუ ორივე ეს ვოკაბულა სხვა ქვეყნებში წარმატებით სარგებლობს (მაგალითად, დიდ ბრიტანეთში), საფრანგეთმა ისინი ჯერ კიდევ რეზისტანტული ერთსულოვნებას დაუსამარა.

რა პოლიტიკური პასუხის გაცემა შეუძლიათ მემარცხენეებს ამ „რესპუბლიკელებისთვის", რომლებიც ნიკოლა სარკოზის კანდიდატურას გვიმზადებენ მომავალ საპრეზიდენტოზე? იქნებ, ჯერ, ფრანგებისთვის აეხსნათ, რომ ისინი და ყოფილი „კსმ" არ გულისხმობენ ერთსა და იმავე რესპუბლიკას! რომ უზარმაზარი განსხვავებაა პლებისციტური სახის რესპუბლიკურ წყობასა და ისეთ დემოკრატიას შორის, რომლის დროს, მოქალაქეს გადაწყვეტილებების დასადასტურებლად კი არ ეძახიან, არამედ ადგილობრივი პროექტების შექმნასა და მათი ბიუჯეტის დადგენაში მონაწილეობის მისაღებად!

„რესპუბლიკის" მისაკუთრების დეკონსტრუქცია იმის ხაზგასმაც არის, რომ ხალხისადმი მონოდებების მიღმა, რაც სარკოზიზმის საფირმო მარკაა, „ფუკეტსის[41]" პირველყოფილი ცოდვა და ზიზილ-პიპილებით დაჟინებული გატაცება იმალება. ამას უნდა დაუპირისპირდეს სადა და უბიწო მემარცხენეობა, რომლისთვის უცხოა კასტობრივი სოციალური სისტემა. ეს კი, თავს ნუ მოვიტყუებთ, არსებულ მემარცხენე ტრადიციებში, გარღვევას მოითხოვს. თუ ეს გარღვევა არ მოხდა, ისეთი მშვენიერი სიტყვაც კი, როგორიცაა „რესპუბლიკა", უშინაარსო ენობრივ აკვიატებად იქცევა.

ამ შეუმდგარი კონსენსუსების ხანაში, მთავარი პრობლემა პოლიტიკური სპექტრის მიერ „საერთო ღირებულებებზე" შეუთანხმებლობაა. თუ ჩვენი რესპუბლიკა არ არის „რესპუბლიკელების", მაშინ თავად მარცხნივ, ორაზროვანი ხომ არ ხდება ბევრი ტერმინი, „სეკულარობა" იქნება ეს თუ „თანაცხოვრება", რომელთაც წამდაუწუმ იყენებენ ანტიკომუნიტარისტები?

ყოველივე ამას ნათელი უნდა მოეფინოს!

*ჟან-ივ კამიუ*
*„შარლი ებდო" №1192, 27 მაისი 2015*

***ფრანგულიდან თარგმნა***
***ბაჩანა ჩაბრაძემ***




*ოლანდი: – „რესპუბლიკელები" ყველას საკუთრებაა.*
*სარკოზი: – „სოციალისტები" კი – მხოლოდ თქვენი.*

[41] Le Fouquet's – შანზ-ელიზეზე მდებარე, ისტორიულ ძეგლებში აღრიცხული რესტორანი, რომელშიც სარკოზიმ, ოჯახთან და მეგობრებთან ერთად, 2007 წლის საპრეზიდენტოზე გამარჯვება აღნიშნა. ამ ფანფარონული ეპიზოდის შემდეგ, სარკოზის გარემოცვის აღსანიშნავად, დამკვიდრდა გამოთქმა „ფუკეტსის ბანდა".

ეროვნული
ბიბლიოთეკა



# სილამაზის პროფილაქტიკა ანუ „ცუდი მხატვრობის“ აპოლოგია

*დავით ანდრიაძე*

ამ რადენიმე წლის წინათ, რალაც ყურითმოთრეულ თბილისურ არტბაზრობაზე ერთმა საცოდაობამ მიიქცია ჩემი „მაღალი ყურადღება“: მიქელანჯელო კარავაჯოს ცნობილი ავტოპორტრეტის უგერგილო ასლი ჩამოეკონწიალებინათ; დილეტანტურად გადმოხატული, ანტიკვარიზებულ ჩარჩოში ჩასმული და სამუზეუმო ექსპონატის „სტილში“ – თითბრის ფირფიტაზე ამოტვიფრული წარწერით გამშვენებული...

ღმერთო, რა იყო ეს – apropriational art, ტრანსავანგარდი თუ?..

არც ერთი, არც მეორე და არც...

ელემენტარულად, „ცუდ მხატვრობადაც“ კი არ ვარგოდა: „ძალიან, ძალიან, ძალიან ცუდ ხელოვნებადაც“ კი ვერ გაასაღებდი...

არადა, ყოფილი „დახურული ბაზრის“ (ასე ეძახდნენ ჩემს ბავშვობაში) სუპერმარკეტიზებულ სივრცეში „ღიად“ გამოიტანეს მაღალი კულტურული ღირებულების მქონე არტეფაქტის აბსოლუტურად არაღიარებული „ასლი“.

თანაც ისე, რომ ორგანიზატორებს (თავი კურატორებად რომ მიაჩნდათ), წარმოდგენაც არ ჰქონდათ, თუ რა საყურადღებო „ფენომენს“ გაუწიეს ლობირება.

არც გვარი მახსოვს ავტორისა და არც სახელი.

თავის დროზე უნდა გამეკითხა და ჩვეული თანაგრძნობა მეთქვა: ასე („ჩემო მანასეო...“), ასე განაგრძე და რაც შეიძლება მეტი აკეთე „ცუდი მხატვრობა“; ოღონდ, კარგად აკეთე; შეძლებისამებრ კარგად...

ანდა, ღვთაებრივმა აკაკიმ რომ მისწერა ვინმე ვარდენ ლვანკითელს, იმის პერიფრაზით:

„ხატე, ხატე, ჩემო (...) თუ მხატვარი არ გამოხვალ, ხატვას მაინც ისწავლიო.“



არადა, ეტყობა, Contemporary art-ის ცოდვით სავსემ, საერთოდ მიანება ამ საქმეს თავი.

მაინც რამ გამახსენა ქართველი „კარავაჯისტი“?

რამ და, ოლეგ ტიმჩენკოს „ექსპოზიციამ“, სახელწოდებით „ПОР-გალერისტები“.

ცხადია, ამ „სეირს“ წინ შესაბამისი პროექტი უძღვოდა.

აბა, აბლა უპროექტოდ რომელი თავმოწონე მხატვარი დახატავს?!

ვერნისაჟამდე დაიყარა ქალაქში ხმები...

შევედი ახორხოცებულ გალერეაში, ჩემი გამჭრიახი თვალი შევავლე ერთ „ფერწერულ ტილოს", მეორეს, მესამეს... და „არაჩვეულებრივი გამოფენა" გამახსენდა – „ჩვენ კი გვითხრეს, შიშვლები გააკეთესო".

გამოვიკვლიე რა საქმის ვითარება, დავასკვენი, რომ საქმე სხვაგვარადაა!

ტიმჩენკოს მხოლოდ სანახევროდ გაუხდია თავისი მოდელები – დიაცი გალერისტები; ზოგი ლამაზი, ზოგიც ალტერნატიული სილამაზის პატრონი...

ხო – მართლა, ერთი მამრიც ერია; თავისთავად ძალზე სიმპათიური ადამიანი და მხატვრობის თავგადაკლული ქომაგი.

ტიმჩენკომ თავისი „მოდელები" სოცრეალისტური კიჩის უნიფორმებით შემოსა, მათი დაკვეთილი სექსუალობა კი მისთვის დამახასიათებელი მოკრძალებით შემოგვაპარა.

აი, თურმე, როგორ წარმოუდგენია მხატვარს თავის მარჩენალ გალერისტთა (თუ ექსგალერისტთა) იმიჯები!

იმიჯები „სავსე ქართული პატიოსნებით"...

ესპანური „ბადაგონეს"-ის ადეპტი ველასკესისეულ ინფანტათა ფარჩა-ჩაატლასებულ „ვერტუგადენებს" რომ დახელოვნებულად ხატავდა, ეს კი ვიცოდი, მაგრამ დაცთა ღამის საცვლების მატერიას თუ ასე ხელშეუხებლად დატოვებდა, ეგ კი არ მეგონა!

მოკლედ, ვერანაირ მანუალურ ნაწერზე, როგორც არტე-ფაქტზე ვერ წავასწარი!

ყველა ნამუშევარში ალიბი დაიტოვა: მძიმე და მავნე შრომისაგან დაღლილი ქალები ცონარე მდგომარეობებში გაყინა და შეეცადა, მათი ქალური მიმზიდველობა ძირითადად წამოწოლილი პოზებით მიეპყრო.

არადა, იქნებ, სწორედ „შრომითი თემა" გამომდგარიყო უფრო უპრიანი და ეფექტური.

მახლას, ვერც „vita contemplativa" დავლანდეთ ტიმჩენკოსეულ „მახებში" და ვერც „vita activa".

სამწუხაროდ, ვერც ცოცხალი სხეულიდან მომდინარე წინააღმდეგობა განვჭვრიტეთ და ვერც ტანი-სიმულაკრის ვირტუალობა.

„სასაცილოა აქ ეს ფარისევლური „სამწუხაროდ"! – ესე იტყოდა ვლადიმერ ილიას ძე ლენინი.

ისე, თავისებური „აზღუდი" მაინც გააპარა „ისტატმა", რითაც პირადად მე მომცა საბაბი, თვალი გამეპარებინა „ავტორის" არაცნობიერი ანტიპათიისადმი.

ნუ შეცბებით, ბატონებო, დამშვიდდით:

მე ახლა ვლაპარაკობ ანტიპათიაზე – არა კონკრეტულად, ოლეგის „ერთი შეხედვით" „სიმპათი-ზანტი" არსებებისადმი, არამედ მათი პირმშვენიერობის მიღმა გარინდებული საქმიანი ფლუიდისადმი.

მეედველობაში მაქვს თავად საგალერეო (თუ საკურატორო) პრაქსისი, მხატვარს „მონურ შრომას" რომ აიძულებს; თანაც, ისე, რომ ეს უკანასკნელი, რომ იტყვიან, აზრზეც არ არის, თუ რა „შავ დღეშია" ჩაგდებული.

სხვა ამბავია, რომ ტიმჩენკოსეული გალერეის „თოფ-მოდელებსაც" ანალოგიურ შრომად უღირთ თავიანთ უმადურ, მაგრამ საყვარელ საქმეში მოპოვებული წარმატება.

აბა, სხვანაირად როგორ გახდებოდნენ მხატვრის ყალმის ღირსნი?!

კერძო-საგალერეო სექტორი სულაც არაა ხელწამოსაკრავი ინსტიტუცია და ტიმჩენკოს „მოდელთაგან" ერთი-ორი (ან სამი-ოთხი) მართლაც იმსახურებს ბარაქალას.

და ისინი მაინც გვინდოდა, გვეხილა ზეთში კარგად ნაწერი სახით.

არც იმას დავმალავ, რომ ჩვენი გალერეები ჯერაც ვერ მიუახლოვდნენ იმ სტანდარტებს, რომ არტკრიტიკამ თავისი ვექტორი შეცვალოს და თავად „არტის" კრიტიკიდან ინსტიტუციის კრიტიკად იქცეს.

ბარაქალა ეთქმის მხატვარსაც, რომელმაც, უნებლიეთ, ასეთი „ცუდი მხატვრობით", გალერისტთა გემოვნების თავისებური მონიტორინგიც წარმოგვიდგინა – გადაამოწმა, ვის მოეწონებოდა მისი „უსულგულო" ნახელავი და ვის – არა!

ვიმეორებ, სხვა ამბავია, რომ ტიმჩენკო უკვე საქმაოდაა განაფულ-დახელოვნებული „ცუდი მხატვრობის" ამ – ისევ



ეროვნული ბიბლიოთეკა

ვიმეორებ – პრინციპულად „ცუდი ხელოვნების“ საშურ საქმეში და ბეჯითად გვთავაზობს ამგვარი მხატვრობის ფაბრიკაციებს.

ტიმჩენკოს სასარგებლოდვე ვიტყოდი, რომ გამოფენილი „ფერწერა“ „ფინთი“ კი იყო, მაგრამ მაინც აშკარად სჯობდა იმგვარ კოლორისტულ უმწეობას, სხვები საღებავების ტკეპნითაც რომ ვერ აღწევენ.

წელან „აზლუდი“ ვახსენე.

ჟორჟ ბატაიც სწორედ ამგვარ „აზლუდებზე“ (ტიმჩენკოს ნახევარნიუებში მიმზიდველი საცვლებით, ბიკინ-„ლიფჩიკებით“ რომაა ჩანაცვლებული) წერდა: „ერთი პაწია ნიშანიც კი, მატერიალურ მონობას რომ გვახსენებს, საკმარისია, რათა ის იქცეს წინაღობად სურვილის (წაიკითხე: ლიბიდოს! დ.ა.) გზაზე.

და თუკი უგვანობა („სიმახინჯეს“ არ ვხმარობ!) ხშირად დაღლილობის, სიმძიმილის, დაქანცულობის ნიშანია, სამაგიეროდ, „სასურველი“ სილამაზე მუდამ პირუკუა – ცოცხალ-ცინცხალი მფეთქავი ენერგიის საზრისით გვიპყრობს...

ისეც ხდება, რომ სილამაზე შრომასთან თანაარსებობს, უგვანობა კი, უქნარობასთან...

აი, შრომა კი, მაინც ვერასოდეს ვერ უზავდება სილამაზეს.

ამიტომ, თუ გვინდა, ლამაზებად დავრჩეთ მარად, თავი დავანებოთ გარჯას.

მოკლედ, ტიმჩენკომ თავად იკისრა კურატორობა, ბორის გროისის სტრატეგია გაატარა და თავისი „უხარისხო პროდუქციით“ მოგვევლინა „მხატვრად, როგორც ცუდი ხელოვნების კურატორად“.

ცუდი (თუ კარგი) ისაა, რომ თავად ვერ გაარკვია, ცუდ მხატვრობას „აკეთებდა“ თუ კარგს; გააზრებული რომ ჰქონებოდა „ცუდი ხელოვნების“ ანატომია, მაშინ კიდევ უფრო ცუდად დახატავდა თავის НОР-გალერისტებს.

თუმცა, ამაზე უფრო ცუდი ხატვა, საბედნიეროდ, მგონი, არ შეუძლია.

და ამიტომაცაა კარგი მხატვარი; „ცუდი მხატვრობის“ კარგი მხატვარი.

ახლა კი, განვაზოგადოთ:

დღევანდელი ქართველი მხატვარი, ჯერჯერობით მაინც, საბჭოთა ხელოვნების მემკვიდრეა.

საბჭოთა მხატვართა მთელი თაობები კი, არა იმდენად ხელოვნების ისტორიის მიღმა, არამედ „სხვა“ ხელოვნების ისტორიაში ილვწოდნენ.

დისიდენტურმა ჟესტმა რა ხანია, ჩვენს არტრეალობაშიც ფასი დაკარგა.

რაც შეეხება ყბადაღებულ დასავლეთს, მისთვის არაოფიციალურ ხელოვნებას მით უფრო ნეგატიური რეაქცია ახლავს.

არაოფიციალური მხატვარი ხარ? მაშასადამე, დისიდენტი ყოფილხარ!

დისიდენტი ანუ პოლიტიკანი.

პოლიტიკა კი ხელოვნების საქმე არაა.

ასეთია დასავლური ლოგიკა.

თანამედროვე ქართული სახვითი ხელოვნების (და არა „არტის“) პრეზენტაციის რეჟიმი ისევ ანტიისტორიულობაა.

ანტიისტორიულობა და უტოპიურობა.

არადა, ეს უტოპიურობა ზოგიერთმა, თავისთავად, კარგმა არტისტმა მშვენივრად მოირგო, როგორც „ბომჟის“ ტანისამოსი.

ასეთ „ბომჟებს“ დელიკატურად ინტერტექსტუალისტებად მოვიხსენიებთ ხოლმე.

ერთი ნაბიჯიც და, ასეთი „ინტერტექსტუალისტი“ ლატაკ პოსტსაბჭოთა „ინტურისტად“ შეიძლება მოგვევლინოს.

რა უჭირს, როცა ასეთი „უსახლკარო“ კარგი არტისტიცაა; მაგრამ როცა სოციალური ინვალიდი იწყებს არტისტობას (თუ მედიაარტისტობას), ალბათ კარისკენ უნდა მიუთითო, ხომ?!

თუმცა, სადაა კარი?

ის მაინც ვისწავლოთ, რომ კარგად მოვირგოთ ნიღაბი ტრივიალური, საშუალო, მაგრამ, წარუმატებელი მხატვრისა, ანუ „პატარა ადამიანის“ თავისებური ვარიანტი...

აი, ამისათვის კი, კაბაკოვი უნდა იყო; ილია კაბაკოვი...

მტერს ვუსურვებ, ზურაბ წერეთლის იმიჯს ეზომებოდეს!

რახან წერეთელი ვახსენე, მგონი, ის ერთადერთი ქართველი საბჭოთა მხატვარია, უფრო ზუსტად, მხატვარი-კურატორი, უკიდურესად „ცუდი ხელოვნების“ – „არახელოვნების“ რეპრეზენტაციას რომ ახდენს; თანაც, პირდაპირი გაგებით, სხვისი ხელოვნებისა, უფრო ზუსტად, სხვისი ნახელავის რეპრეზენტაციას...

რაც მთავარია, არავითარი „ზეწოლა“ მასზე არ ჭრის;

ჯავშნოსანია, რაღა?!

„ჯავშნოსანი წერეთელი“.

და ის მძიმე, „მასონური“ წინსაფარი, რომლითაც, როგორც „Гертруда“, ისე კეკლუცობს რეპორტიორების წინაშე, ჯავშნოსანივით მძიმეა და შეუვალი.

სჯობს, ისევ ჩვენი მკვდარი ვიტიროთ.

მართლაც, უცნაური სიტუაციაა, არა?!

თუკი მხატვარი ხელოვნებას, როგორც ფაინ-არტს გვთავაზობს, გამოდის, რომ ცუდი მხატვარია, მისი სურათები კი – კიჩია.

მეტიც, მისი ხელგარჯილობა პროფესიონალი კურატორის უფლებათა უზურპაციად ალიქმება.

ეროვნული ბიბლიოთეკა



ჩინდათ, იყოთ კარგი მხატვრები?

თქვენც გამოფინეთ; და რაც შეიძლება პრეზენტაბელურად გამოფინეთ „ცუდი მხატვრობა"!

ამგვარ ჟესტს სხვანაირად „არაღირებულის ვალიორიზაციას" უძახიან.

ჩვენი არტისტები კვლავაც სტაბილური წარმატებით გვთავაზობენ უხარისხო პროდუქციას; პრინციპულად „ცუდ ხელოვნება" კი – იშვიათად!

არადა, ასეთი, „კარგად" გაგებული „ცუდი" – უკვე წარმატების მანიშნებელია.

წარმატების მოპოვების ამ მექანიზმს გამოცდილი „ავანტიურისტები" იყენებენ ეფექტურად – "ცუდი ხელოვნების" დამაჯერებელ სიმულირებას მიმართავენ.

უმეტესობა კი, ნაღდი, აუთენტური რადიკალურობისა თუ ტალანტის უქონლობის (რომ არა ვთქვა – უნიჭობის) გამო, ამ „ცუდ ხელოვნებას" ცუდადვე აკეთებს.

ჩვენ კი, გვესაჭიროება „ცუდი, როგორც ჟერ არს".

მოდი, ასე ვთქვათ, აქსიოლოგიური „გაცუდება" გვაკლია.

მთავარი ისაა, რომ, როგორც ვაჟა იტყოდა, „არ უნდა გაცუდდეს ლამაზი არსი ჩვენი კაცობისა."

სკაპ ყრილობის თეზისებივით მინდა ჩამოვაყალიბო:

1. დღეს, ჩვენში გაცილებით აქტუალური უნდა იყოს ლამენტაციები (ანუ წუწუნი) არა კარგი ხელოვნების, არამედ პარ ექსცელლენცე „ცუდი ხელოვნების" უქონლობის გამო. პრინციპულად „ცუდი ხელოვნების" კეთება მხოლოდ ნიჭიერ მხატვრებს ძალუძთ.

2. არანაკლებ აქტუალურია საკითხი, თუ როგორ ვაკეთებთ ამ „ცუდ მხატვრობას".

3. ჩვენს პირობებში, მხატვარს ყველაზე მეტად, არა უბრალოდ ცხოვრება, არამედ საკუთრივ სოციალური ყოველდღიურობა უჭირს, თავისი ხელოვნების სოციალური გამართლება.

4. დღეს სოციალური სამყარო ისეა აქტუალიზებული (გნებავთ, ტერაქტუალიზებული) და „სპექტაკულიზებულ-ინსტალირებული", რომ წარმოგვიდგება არა როგორც შედეგი, არამედ, როგორც პროცესი.

5. კითხვა, თუ როგორ ვაკეთებთ სოციალური სტრუქტურიზაციის (ე. გიდენისეული) თეორიის კონტექსტშიც, გაცილებით მნიშვნელოვანია, ვიდრე ის, თუ რას ვაკეთებთ.

6. (პოსტ)თანამედროვე მხატვარი, როგორც არასდროს, არტისტი, უფრო ზუსტად, მსახიობი უნდა იყოს – მძაფრად გრძნობდეს პუბლიკას (სხვათაშორის, არც გალერისტ-კურატორებს აწყენდათ ამ „პუბლიკის" გრძნობა).

7. მხატვარს (და კურატორსაც) ისიც უნდა მოეხსენებოდეს, რომ ხელოვნება, რახანია, კონტექსტთან მუშაობას გულისხმობს. ესაა მუზეუმიფიცირებული სივრცის დესაკრალიზაცია ანუ ტრადიციული სურათის მაყურებლისათვის მიყენებული „პირველი ტრავმა".

8. დიახ, მხატვრობაც სცენაა, უფრო ზუსტად, პირველსცენა, სადაც ერთდროულად უნდა გათამაშდეს არტისტული ხდომილება, თავის მხრივ, ინტერაქციულ ატრაქციონში რომ ჩააბამს მაყურებელს და ვან დუსბურგს თუ დავესესხებით, ადამიანს მხატვრობის საზღვრებში კი არ დატოვებს, არამედ გზას გაუხსნის ახალი რეალობისაკენ.

9. ასე იქცევა სურათი კონტექსტზე მარეგულირებელ სისტემად, რომელიც ვირტუალურ მაყურებელს დიახაც, ინტერაქციული ზემოქმედებით შეუძლია შეცვალოს. ეს ინტერაქციულობა კი, არა მხოლოდ ლოკალიზებულ, არამედ ტელემატურ სივრცეში უნდა ხორციელდებოდეს და შექმნას ახალი ინტერფეისი ექსპოსივრცესა და ვარიაბელურ მხატვრობას შორის.

10. ასე გადაიქცევა სურათი ალბერტისეული „უძრავი ფანჯრიდან" კარად, საიდანაც მაყურებელი შეიძლება მოხვდეს კონტექსტუალიზებულ ველში.

11. „ხელოვნების გაცუდება" სწორედ ამგვარ დისკურსულ ველშია მისაღებიც, გასაგებიც და აღსაქმელიც.

იური ლოტმანი წერდა, ცუდი პოეზიის გავრცელება ფუნდამენტურ ძვრებს მოწმობსო ესთეტიკურ კულტურაში.

და მართლაც, XVIII-XIX საუკუნეთა მიჯნაზე, რუსულ პოეზიაში, ლიტერატურულ და პარალიტერატურულ გალიმათიას შორის ზღვარი იშლება.

სამაგიეროდ, ვლებულობთ დ. ხვოსტოვისა თუ ვ. პუშკინის ტიპის რითმიზებულ გრაფომანიას, ს. ბობროვის „მეცნიერ-ულ“ პოეზიას, ალ. პუშკინისეულ „უტოპიას“...

ცოტაა?!

აი, მიხაილ გასპაროვი კი, თავის „ჩანაწერებსა და ამონაწ-ერებში“ იხსენებს, ერთხელ ალექსანდრ პანჩენკოს, ძველი რუსული მწერლობის ცნობილ მკვლევარს უთქვამს, თანამედ-როვენი, ჩვეულებისამებრ, „ცუდ ლიტერატურას“ ეტანებიანო.

სხვათაშორის, ეს პანჩენკო პირველად და უკანასკნელად, სტუდენტობისას თბილისის უნივერსიტეტში ვნახე რაღაც კონფერენციაზე...

მოგვიანებით, როცა წავიკითხე ლიხაჩოვ-პანჩენკოს ერთო-ბლივი მონოგრაფია „Смех в древней Руси“ – მაშინ გამახსენდა.

ხო, მართლა! მესამე ავტორიც ჰყავს ამ წიგნს, ტექს-ტოლოგი (ახლა ლაპოდიკოლოგს ეძახიან) ნატალია პონირკო.

ტიმჩენკოსთვის პანჩენკო (ლიხაჩოვი არ ვიცი!) რა ავტო-რიტეტი უნდა იყოს, მაგრამ ყოველი შემთხვევისათვის, მაინც მილირდა მათი დამოწმება.

რაც შეეხება მხატვრობას, აქაც ანალოგიური სურათი იხატება – თანამედროვეებს არ უყვართ „ცუდი ხელოვნე-ბა“ და საერთოდ, ეტყობა, ეს „ცუდი ხელოვნება“, როგორც ასეთი, „ცუდია“ პლიუს ნიშნით, რადგანაც, გვინდა-არ გვინ-და, მაინც ხელოვნების (თუ პარახელოვნების) ჩარჩოებში ჯდება.

ყველაფერს რომ თავი დავანებოთ, დეფინიცია – „ცუდი ხელოვნება“ მთელ ჟანრზეც შეიძლება გავრცელდეს.

მაგალითად, დღეს a priori ცუდ ხელოვნებად გვევლინება თანამედროვე ხატწერა; იგივე ითქმის საეკლესიო ფრესკაზეც.

ამგვარ სიტუაციაში კი, „ცუდი ხელოვნება“ აუთენტურისა და მეტიც, აუცილებლის სტატუსით შეიძლება დამკვიდრდეს; იდეალურად „ცუდი მხატვრობის“ თუნდაც დროებითი „გამეფება“ პროგრესულ სტრატეგიად მოგვევლინოს, მისი სიმულირება კი, როგორც მოგახსენეთ, ნარმატების ავანტიუ-რული მექანიზმის სახით ამოქმედდეს.

ასე რომ, გამოტყდით, რომ „ცუდ ხელოვნებას“ აკეთებთ და აღიარებაც გარანტირებული გექნებათ.

აღიარებითი ჩვენება თქვენს სასარგებლოდ იმუშავებს!

ანდა, ელემენტარულად, დაჯექით (მერე, დაწექით, ანდა წამოწექით, თუნდაც თქვენს „მოდელებთან“ ერთად) და... არაფერი ხატოთ.

უბრალოდ, დაჯექით; უკაცრავად, დაბრძანდით.

ახლა კი, ნება მიბოძეთ, მოგიძებნოთ ვენა და ზუსტად გიჩხვლიტოთ.

ხომ ვერაფერი გაიგეთ?

აი, ასე: მთავარია, კარგად აკეთოთ-მეთქი ცუდი ხელოვნე-ბა; და ეს იქნება თქვენ მიერ ათვალწუნებული (და მიუწვ-დომელი) სილამაზის პროფილაქტიკა.

მოკლედ, ტიმჩენკო შეეცადა პროვოკაციას, ანუ პრინცი-პულად „ცუდი მხატვრობის“ დემონსტრაციას, თუმცა, გა-მოფენას ეს მაინცდამაინც არ დასტყობია.

ვერნისაჟზე საუბარი მიდიოდა მხოლოდ „ნატურათა“ მიმსგავსებაზე და არა იმაზე, თუ რამდენად ხარისხიანი ფერწერით იყო ეს „მიმსგავსება“ რეალიზებული.

საერთოდ, ტიმჩენკოს „მიმეზისი“ რომ არ უჭირს, ცხადია. თუ დასჭირდა, ჰიპერრეალ-ისტურ ტექნიკასაც ფლობს და დილეტანტურ ნაივურსაც.

ახლა კი, ისევ რეკომენდაციები. კიდევ ერთ რამეს გასწავლით: „ცუდი ფერწერა“ შეგიძლიათ გაასაღოთ „კარგ ფრესკად“, „ცუდი ქანდაკება“ – კარგ „თოჯინად“; მერე, ეს „ცუდი ქანდაკება“ – კარგ „კინეტიკურ მონუმენტად“...

და ასე შემდეგ და ასე შემდეგ...

იშვიათ გამონაკლისთა გარდა, ჩვენში ინე-ლად ბედავენ, რათა (პ)არახელოვნება აღი-არონ ხელოვნების კრიტერიუმად.

აბა, სცადეთ, და ვინმეს შეჰკადრეთ, რომ (პ)არახელოვნებას ქმნის?!

ასე და ამრიგად, თუკი დღეს, მხატვარი ხელოვნებას (ამ სიტყვის ტრადიციული გაგე-ბით) „აკეთებს“, მისი „კარგ მხატვრად“ ლე-გიტიმაცია, რბილად რომ ვთქვათ, გაჭირდება.

დღეს აუთენტურ მხატვრად ის ითვლება ვინც (პ)არახელოვნებითაა დაკავებული.

სხვაგვარად, როგორ გახდები ჩონტემპო-რარყ არტ-ის აქტორი?!

რას იზამ, ასეთია პოსტმოდერნული ხელოვნების რეჟიმი!

მაშ, ასე: გაბედულად ვაკეთოთ „ცუდი მხატვრობა“ და სუყველანი გავხდეთ... „მხ-ატვრები, როგორც ცუდი ხელოვნების კურა-ტორები“.

კი, მაგრამ, კურატორებმა რაღა ჰქნან?

რა და, მიხედონ ხარისხიან მხატვრობას.

სამკალი ამ მხრივაც ფრიად არის...

ჰოდა, ახლა ერთად ვიმღეროთ: „ნამგალი ბიჭებო, ნამგალი, მოუსვით ბიჭებო, მოუსვით“...

სად მოვუსვათ?

სად და ტილოზე; ანდა ტილოს მიღმა...

P.S. ერთი მხატვარი მეუბნება იმ დღეს, კურატორობა რა კაცის საქმეაო...

დაფიქრდი, ხომ იცით?!

კაცის საქმე – კორატორების კურა-ტორობაა-მეთქი!

ანდა, პრო-კურატორობა!

ეროვნული ბიბლიოთეკა

## კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროსა და მწერალთა სახლის ლიტერატურული პრემია

ლიტერატურული პროცესების წახალისებისა და გააქტიურების მიზნით კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროსა და მწერალთა სახლის მიერ დაარსდა ყოველწლიური ლიტერატურული პრემია, რომელიც ხუთ ნომინაციაში გაიცემა:

- წლის საუკეთესო პროზაული ნაწარმოები (კრებული/რომანი)
- წლის საუკეთესო პოეტური კრებული
- წლის საუკეთესო საბავშვო წიგნი
- წლის საუკეთესო წიგნის დიზაინი
- წლის საუკეთესო დებიუტი

თითო ნომინაციაში გამარჯვებულს გადაეცემა ფულადი პრემია 4000 ლარის ოდენობით.

ლიტერატურული პრემიის საკონკურსოდ განიხილება 2015 წელს წიგნად/ელექტრონულ წიგნად ქართულ ენაზე გამოცემული ორიგინალური ლიტერატურული ნაწარმოები;

პრემიაზე წარდგენილი წიგნი უნდა იყოს ტექსტის პირველი გამოცემა;

წიგნის კონკურსზე წარდგენა შესაძლებელია მხოლოდ გამომცემლის მიერ;

გამომცემლობებმა თითოეულ ნომინაციაში შეიძლება წარადგინონ არაუმეტეს ხუთი წიგნისა.

კონკურსის შედეგებს აფასებს მწერალთა სახლის მიერ შერჩეული კონფიდენციალური ჟიური, რომელიც 5 წევრისგან შედგება; ჟიურის შემადგენლობა ყოველწლიურად შეიცვლება და მასში შევლენ ის მწერლები და ლიტერატორები, რომელთა ნაწარმოებიც ამ წელს საკონკურსოდ არ განიხილება; გამარჯვებულის გამოვლენა მოხდება ფარული კენჭისყრით.

განაცხადის შემოტანის ბოლო ვადაა 2015 წლის 25 დეკემბერი.

მოკლე სიას ჟიური 2016 წლის მარტის ბოლოს წარადგენს.

კონკურსის გამარჯვებულები კი 2016 წლის მაისში, საზეიმო დაჯილდოების ცერემონიალზე გამოვლინდებიან.

გამომცემლობებმა კონკურსში მონაწილეობისთვის მწერალთა სახლის მისამართზე (მაჩაბლის ქ. 13) უნდა წარმოადგინონ:

- განაცხადი საკონტაქტო ინფორმაციის მითითებით, მწერალთა სახლის დირექტორის, ნატალია ლომოურის სახელზე;
- საკონკურსოდ შერჩეული წიგნები (3 ეგზემპლიარად);

ელექტრონული წიგნების წარსადგენად განცხადება, ინფორმაცია და წიგნის ბმული მოგვაწოდეთ ელ. ფოსტაზე info@writershouse.ge;

დამატებითი შეკითხვებისთვის დაგვიკავშირდით info@writershouse.ge

ტელ: +99532 297 41 01; 297 41 02



**ჟურნალი „ახალი საუნჯე" 2015 წლის ბოლომდე შეგიძლიათ გამოიწეროთ ელვა.GE-ზე**

**თითო ნომრის ფასი – 2 ლარი**

**მის.: ქ.თბილისი, იოსებიძის ქ.49**

elva@elva.ge

**ტელ.: (+995 55 32) 2-38-26-74; 2-38-26-73; 2-38-26-76; (+995 55 32) 38-08-774**

ეროვნული
ბიბლიოთეკა



ISSN 0134-9848
9 770134 984002